რუსულ-ებრაული იარაღი ინდოეთისათვის A5

ფოთის გაზეთის რედაქტორი ოფისის გაქურდვაში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებს A7

ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 11 ოქტომბერი, 2003 წელი. №269 (481)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## საარჩევნო ისტერია

იმ დროს, როდესაც სოფელ ბადიაურის საფოსტო განყოფილებაში ბანკის თანამშრომლები პენსიონერებს კუთვნილ თანხას აძლევდნენ, მათ სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თენგიზ ოქროცვერიძე და რაიონის გამგებელი გიორგი თათლიშვილი თავზე დაადგნენ. მათ ბანკის თანამშრომლებს კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ თანხის გაცემა შეჩერებულიყო...

A3

### ეკონომიკა

## საგადასახადო ამნისტია - „კარგად დავიწყებული ძველი" იდეა

საგადასახადო ამნისტია ანუ ის, რასაც გარკვეული პოლიტიკური პარტიები ამ ბოლო დროს ამომრჩევლებს ჰპირდებიან, ექსპერტების შეფასებით, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობაა...

A4

### უცხოეთი

## ნობელის მშვიდობის პრემია ირანელ ქალს ერგო

ოსლოში ბოლო წუთამდე გაცხარებული კამათი მიდიოდა იმის შესახებ, ვის უნდა მიეღო ნობელის მშვიდობის პრემია. ჯილდოსათვის 165 ადამიანი ეცილებოდა ერთმანეთს და კონკურენცია იმდენად დიდი იყო, რომ ტოტალიზატორებმა ფსონების მიღებაც კი დაიწყეს.

A5

### საზოგადოება

## „თეთრი" შენდება, სახლები ინგრევა

ყავლაშვილის ქ. N1 და N3-ის მობინადრეები ოთხი თვეა მათი სახლების წინ, ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბანკის მშენებლობის შესაჩერებლად სასამართლოში უშედეგოდ დარბიან.

A6

### სამართალი

## ცხრა თებერვლის ტერაქტში ბრალდებულები უზენაესმა სასამართლომ მეორედ დააპატიმრა

საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრს სოსო თორიას და ლოთი ქობალიას გვარდიის ყოფილ წევრს ვეფხია დურგლიშვილს, რომლებსაც 1998 წლის ცხრა თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობის მცდელობაში, ტერაქტის ორგანიზებაში, სამშობლოს ღალატსა და განზრახ მკვლელობაში ედებათ ბრალი, უზენაესმა სასამართლომ პატიმრობა გუშინ მეორედ მიუსაჯა.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 20 | |
| ფოთი | 25 | |
| თელავი | 26 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 24 | |
| ახმეტა | 26 | |
| ჭიათურა | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1000 |
| ევრო | 2.4881 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5018 |
| რუბლი | 0.0695 |

# ძველი სახეები ძველი საარჩევნო პროგრამით



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

*1999 წლის არჩევნებისთვის ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მოსახლეობას სტაბილურობიდან კეთილდღეობისკენ სვლას ჰპირდებოდა. ახლა ახალმა სახელისუფლებო ბლოკმა ძველ ხელისუფალთან ერთად, აღმოაჩინა, რომ სტაბილური მდგომარეობიდან კეთილდღეობაში გადასასვლელად ქვეყანა ჯერ განვითარების გზას უნდა დაადგეს. თუმცა, სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე ახალი ლოზუნგი - "სტაბილურობიდან განვითარებისკენ" - ისე არ გაუხმაურებიათ, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ. სხვა მხრივ კი, ბევრი რამ ძველებურად იყო, ძალიან ძველებურად.*

ლელა მჭედლიძე

პროგრამის პრეზენტაციისას ძირითადი სიახლე ის დისონანსი იყო, რომელიც ბაკურ ბაკურიას მიერ აწყობილ სახელისუფლებო-პარტიულ შოუში "კმარელებმა" შეიტანეს. თუმცა, სახელისუფლებო ელიტამ, პოლიტიკური სტრატეგიიდან გამომდინარე, ამ პატარა უსიამოვნებაზე ყური მოიყრუა. მით უმეტეს, რომ "კმარას" ძახილს სამართალდამცველების ნაქები ოპერატიულობის გამო, კანცელარიის ეზოს გისოსებს მიღმა მათთვის სმენა დიდხანს არ გაუღიზიანებია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „თქვენ ხართ სენი, დაგვეხსენით!"

### "სახელის უუფლებო" ბლოკისთვის პანაშვიდის გადახდა "კმარას" არ შეარჩინეს

სოფიკო ჩხაიძე

*პოლიციამ სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას იდილიური მყუდროების დარღვევა ვერ აიტანა და მოძრაობა "კმარას" აქტივისტები ჯერ ცემა-ტყეპით დაშალა, მერე კი ზოგიერთ მათგანს რამდენიმე საათი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში გაატარებინა.*

როცა სახელმწიფო კანცელარიის ეზოში სახელისუფლებო ბლოკი წინასაარჩევნო დაპირებებს ახმოვანებდა, ტრიბუნასთან გამომსვლელთა ხმა იქვე ახლოს შეკრებილი მოძრაობა "კმარას" აქტივისტების სტვენამ და "კმარა!"-ს ძახილმა ჩაახშო. მიუხედავად იმისა, რომ აქცია სრულიად მშვიდობიანი გახლდათ, ვის ვის, და ხელისუფლების წარმომადგენელთა იდილიურ გარემოში შეჭრას ქართული პოლიცია არავის პატიობს.

გაგრძელება A2 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გისოსებს მიღმა ხელისუფლებაა.

## გზაჯვარედინზე

*გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დამკვირვებელთა მისიის წევრები საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს ხვდებოდნენ. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან დახურული საუბრების შემდეგ ხუთკაციანმა დელეგაციამ ჩვენთვის არც თუ მოულოდნელი დასკვნა გამოიტანა, რომლის თანახმად, საქართველოში წინასაარჩევნოდ ვითარება სულ უფრო მძიმდება. მისიის ხელმძღვანელის მატიას ეორშის თქმით, საერთო ფონის გაცნობამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველო ამჟამად გზაჯვარედინზეა და რომ არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს, შესწევს თუ არა სამართლიანი არჩევნების გამართვის უნარი.*

თამარ მჭედლიშვილი

**"ამ არჩევნების შედეგებზე საქართველოს ევროკავშირში ყოფნის საკითხიც არის დამოკიდებული და ევროპის საქართველოსადმი ნდობაც,"** – უკვე მერამდენედ გვიმეორებენ უცხოელი დიპლომატები და კვლავ გვირჩევენ, რომ უდიდესი სერიოზულობით მოვეკიდოთ ჩვენი ქვეყნის მომავალს. მით უფრო, რომ ევროსაბჭოს დამკვირვებლების თქმით, **"საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ეს ყველაზე დაძაბული არჩევნები იქნება."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ყოფილი პოლიციელი შსს-ს უჩივის

*ყოფილი პოლიციელი ზაზა მორჩაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს უჩივის და კუთვნილი კომპენსაციის მიღებას უკვე ორი წელია, უშედეგოდ ცდილობს. მორჩაძე მეორე ჯგუფის ინვალიდია. სხეულის დაზიანება მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო, შსს-მ კი საქმე სადავო გახადა. ამის გამო ორი მცირეწლოვანი შვილის მამა ოჯახს მცირეოდენი პენსიით არჩენს. შინაგან საქმეთა სამინისტროზე განაწყენებულმა ყოფილმა პოლიციელმა დასახმარებლად არასამთავრობო ორგანიზაციებსა და "თავისუფლების ინსტიტუტის" ქუთაისის ოფისს მიმართა.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

შემთხვევა, რომელმაც პოლიციელის დაზარალება გამოიწვია, 2001 წლის 9 მარტს მოხდა. ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილებაში ახალგაზრდების ჩხუბის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია შემოვიდა. მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად პოლიციას დროულ ჩარევას სთხოვდნენ. შემთხვევის ადგილისკენ ოპერატიული მანქანით ოთხი პოლიციელი გაემართა. გუგუნავას ქუჩასთან ისინი ავტოავარიაში მოყვნენ, რის შედეგადაც პოლიციის კაპიტანი გოჩა მაღლაფერიძე ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ზაზა მორჩაძემ ტვინის დაჟეჟილობა და ორივე ფეხის წვივის მოტეხილობა მიიღო. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პროკურატურის დასკვნაში მითითებულია, რომ "პოლიციის თანამშრომლები თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, გადაადგილდებოდნენ შემთხვევის ადგილისკენ, რა დროსაც მოულოდნელად ავტომობილს ეგრეთ წოდებული "გიტარა" გაუტყდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ანატოლი ჩუბაისის ლოზუნგები

### რომელიც ევროპის ენერგეტიკულ სივრცეში ტანკებით შევარდნას არ გულისხმობს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში დსთ-ს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სივრცის ეკონომიკური საბჭოს სხდომის შემდეგ, "რაო ეეს"-ის თავკაცის ანატოლი ჩუბაისის მიერ გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, "რუსულ მონოპოლიას საქართველოს, უკრაინისა და დანარჩენი რესპუბლიკების მიმართ აგრესიული გეგმები არ ამოძრავებს."

მოსკოვში გამართულ სხდომაზე ჩუბაისმა თავი მოუყარა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სათბობ-ენერგეტიკის მინისტრებს. სხდომის მთავარი საკითხი ენერგეტიკული სისტემის ერთიანი ბაზრის ფორმირების პრობლემატიკა იყო. ჩუბაისის განმარტებით, **"პრობლემები კვლავ პრობლემებად რჩება, ხოლო ერთიანი ბაზრის შექმნამდე გრძელი გზაა გასავლელი".**

ჩუბაისი, პრინციპში, კმაყოფილია, რომ დსთ-ს ერთიანი ენერგობაზრის შემადგენელი პოტენციური სუბიექტები ევოლუციის იმედად რჩებიან, მათ არ აფიქრებთ რუსეთის ერთიან ენერგოსისტემებში ჩაწერის სამართლებრივი მხარე. ჩუბაისი ამბობს, რომ ამ მხრივ, ყველა რესპუბლიკაში ევოლუციური პროცესები დაწყებულია.

"რაო ეესის" მმართველი მაგალითად საქართველოს ასახელებს და ამბობს, რომ ეს რესპუბლიკა უკვე ნორმალურ რეჟიმში მუშაობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ოჯახი სახელმწიფოს წინააღმდეგ

"ნიუ იორკ ტაიმსი"

იქბალ მუჰამედს არ ახსოვს, როგორ დანიშნეს. მაშინ ის ჯერ კიდევ აკვანში იწვა. როდესაც მოიზარდა, მას უთხრეს, რომ თავის ბიძაშვილს უნდა გაჰყოლოდა ცოლად. "ცოტა გამიკვირდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჭკვიანური იყო. არ სჯობს საკუთარ ბიძაშვილს გაჰყვე ცოლად, ვიდრე ვიღაც უცხოს?" – ამბობს საპატარძლო.

ქორწინებათა ნახევარი ერაყში ბიძაშვილებს შორის ხდება. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტატისტიკაა, რომლის აზრიც ბევრს არ ესმის. არაჩვეულებრივად მტკიცე ოჯახური კავშირები ამერიკელებს უამრავ პრობლემას უქმნის ყველა სფეროში - დაწყებული სადამის მოძებნიდან, ქალების სტატუსის შეცვლით დამთავრებული.

"ამერიკელებს არ ესმით, ბიძაშვილებს შორის ქორწინების პრაქტიკის გამო, რამდენად განხვავებული სამყაროა ერაყი, – ამბობს რობინ ფოქსი, რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი და ანთროპოლოგთა სამაგიდო წიგნის "ნათესაობა და ქორწინება" ავტორი, – ლიბერალური დემოკრატია ეფუძნება თავისუფალ ადამიანებს, რომლებიც ერთად ილვწიან საერთო სიკეთისათვის. მაგრამ, ერაყისმაგვარ ქვეყნებში ხალხი ყველაფერს სხვანაირად უყურებს. მათთვის საზოგადოება იყოფა ნათესავებად და უცხოებად".

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# „თქვენ ხართ სენი, დაგვეხსენით!"

პირველი გვერდიდან

70-იოდე სტუდენტის გასაჩუმებლად სამართალდამცველებს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციელთა მობილიზება დასჭირდათ. ისინი მშვიდობიანი აქციის დასაშლელად ძალის გამოყენებას არ მოერიდნენ და შვიდი მათგანი ცემა-ცემით ჩაყარეს პოლიციის მანქანებში.

**"ჩვენ გუშინ დავიწყეთ "სახელის უუფლებო ბლოკის" პანაშვიდი, რომელიც სამი კვირა გასტანს, 2 ნოემბერს კი მას დავკრძალავთ. სწორედ გუშინ დავიწყეთ ეს პანაშვიდის ტიპის აქცია და სრულიად ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. პოლიცია მშვიდად გვადევნებდა თვალყურს. სიტუაცია რადიკალურად მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ტელეფონით დაურეკეს. ამ საუბრის შემდეგ პოლიცია ძალადობაზე გადავიდა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "კმარას" ერთ-ერთმა აქტივისტმა გიორგი ონიანმა.

**"ყველაზე მეტად ადმინისტრაციული პოლიციის უფროსის მოადგილე მიხეილ გიორგაძე აქტიურობდა. საკუთარი შვილის ტოლა ახალგაზრდებს ურტყამდა. პოლიცია არც გოგონებს ინდობდა,"** - აცხადებენ "კმარას" აქტივისტები, რომლებიც თავს იმით იმშვიდებენ, რომ ეს ყოველივე ხელისუფლების ბოლო გაბრძოლების მცდელობაა.

"კმარას" შვიდ აქტივისტს, მათ შორის - ერთ გოგონას, რამდენიმე საათის გატარება მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში მოუხდა.

**"დარწმუნებული ვარ, ჩვენზე ფიზიკური ძალადობა ისევ გაგრძელდებოდა, რომ არა სატელეფონო ზარი. ეუთო-ს მისიაში დავრეკე და პოლიციის თვითნებობის შესახებ ვუამბე**, - ყვება გუშინ დაკავებული "კმარას" აქტივისტი გიორგი კანდელაკი, რომლის თქმითაც, მას პირადად მიხეილ გიორგაძემ ჩამოახია მაისური და დაარტყა, - **როდესაც ინგლისურად საუბარს მოკრეს ყური, პოლიციელები მაშინვე მოლბნენ. უკვე ზრდილობიანად ითხოვდნენ, დაგვეწერა ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ ვიხულიგნეთ. ჩვენ ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ."**

მოგვიანებით დაკავებულებთან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა თინათინ ხიდაშელმა ადვოკატის ორდერით შეაღწია.

**"მე რომ შევედი, სიტუაცია უკვე დაწყნარებული იყო. კერძო საუბრებში პოლიციელები პირდაპირ აღიარებდნენ, რომ დაკავება უკანონოდ მოხდა და თავს იმტვრევდნენ იმაზე, როგორ გამოსულიყვნენ ამ უხერხული მდგომარეობიდან. მე ვითხოვდი სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ისინი კი ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ სტუდენტები ადმინისტრაციული წესით, წვრილმანი ხულიგნობისთვის დააკავეს. ბოლოს, იმასაც კი ძლივს მივაღწიე, რომ დაკავების ოქმი გაეფორმებინათ,"** - ამბობს თინათინ ხიდაშელი და დღეს პოლიციელთა მიერ უკანონოდ შვიდი ადამიანის დაკავების გამო პროკურატურაში განცხადების შეტანას აპირებს.

მთელი იმ დროის მანძილზე, რაც "კმარას" შვიდი აქტივისტი პოლიციის შენობაში, ერთ-ერთი გამომძიებლის ოთახში იჯდა, პოლიციის ეზოდან მათ "კმარას" წევრთა რამდენიმე ათეულკაციანი ჯგუფი ხმამაღლა გულშემატკივრობდა, პოლიციის ეზოში შესულ მაღალჩინოსნებს კი ჩვეული შეძახილით ხვდებოდნენ: "თქვენ ხართ **სენი**, დაგვეხსენით"!

საღამოს ხუთ საათზე "კმარას" დაკავებული აქტივისტები პოლიციამ გაათავისუფლა. პოლიციელები ირწმუნებოდნენ, რომ ახალგაზრდებს კანცელარიის მახლობლად მაცხოვრებელთა თხოვნით დაერივნენ – ხალხი სტვენამ გააყრუაო.

მიდი ეხლა შენ და, არ დაიძახო - "კმარა"!

# გზაჰვარედინზე

პირველი გვერდიდან

უცხოელი დიპლომატები ჩვენს ყურადღებას ამომრჩეველთა მოუწესრიგებელ სიებზე ამახვილებენ. ამასთან ერთად, ისინი აცხადებენ, რომ სამართლიანი არჩევნებისათვის აუცილებელია მასში მონაწილე სუბიექტთა დაცვის უზრუნველყოფა, საარჩევნო ადმინისტრაციების მიუკერძოებლობა.

საგულისხმოა, რომ გუშინ, მთელი დღის მანძილზე, სტუმრებს იმ ბრალდებების მოსმენა უწევდათ, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს უყენებენ. როგორც წესი, მოწინააღმდეგე ბანაკების წარმომადგენლები ერთმანეთს არჩევნების გაყალბების მცდელობაში, საკუთარი კანდიდატების შევიწროებასა და პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებდნენ.

ასე, მაგალითად, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრმა ელენე თევდორაძემ ევროსაბჭოს მისიის წევრებს განუცხადა, რომ **"აღმასრულებელი ხელისუფლება ოპოზიციურ ძალებს საბიუჯეტო ორგანიზაციებში შესვლისა და წინასაარჩევნო აგიტაციისათვის კოლექტივებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევს"**, "მრეწველების" თქმით კი, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებიც იგივე მეთოდებით გაყალბდება, როგორც წინა არჩევნები.

საკმაოდ კატეგორიულები იყვნენ "აღორძინების კავშირის" წევრები. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ჯემალ გოგიტიძის განცხადებით, პარტიაში მისულ დამკვირვებელთა მისიას მან განუცხადა, რომ მთელ საქართველოში საარჩევნო სიების ნაცვლად წარმოდგენილია **"რაღაც ნაჯღაბნი", რომელიც მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ მოგვიანებით მისი სრული ფალსიფიცირება მოხდეს".** მანვე სტუმრებს ახარა, რომ აჭარა ერთადერთი რეგიონია, სადაც შეიძლება, ობიექტურად შედგენილი საარჩევნო სიები წარმოადგინონ.

თავის მხრივ, სტუმრებთან შეხვედრისას, სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი გოგავამ საკმაოდ სერიოზული ბრალდებები წაუყენა ოპოზიციას. კერძოდ კი, საარჩევნო ბლოკს "ბურჯანაძე-დემოკრატებს" და განაცხადა, რომ "ისინი რუსეთის სპეცსამსახურებისა და ფირმა "იმიჯ-კონტაქტისაგან" ფინანსდებიან და რუსული ვალდებულებებით მოდიან პარლამენტში".

გუშინ სტუმრებს ამ ურთიერთბრალდებების სიჭრელესა და სიმძიმის ხარისხზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა პოლიტიკურ სპექტრსა და მთლიანად ქართულ საზოგადოებას გამჭვირვალედ მიანიშნეს, რომ იმაზე, რაც ქვეყანაში 2 ნოემბერს მოხდება, პასუხისმგებელი მთლიანად ქვეყანაა და არა რომელიმე პარტია თუ საარჩევნო ბლოკი.

მისიის წევრები, მათი თხოვნის მიუხედავად, ქვეყნის პრეზიდენტმა არ მიიღო.

# "მაოკი" დამატებითი სიების აღდგენას ითხოვს - რატომ?

მიუმხრობელ არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირი "მაოკი" არჩევნების პერიოდში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე და საარჩევნო გაყალბებებზე საუბრობს. ამის თავიდან ასაცილებლად "მაოკის" წევრები მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მოითხოვენ, შემოღებულ იქნას ამომრჩეველთა მარკირების პრინციპი. მათი აზრით, გაყალბების წინააღმდეგ საბრძოლველი სხვა გზა არ არსებობს.

"მაოკი" მოითხოვს ასევე "ცალკეული პოლიტიკური ძალების მიერ ტელეეთერის მონოპოლიზების" აღკვეთას. **"ტელევიზიით ერთი და იგივე სახეები ჩნდებიან, ისინი, ვისაც უფრო მეტი ფული აქვს, რაც უსამართლოდ მიგვაჩნია,"** – აცხადებს ახალგაზრდა ფინანსთა და ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენელი ტარიელ გიორგაძე. "მაოკი" მიმართავს პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ბლოკებს, გახსნან თავიანთი საფინანსო ანგარიშები, რადგან **"არსებობს ვარაუდები, რომ პარტიების დაფინანსებაში შავი ფული და გაურკვეველი წარმოშობის კაპიტალი მონაწილეობს."** "მაოკი" ითხოვს, ასევე, დამატებითი სიების აღდგენას, რადგან მათი არდაშვების შემთხვევაში, ხმის უფლების მქონეთა ნახევარზე მეტი არჩევანის გარეშე დარჩება.

*24 საათი*

# ძველი სახეები ძველი საარჩევნო პროგრამით

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, არც პოლიტიკურ ელიტას გადაუღლია თანამოაზრეები ხანგრძლივი გამოსვლებით. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ძველი სახეები ახალი საქართველოს ასაშენებლად ხელების დაკაპიწებას აპირებენ. ისეთი სახელმწიფოს აშენებას, რომელშიც: **"ცნება სიღარიბე არ იარსებებს, ადამიანური კაპიტალი გაიზრდება და განვითარდება. განხორციელდება საკონსტიტუციო ცვლილებები, პარლამენტის და მთავრობის ძირეული რეფორმა. გარდა ამისა, აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, გაიზრდება მოსახლეობის დასაქმება, განხორციელდება თავდაცვის და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმა, დაცული იქნება პიროვნების ღირსება. რეალური ხელშეწყობა ექნება საშუალო ბიზნესის განვითარებას. გაიზრდება, ასევე, საარსებო და სახელფასო მინიმუმი."** ეს ძალზე მცირე ნაწილია იმ წინასაარჩევნო დაპირებებისა, რომელსაც, როგორც წესი, უხვად ჩამოარიგებენ ხოლმე წინასაარჩევნო პერიოდში სახელისუფლებო შტოს ძველი წარმომადგენლები. ეს ის დაპირებებია, რომელთა განხორციელების მთავარ გარანტიად ახალი საქართველოს" "მშენებლებს" კვლავ ედუარდ შევარდნაძე მიაჩნიათ.

**"განათლების სფეროს განვითარების პრიორიტეტულობა ჯერ კიდევ პრეზიდენტის 2000 წლის საარჩევნო პროგრამაში იყო ხაზგასმული,"** - დროულად თუ უფრო უდროოდ გაახსენდა გუშინ ხელისუფლების საარჩევნო სიის ლიდერს ვაჟა ლორთქიფანიძეს პრეზიდენტის სამი წლის წინანდელი დანაპირები. **"საქართველოს პრეზიდენტის დავალებით შემუშავებულია სიღარიბის დაძლევის პროგრამა,"** - ახარა, თავის მხრივ, საზოგადოებას სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ თედო ისაკაძემ დამსწრეთ იმ პროგრამის არსებობა, რომელიც უკვე წლებია, რაც ქაღალდზე რჩება. **"შევარდნაძე ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური, ხელოვნების სფეროების განვითარების გარანტია,"** - აღმოაჩინა ფრაქცია "თანადგომის" თავმჯდომარემ ელგუჯა მეძმარიაშვილმაც. საქმე მხოლოდ ის არის, რომ არავის გახსენებია, ერთი უბრალო გარემოება - ამ გარანტის იმედად ყოფნა, დიდი-დიდი, წელიწადნახევარი თუ შეიძლება. თავად შევარდნაძე კი, სრულიად დარწმუნებულია, რომ მის მიმართ სასაყვედურო არ უნდა ჰქონდეთ, რადგან რაც შეეძლო, გააკეთა. **"რაც არ გაკეთდა, ნაწილი ხელისუფლების ბრალია, ნაწილიც - ობიექტური გარემოებების."** პრეზიდენტმა გადაწყვიტა, არ დაუპირისპირდეს **"იმ პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებიც თავადაც ხელისუფლებაში არიან. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კი, იმის მეათედსაც ვერ გააკეთებენ, რაც დღეს საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა."** საუბარი, რა თქმა უნდა, "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერზეა, რომლის შესახებაც კომენტარებს ჟურნალისტებთან საუბრისას გუშინდელ პრეზენტაციაზე მისულები, ძირითადად, გაურბოდნენ. პრეზიდენტი, თავის თუ არა, ამ ხელისუფლების მიერ გაკეთებულ საქმედ მიიჩნევს მილიონ 200 ათასი კაცისათვის საკუთრებაში მიწის გადაცემას, საწარმოების ამუშავებას. მართალია, ეს ამუშავებული საწარმოები არსად ჩანს, მაგრამ პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ამით მან თავისი ვალი მოიხადა და წინასაარჩევნოდ მილიონი სამუშაო ადგილის შესახებ მიცემული დაპირებაც შეასრულა.



კმარა ძილი.

მოკლედ, პრეზიდენტი შევარდნაძე "რეალისტურად" მიიჩნევს სახელისუფლებო ბლოკის პროგრამას. ალბათ, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ აქედან დიდი ნაწილი, როგორც თავად ამბობს, მისი პროგრამიდან არის მოპარული. "რეალისტური" პროგრამის "უნებლიე თანაავტორი" შევარდნაძე საქართველოს უახლოეს მომავალს ზეოპტიმისტურად უყურებს. **"საქართველოს თითქმის 70-80 პროცენტით შესრულებული აქვს ის ვალდებულებები, პროგრამა, რაც ნატო-ში გაწევრიანებისთვის არის საჭირო და როდესაც საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, მაშინ მას სხვა ენაზე დაელაპარაკებიან. ახლა ნატო-მ თავისი არჩევანი ბულგარეთზე და რუმინეთზე შავი ზღვის გამო შეაჩერა, მალე ჯერი საქართველოზეც მიდგება. ცოტა ხანში კი საქართველო ევროკავშირსაც დასჭირდება, არა მხოლოდ საქართველოს – ევროკავშირი,"** - ასე ჭვრეტს მომავალს პრეზიდენტი. იგი ყველასთან მეგობრული ურთიერთობების მომხრეა: შინაურ თუ გარეულ ოპონენტებთან, რუსეთთან თუ ამერიკასთან, თუმცა გუშინ მან "პრევენციული მესიჯი" გააგზავნა რუსეთის მიმართულებით, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ივანოვის მიერ გაკეთებული განცხადების გამო - ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის განცხადებები პრევენტიული (ასე გამოთქვამდა პრეზიდენტი) სამხედრო დარტყმების შესახებ ჰიტლერის გამონათქვამებს მაგონებსო. შეგახსენებთ, რუსეთი-ნატო-ს საბჭოს სხდომის შემდეგ ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთი უფლებას იტოვებს, განხორციელოს დსთ-ს მასშტაბით პრევენციული დარტყმები.

ყველაფერი თითქმის ძველებურად იყო, პროგრამაც - თითქმის უცვლელი. ოღონდ, თითოეული გამომსვლელი, ავთანდილ ჯორბენაძით დაწყებული და ირაკლი ბათიაშვილით დამთავრებული, ქვეყანაში ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაზე, სახელმწიფოებრივი შეგნების ამაღლებაზე საუბრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პროგრამას უხვად წაუსვეს "ფერუმარილი," ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ "ახალი საქართველოსათვის", ძირითადად, მაინც ძველი სახელები იბრძოლებენ, ძალიან ძველი ხერხებით და კიდევ უფრო ძველი საარჩევნო პროგრამით.





ბომონდიდან მედიკო მეზვრიშვილი ფხიზლობდა და "კმარას" დარბევას აპირებდა.

გოგიტა ბახაიძის ფოტოები

## ორი სიტყვით

**თბილისი.** «საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ლიდერის ვაჟა ლორთქიფანიძის მოწვევით, გუშინ თბილისს ორდღიანი ვიზიტით საბერძნეთის «ახალი დემოკრატიის პარტიის" თავმჯდომარე, საბერძნეთის ოპოზიციის ლიდერი, «ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის" ვიცე-პრეზიდენტი კოსტას კარამანლისი ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმარს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება «ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა იმერეთში სამდღიანი წინასაარჩევნო ვოიაჟი დაიწყეს. როგორც «მემარჯვენეების" პრესსამსახურში განაცხადეს, გუშინ, გაერთიანების ლიდერები ხარაგაულის რაიონის სოფლების ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და ზესტაფონში პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად "ახლების" ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე სერგო ფუტკარაძე წარადგინეს. გუშინ, საღამოს, ზესტაფონში «მემარჯვენეების" მხარდასაჭერად ცნობილმა მომღერალმა - უცნობმა სოლო კონცერტი გამართა. დღეს კი ქუთაისში «მემარჯვენეების" ინიციატივით წიგნის ფესტივალი გაიმართება. წინასაარჩევნო ვოიაჟის ბოლო დღეს, «ახლები" ხონისა და წყალტუბოს რაიონებს ეწვევიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, გამთენიისას «ბურჯანაძე-დემოკრატების" საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის ვასილ მაღლაფერიძის საარჩევნო შტაბს, რომელიც საბურთალოს რაიონში მდებარეობს, "მერსედესის" ტიპის ავტომანქანა შეეჯახა. როგორც თავად დეპუტატობის კანდიდატმა ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, ინცინდენტი ავტოავარიამ გამოიწვია, რომლის დროსაც ხსენებული "მერსედესი" შტაბის შენობის წინ გაჩერებულ "ჟიგულის" ტიპის ავტომანქანას შეეჯახა. ვასილ მაღლაფერიძე პოლიტიკური შეფასებისგან თავს იკავებს, თუმცა აღნიშნულ ფაქტს გამიზნულ ქმედებად აფასებს. დეპუტატობის კანდიდატი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ "მერსედესში" მყოფი არც ერთი პირი, შეჯახების სიმძლავრის მიუხედავად, არ დაშავებულა. მისივე აზრით, ავტოავარია ინსცენირებული იყო იმ მიზნით, რომ ბოროტმოქმედებს საარჩევნო შტაბის შენობის განგებ დაზიანების მოტივი შეენიღბათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე «ბურჯანაძე –დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჟვანია იმერეთს ესტუმრა და საარჩევნო შეხვედრები გამართა. ამ მიზნით მან ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონები მოინახულა.

დღის მეორე ნახევარში ჟვანია ქუთაისში ჩავიდა, სადაც საოპერო თეატრის დარბაზში იმერეთის რეგიონში მოღვაწე მის თანაპარტიელებს და აქტივისტებს შეხვდა. ზურაბ ჟვანიამ მხარდამჭერებს სიფხიზლისაკენ მოუწოდა და არჩევნების გაყალბების ყველა მექანიზმის შესახებ ტრენინგი ჩაუტარა, რათა მისივე თქმით, ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ხელი შეუშალოს. დღეიდან ზურაბ ჟვანია ანალოგიურ შეხვედრებს გურიის რეგიონში გამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცოტნე ბაკურია საქართველოში ისრაელის საელჩოს პრესოფიცერს ირაკლი გვარამაძეს დახურულ კარს მიღმა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ესაუბრა. ცოტნე ბაკურიამ ისრაელის საელჩოს თხოვნით მიმართა, შეწყდეს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში "დემოკრატიული აღორძინების კავშირზე" ძალადობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს მდივანი კახა უგულავა წუხელ ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა. იგი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის - „გრეკოს" ("ევროპის ქვეყნები - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში") პლენარულ სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინდელი დღიდან საარჩევნო სუბიექტებს სახელმწიფო დაწესებულებებში წინასაარჩევნო კამპანიის, შეკრებების და პრესისათვის ინტერვიუს მიცემაც ეკრძალებათ. მათ ამისთვის საკუთარი საარჩევნო შტაბის გამოყენება შეუძლიათ. ამ პროცესს არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისათვის შექმნილი, სტრასბურგის მონიტორინგის ჯგუფი გაუწევს ზედამხედველობას. კანონის დარღვევის შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი საქმეებს რეაგირებისთვის საარჩევნო კომისიას და პროკურატურას გადასცემს. კანონდამრღვევი, შესაძლოა, საარჩევნო რეგისტრაციიდანაც მოიხსნას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა წინასაარჩევნო ვიზიტის ფარგლებში დღეს დილიდან შეხვედრები გაიმართება რუსთავის მერიაში.

შეხვედრა დაგეგმილია რუსთავის მერ მერაბ ტყეშელაშვილსა და რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარესთან ლაშა მინდელთან. შეხვედრის თემა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მოსახლეობის მონაცემების დაზუსტების მიზნით, სპეციალური სამუშაო ჯგუფები გამოყო. როგორც შს მინისტრის მოადგილემ დავით თოდუამ განაცხადა, აღნიშნული ჯგუფები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითების შესაბამისად მოქმედებენ, ანუ საჭირო შემთხვევაში ამოწმებენ ამა თუ იმ მონაცემებს. რაც შეეხება საარჩევნო სიების დაზუსტებას, თოდუას თქმით, ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა, რადგან ცსკო-ს გადასცეს მოსახლეობის მონაცემები, ხოლო საარჩევნო სიები უკვე მათ უნდა შეედგინათ. **პრაიმ-ნიუსი**

btc

SCP South Caucasus Pipeline

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა - მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად (RFP)

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) პროექტებისათვის

კონფერენცია ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის

2003 წლის 1 სექტემბერს, კომპანია "BP"-მ, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) აქციონერი კომპანიების სახელით მოქმედმა ოპერატორმა კომპანიამ, გამოაცხადა მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და საქართველოში რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ – BP-ს და აქციონერი კომპანიების სახელით "გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის" (EIP) რეალიზაციის მიზნით.

ორშაბათს, 13 ოქტომბერს, დილის 10-დან 12 საათამდე, BP-საქართველოს პროექტის თბილისის ოფისში, საბურთალოს ქუჩა № 38-ში, კომპანია "BP" მართავს განმარტებით შეხვედრას ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციებისათვის. შეხვედრა განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც გამოთქმული აქვთ განზრახვა წარადგინონ სატენდერო წინადადებები. შეხვედრა მიზნად ისახავს პასუხების გაცემას იმ ორგანიზაციების შეკითხვებზე, რომლებიც გეგმავენ სატენდერო წინადადების წარმოდგენას და ესაჭიროებათ განმარტებები, რათა მათ მიერ წარმოდგენილი წინადადება პასუხობდეს "მოწვევის" პირობებს.

გთხოვთ, დაადასტუროთ თქვენი მხრიდან განმარტებით შეხვედრაში მონაწილეობის სურვილი, რისთვისაც შეტყობინება ელექტრონული ფოსტით უნდა გაუგზავნოთ ჯანეტ სტიუარტს, საქართველოს SCM-ის მენეჯერს მისამართზე: **stewarjb@bp.com**, ხოლო ასლებში უნდა მიუთითოთ **okropirm@bp.com**.

ვინაიდან ტენდერში მონაწილეობის მსურველთა საინფორმაციო კონფერენცია დაგვიანებით იმართება, ავტომატურად, წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა 20 ოქტომბრამდე არის გაზრდილი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ჯგენტი, პაატა ტორაძე. სტილი: ნანა ჯიხარაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ინაშვილი, ლია თოდუაძე. რეკლამა - ზურაბ ჯაშიშვილი.

# ვინ მეტი სიმპათიით სარგებლობს?

ახალი პროექტის «წინასაარჩევნო კვლევები"-ს პრეზენტაცია გუშინ, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და ლიტერატურის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

აღნიშნული პროექტი ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტზე, აგრეთვე, სოციოლოგიური მარკეტინგული კვლევის სამსახური "BCG-research" და უცხო ენათა უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტი მუშაობს.

პროექტის მიზანი არჩევნებზე მოსახლეობის მიზიდვაა. პროექტის მონაწილეებმა ამ კვირაში, თბილისის მასშტაბით 700 ინტერვიუ აიღეს და შეჯამებული შედეგები გუშინ გამრთულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წარუდგინეს.

როგორც პროექტის მონაწილეებმა განაცხადეს, დასმული იყო შემდეგი კითხვები: - აპირებთ, თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ? - გამოკითხულთა 52,6 პროცენტი აუცილებლად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას; 14,9 პროცენტი დანამდვილებით არ მიიღებს მონაწილეობას; 4,7 პროცენტი – სავარაუდოდ, არ წავა არჩევნებზე; 23,1 პროცენტი კი, სავარაუდოდ, წავა. გამოკითხულთა 4,7 პროცენტს ჯერ არ გადაუწყვეტია, მიიღებს თუ არა მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში.

კითხვაზე – "რამდენად ენდობით პოლიტიკოსებს?" - გამოკითხულებმა ნინო ბურჯანაძეს, მიხეილ სააკაშვილსა და შალვა ნათელაშვილს ნდობის ერთნაირი ხარისხით დაუჭირეს მხარი.

კითხვაზე – "ვის ისურვებდით საქართველოს პრეზიდენტად?" - ნინო ბურჯანაძეს ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილი და შალვა ნათელაშვილი არიან.

კითხვაზე – "ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი?" - მაჩვენებელი ამგვარია: ნინო ბურჯანაძე, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი.

კითხვაზე – "ხვალ რომ არჩევნები იყოს, რომელ პარტიას არ მისცემდით ხმას?" - გამოკითხულთა პასუხი შემდეგია: სახელისუფლებო ბლოკს, "აღორძინებას", "ნაციონალურ მოძრაობას".

კითხვაზე – "ხვალ რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას? - ინტერვიუერებმა შემდეგი თანამიმდევრობით დაუჭირეს მხარი: "ბურჯანაძე–დემოკრატებს", "ნაციონალებს", "ლეიბორისტებს".

კითხვაზე – "რომელი პოლიტიკური პარტია გაიმარჯვებს?" - გამოკითხულთა უმეტესობა "ბურჯანაძე – დემოკრატების", შემდეგ სახელისუფლებო ბლოკის, "ლეიბორისტების" და "ნაციონალების" გამარჯვებას ვარაუდობს.

გამოკითხულ ქალბატონთა უმეტესობა, ძირითადად, მხარს "ბურჯანაძე-დემოკრატებსა" და "ნაციონალებს" უჭერს. ხოლო "ლეიბორისტების" მომხრეები, ძირითადად, მამაკაცები არიან. ყოველკვირეული კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით გაგრძელდება და შედეგები ყოველი კვირის ბოლოს გახდება ცნობილი. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სიები, შესაძლოა, თავად საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით დაზუსტდეს. შესაბამისი პროექტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე მომზადებულია და მას დღევანდელ სხდომაზე განიხილავენ. პროექტის მიხედვით, ამომრჩეველთა სიების დაზუსტება პარტიების მიერ მომზადებული ამომრჩეველთა სიებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზის შედარების გზით უნდა მოხდეს. როგორც ცესკო-სა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები ვარაუდობენ, სიების 70 პროცენტი ერთმანეთს დაემთხვევა, დანარჩენი 30 პროცენტის გადამოწმება კი ერთობლივად, 29 ოქტომბრამდე დასრულდება.

ამომრჩეველთა სიების ელექტრონული ვერსიები უკვე აქვთ "ახალ მემარჯვენეებს", "ბუჯანაძე – დემოკრატებს", "მრეწველებსა" და სახელისუფლებო ბლოკს. ცესკო-ში აცხადებენ, რომ ვერსიების წარმოდგენა სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც შეუძლიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა მომავალი კვირის დასაწყისში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბრიუსელის შტაბ-ბინაში გაიგზავნება. ამის შესახებ შეიარაღებული ძალების გენშტაბის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ნატო-ს პროგრამის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ირაკლი ბატკუაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ნატო-ს წარმომადგენლები ამ გეგმას შეისწავლიან და 4 ნოემბერს დოკუმენტის დეტალების განსახილველად, ბრიუსელში, ქართული სამხედრო უწყების წარმომადგენლები გაემგზავრებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა აცხადებს, რომ 2004 წელი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რეფორმების პროცესში საკვანძო გახდება. პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში მან თქვა, რომ "ეს აფხაზეთის ფინანსური მდგომარეობის მთლიან გაუმჯობესებას უკავშირდება, რის შედეგადაც თავდაცვით საჭიროებებზე უფრო მეტი სუბსიდიები გამოიყოფა". მისი თქმით, თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებული ძალების რეფორმების კონცეფცია უკვე შეიმუშავა. "კომპლექტაცია შერეული პრინციპით განხორციელდება, კერძოდ, კონტრაქტორებიდან და წვევამდელებიდან, ამასთან, აქცენტირება პირველზე გაკეთდება", - თქვა გარი კუპალბამ. მისი განცხადებით, "რეფორმების დასრულება 4-5 წელში იგეგმება, ხოლო კონცეფციით, ეს ვადა 2010 წლითაა დათარიღებული". **პრაიმ-ნიუსი**

# ნინო ბურჯანაძე ახალ "ამპლუაში"

## პარლამენტის თავმჯდომარე კახელებს მოსავლის დაბინავებაში "ეხმარება"



*ნინო ბურჯანაძე თაკარა მზეს გაერიდა და ჩრდილში მევენახეებთან საუბარი ამჯობინა.*

გიორგი ასანიშვილი

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მცხოვრებმა ნოდარ ბერიძიშვილმა და მისმა ოჯახმა ნინო ბურჯანაძე რთველში მიიპატიჟა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც პოლიტიკურ-პარტიული საქმეები გვერდზე გადადო და შრომით ფერხულში სიამოვნებით ჩაება. ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი გუშინ კახელებს მოსავლის აღებაში "დაეხმარა". თავის ვაჟიშვილთან, 10 წლის რეზიკოსთან ერთად, პარლამენტის სპიკერი თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით შეიჭრა ბარაქიან ზვრებში, მაგრამ ცოტა ხანში თაკარა მზემ თავისი ქნა და ბურჯანაძის შრომითი აღტკინებაც უმალ ჩაცხრა. მის ქადილს, რომ მეღვინის შვილიშვილია და ვაზის კულტურა მისთვის უცხო არ არის, ბევრმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. ქალბატონმა ნინომ იხტიბარი არ გაიტეხა და თავისი შესაძლებლობების საილუსტრაციოდ, გაიხსენა, რომ სტუდენტობისას, შრომით სემესტრში ჩაი უკრეფია, თუმცა, ბოლოს, მაინც გამოტყდა, რომ არც ამ საქმეში ეთამაშებოდა ვარსკვლავებს: მაშინ, როდესაც სხვები, დღეში 18-20 კილოგრამ "მწვანე ოქროს" კრეფდნენ, მის კალათაში მხოლოდ 3-4 კგ ჩაი თუ იყრიდა თავს.

ჰოდა, ამის შემდეგ, ალბათ, აღარ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ გუშინ, ბერიძიშვილის ვენახში, დედაზე მეტად, რეზიკომ ისახელა თავი, რომელიც ყურძნით სავსე ვედროებს გამალებით მოარბენინებდა "პლანებიდან". როგორც ჩანს, ქალბატონ ნინოს "სტიქია" მაინც დიდი პოლიტიკაა და არა ვენახში ფუსფუსი. ეტყობა, ამიტომაც ამჯობინა მან ზვრებიდან ხის ჩრდილში გადანაცვლება და იქ გლეხებთან საუბარი იმაზე, თუ რას აკეთებს საკანონმდებლო ორგანო აგრარულ სექტორში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ვენახში ნინო ბურჯანაძის "წვალების" შემხედვარე კახელებმა პარლამენტის თავმჯდომარეს "სთხოვეს", მომავალში, ყურძნის კრეფაში მოხმარების ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა, თუ პარლამენტიდან კარგ კანონებს შემოაშველებდა. ამას კი სპიკერი გულწრფელად შეჰპირდა ხელისუფლებაზე ხელჩაქნეულ გლეხებს, ოღონდ, იმ "პირობით", თუ გურჯაანელები, მთელ კახეთთან და საქართველოს ამომრჩევლებთან ერთად, 2 ნოემბერს "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკს დაუჭერენ მხარს და ამით გუშინდელ სტუმარს მომავალ პარლამენტში სოლიდური გუნდით შეიყვანენ.

დიდ პოლიტიკას ერთი დღით გამორიდებული პარლამენტის თავმჯდომარე ჭორებსა და ცრუ ინფორმაციებს კახეთშიც ვერ გაექცა: ვენახიდან, მობილური ტელეფონით, ბურჯანაძე დიდხანს არწმუნებდა თავისი ოჯახის წევრებს, რომ მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, მისი კორტეჟი ავარიაში მოჰყვა, სიმართლეს არ შეესაბამება და ის და კახეთში გამგზავრებული "დელეგაციის" ყველა წევრი საღ-სალამათი იყო.

კახეთში ჩასულ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს სიურპრიზი ელოდა. მასთან მისულმა ქალბატონებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ამცნეს თავისი გადაწყვეტილება ქალთა ადგილობრივი ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ, რომელიც ბურჯანაძისა და მისი გუნდის მხარდამჭერი იქნება. პასიურად მონათლული კახელების მხრიდან სასიამოვნოდ გაოცებულ სპიკერს აქტივისტმა ქალებმა საკუთარი პროექტები და სამოქმედო გეგმებიც გააცნეს...

ერთგვარ მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ოპოზიციონერ სპიკერს რთველში სოფლის გამგებელიც "ეახლა". არადა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მთავრობის კრიჭაში მდგომ ბურჯანაძეს, როგორც წესი, არ სწყალობენ და სათოფეზე არ ეკარებიან. თუმცა, ბაკურციხის გამგებლის, თამაზ აბრამიშვილის "გამბედაობა" მაინც ადვილი ასახსნელია: იგი ხალხის მიერ არის არჩეული და არა "ზემოდან" დანიშნული.

რთვლის "რიტუალი" ნინო ბურჯანაძემ გუშინ ბოლომდე ჩაატარა: ზვრებიდან დაბრუნებულმა, ბერიძიშვილის ოჯახს ჩურჩხელების ამოვლებაში მიაშველა ხელი, წალამზე შემწვარ მწვადსაც გაუსინჯა გემო და, მასპინძლის გაკერპების მიუხედავად, საღამოხანს, თბილისისკენ გამოეშურა - მოლხენა და დროსტარება 2 ნოემბრამდე სამუშაო განრიგში ვერ ჯდება.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის
უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):**
- სოციალური ცვლილებები ქალაქურ ცხოვრებაში
- მიგრაცია
- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების მნიშვნელობის ტრანსფორმაცია
- მას-მედიის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაში

**სოციოლოგია:**
- ხელისუფლების ფორმალური და არაფორმალური განხორციელების მექანიზმები
- რელიგია თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული წარმოდგენების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
- მიგრაციული პროცესები

**მდგრადი ქალაქგანვითარება:**
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- არსებული საცხოვრებელი გარემოს კომპლექსური რეაბილიტაციის პრინციპები და მეთოდები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- ქალაქი, როგორც ბუნებრივ-ეკოლოგიური კომპლექსი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელი შექმნას.

**ზოგადი მითითებები:**
- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით და სტიპენდიატების არჩევისას ითვალისწინებს 50%-იან კვოტას.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**ხანგრძლივობა და მოცულობა:**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 13 თვით - 1.12.2003 - 31.12.2004. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანმდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**კონკურსის პირობები:**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1968-1981 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა.

**საჭირო საბუთები:**
1. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
2. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
3. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირადულ მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
4. 2 მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია, რომელშიც გიმუშავიათ
5. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
6. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5 0179 თბილისი info@boell.ge ფაქსი: 912897**

# სააკაშვილს სენაკში ოვაციებით შეხვდნენ



*ექსპრეზიდენტის შემდეგ ამდენი სენაკელი არავის დახვედრია.*

სენაკში "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს გუშინ სენაკის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით, 3000-მდე ადამიანი ოვაციით შეეგება.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, მისი ჩამოსვლა მიზნად ისახავს სენაკელთა მხარდაჭერას იმ ფაქტის გამო, რომ რამდენიმე დღის წინ ადგილობრივმა პოლიციელებმა დაარბიეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სენაკელ პენსიონერებს, რომლებიც თავიანთი გაყინული პენსიების გაცემას ითხოვდნენ და, ამავე დროს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტებს და მათ ვიდეოკამერა დაუმტვრიეს.

სააკაშვილმა სენაკელებს თავისი სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. მისი განცხადებით, შევარდნაძე საბოლოოდ უნდა მოშორდეს ხელისუფლებას, ამისათვის კი ხალხმა ხმა უნდა აღიმაღლოს.

აღნიშნული შეხვედრა, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ ჩატარდა, რადგან ხალხი თეატრის შენობაში არ შესულა. მიხეილ სააკაშვილმა ხანმოკლე სიტყვის შემდეგ სენაკის ტერიტორია დატოვა.

წინასწარ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს «მრეწველების" მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის კახა რუსიას მომხრეებსა და სააკაშვილის მომხრეებს შორის მოსალოდნელი იყო ინციდენტი, არ დადასტურდა. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

*ინტერ-პრესი*

# საარჩევნო ისტერია

## სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები პენსიების გაცემას აჩერებენ

რამდენიმე თვის წინ "ნაციონალური მოძრაობის" მიერ საგარეჯოში მოგებულმა სასამართლო პროცესმა გაყინული პენსიების შესახებ, შედეგი გამოიღო. უკვე მეორე დღეა, რაც სახალხო ბანკმა რაიონის ორ სოფელში ძველი პენსიების გაცემა დაიწყო. გუშინ კი, იმ დროს, როდესაც სოფელ ბადიაურის საფოსტო განყოფილებაში ბანკის თანამშრომლები პენსიონერებს კუთვნილ თანხას აძლევდნენ, მათ სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თენგიზ ოქროცვერიძე და რაიონის გამგებელი გიორგი თათლიშვილი თავზე დაადგნენ. "მათ ბანკის თანამშრომლებს კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ თანხის გაცემა შეჩერებულიყო," - ამბობს სამართლიანი არჩევნების წარმომადგენელი საგარეჯოში მაკა ბარიხაშვილი. მისივე თქმით, ხელისუფლების ერთგულმა ჯარისკაცებმა სამასი პენსიონერის კუთვნილი თანხა ბანკში უკან დააბრუნეს. ამ ფაქტს საგარეჯოელი "ნაციონალები" იმით ხსნიან, რომ ამ რაიონში მათ დიდი რეიტინგი აქვთ. გაყინული პენსიების გაცემის პროცესმა კი მათ პრესტიჟი ერთიორად გაუზარდა. **"იმის ნაცვლად, რომ ოქროცვერიძე და თათლიშვილი გვერდში ამოდგომოდნენ, პირიქით არაადამიანურად მოექცნენ პენსიონერებს,"** - აცხადებს "ნაციონალების" საგარეჯოს ორგანიზაციის თავმჯდომარე გარსევან ბუხნიკაშვილი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარისგან თენგიზ ოქროცვერიძე და გიორგი თათლიშვილი თავს იკავებენ, "ნაციონალები" კი მასობრივი გამოსვლებით იმუქრებიან.

*24 საათი*

## მოკლედ

### სროლა ინგირის ტერიტორიაზე

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ტერიტორიაზე, ბლოკ "ბურჯანაძე - დემოკრატებისა" და სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი კანდიდატის თენგიზ ჯგუშიას მხარდამჭერთა შორის 10 ოქტომბერს, გვიან ღამით, დაახლოებით 12.00 საათზე ინციდენტი მოხდა.

როგორც "ბურჯანაძე - დემოკრატების" წარმომადგენლები ამტკიცებენ, იმ დროს, როდესაც "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი აქტივისტი ინგირის ცენტრში "ბურჯანაძე - დემოკრატების" წინასაარჩევნო პლაკატებს აკრავდა, გამოიარა ჯგუშიას მხარდამჭერთა ესკორტმა, რომელშიც თვითონ თენგიზ ჯგუშია იჯდა. იგი გადმოვიდა მანქანიდან, "დემოკრატების" აქტივისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტიდან ჰაერში 2-ჯერ გაისროლა და მას პისტოლეტის ტარი თავში ჩაარტყა. დაზარალებული "დემოკრატი" თავის ვინაობას არ ახმაურებს. ცნობილია, რომ იგი არის დევნილი გალის რაიონიდან. ინციდენტის გამო აღშფოთებულნი არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები და ამ ტერიტორიაზე ჩასახლებული დევნილებიც. შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, პოლიციამ აღმოაჩინა, სავარაუდოდ, "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლილი მასრა.

თავად თენგიზ ჯგუშია აცხადებს, რომ ეს ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც მისმა მხარდამჭერებმა დაინახეს, როგორ ხევდნენ ჯგუშიას და სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო პლაკატებს და მის ნაცვლად "ბურჯანაძე - დემოკრატების" პლაკატებს აკრავდნენ. ამავდროულად, იგი კატეგორიულად უარყოფს ინციდენტში რაიმენაირ მონაწილეობას, მით უმეტეს - ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. "გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარის მოადგილე და, ამავე დროს, მაჟორიტარი კანდიდატი "ბურჯანაძე - დემოკრატების" ბლოკიდან ბეჟან გუნავა აცხადებს, რომ ზუგდიდში უკვე დაფიქსირდა ტყვიის გასროლის პირველი პრეცედენტი, ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რათა შემდგომში ასეთი ფაქტები აღიკვეთოს და მასობრივ სისხლისღვრაში არ გადაიზარდოს.

*ინტერ-პრესი*

### შევარდნაძე ქარიმოვის ვიზიტს ისტორიულს უწოდებს

უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი საქართველოს კმაყოფილი ტოვებს და აცხადებს, რომ ამ ორი დღის განმავლობაში გამართულ მოლაპარაკებებზე ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხედულებები ერთმანეთს ბევრ საკითხში დაემთხვა.

პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი მის ამჟამინდელ ვიზიტს აფასებს, როგორც ორ ქვეყანას შორის არსებული ტრადიციული და მეგობრული ურთიერთობების კიდევ ერთხელ კრიტიკულად გაანალიზებას. ხოლო პრეზიდენტი შევარდნაძე ქარიმოვის საქართველოში ჩამოსვლას ისტორიულს უწოდებს.

გუშინ კრწანისის სამთავრობო რეზიდეციაში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტებმა, ძირითადად, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებსა და დიდი აბრეშუმის გზის პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. უზბეკეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აბრეშუმის გზის რეალიზებას მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პროექტის პოლიტიზირება, რაც ბოლო წლებში აშკარად შეიმჩნევა. მისივე თქმით, 2000 წლის წინათ ეს გზა ჩინეთს ესპანეთთან აკავშირებდა და ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე გადიოდა. საქართველოს, რომელიც ისტორიულად, ტრანზიტის ფუნქციებს ასრულებდა, ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა. დღეს ამ პროექტის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს ჩინეთი და ირანიც.

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ორ-სამ წელიწადში ამ გზით მილიონობით ტურისტი ისარგებლებს. მისივე თქმით, აბრეშუმის გზის გარეშე ძნელია საუბარი აზიისა და ევროპის უსაფრთხოებაზე.

ქარიმოვი აცხადებს, რომ უზბეკეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში მონაწილეობას არ ჩქარობს, რადგან ამის აუცილებლობა ქვეყანას ჯერ არ გააჩნია.

მისი თქმით, უზბეკეთს ნავთობის დიდი რესურსი აქვს, მაგრამ მას ჯერ სათანადოდ შესწავლა და ინვესტიციები სჭირდება. მისივე თქმით, ის რაც ათვისებულია, სავსებით აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს და გაზის საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის იმპორტს ახორციელებენ.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი გუშინ გერმანიიდან რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში ჩავიდა. მინისტრი მოსკოვში რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის ხელმძღვანელობას შეხვდა. განიხილეს რუსეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის საკითხი.

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა ქართული მხარის მიერ საფასურის გადახდის მაჩვენებლებზე იქნება დამოკიდებული.

მამუკა ნიკოლაიშვილი თბილისში ხვალ დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს რეგიონებში საშემოდგომო სამუშაოების დროულად ჩატარებას საწვავის სიძვირე აფერხებს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მომსახურების დეპარტამენტის თავმჯდომარის კოტე ხუცაიძის განცხადებით, ქვეყანაში ხარისხიანი სათესლე მასალის დეფიციტია. ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორი ქვეყნების დახმარებას წლეულს სამინისტროში არ ელოდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სამცხე-ჯავახეთი.** სამცხე-ჯავახეთის ელექტრომომარაგება შეზღუდვით ხორციელდება, თუმცა მხარეში არის რაიონები, რომლებიც დადგენილ ლიმიტზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ. "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აცხადებენ, რომ ამჟამად რეგიონი 14 მეგავატ სიმძლავრეს მოიხმარს, რაც კომპანიის მიერ დაწესებულ ლიმიტებს არ შეესაბამება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მცხეთა**. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ინფორმაციით, მცხეთის ფილიალში მორიგ თვითნებობას ჰქონდა ადგილი. კომპანიაში განაცხადეს, რომ ნატახტრის ქვესადგურში მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბადრი ხატიძის თაოსნობით ადგილობრივი მოსახლეობა შეიჭრა და დისპეტჩერს ფიდერი-არმაზი ჩაართვევინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება „ინჟმშენი" დედაქალაქის გაზგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებისთვის კუთვნილ თანხას 1.900 მილიონ ლარს ცენტრალური ბიუჯეტიდან ოქტომბრის ბოლოს მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს იანვარ-სექტემბერში საქართველოს ნავთობის საბადოებიდან ნავთობპროდუქტების მიერ 93.9 ათასი ტონა ნავთობია მოპოვებული. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო მარეგულირებელ სააგენტოს ცნობით, შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 67 პროცენტით გაიზარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზბეკეთის რესპუბლიკა 2004 წლიდან საკუთარი ტვირთების ტრანზიტს რუსეთის ტერიტორიის ნაცვლად, ფოთის პორტის გავლით განახორციელებს. რკინიგზის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის განცხადებით, საქართველოს მხარემ უზბეკეთს ერთ ტონა ტვირთზე 70 დოლარის ტარიფი დაუწესა, რაც, მისი თქმით, რუსეთის ტარიფზე გაცილებით იაფია. ტრანზიტის გარდა, საქართველოს მთავრობა უზბეკეთს ფოთის პორტისა და საქართველოს რკინიგზის მიერ, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ფოთში აშენებული ბამბის გადამამუშავებელი ტერმინალის მომსახურებასაც სთავაზობს. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Standard & Poor's მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციას სერიოზული ეკონომიკური რეფორმის გატარება მოუწევს საინვესტიციო რეიტინგის ასამაღლებლად. S&P მიიჩნევს, რომ ქვეყნისათვის რეიტინგის აწევა წინასაარჩევნოდ საუკეთესო ავანსი იქნებოდა ფედერაციის მოსახლეობისათვის.

გასულ კვირას კი კომპანია Moody's-ის მონაცემებით, ფედერაციის სუვერენიტეტმა ორი პუნქტით დაიწია.

■ ■ ■

რუსულმა ნავთობკომპანიამ ЮКОС–მა ერაყული ნავთობისადმი დიდი ინტერესი გამოხატა. ამის შესახებ კომპანიის მეთაურმა ხადარკოვსკიმ ვაშინგტონში, "კარნეგის ფონდში" გამოსვლის დროს განაცხადა. იმ შემთხვევაში, თუკი ერაყი ნავთობის მოპოვებაზე ტენდერს გამოაცხადებს, ხადარკოვსკის თქმით, მისი კომპანია მზად არის ტენდერში მონაწილეობის საკითხი დაუყოვნებლივ განიხილოს. კარნეგის ფონდში სიტყვით გამოსვლის დროს ხადარკოვსკიმ რუსეთში არსებულ საინვესტიციო კლიმატზეც ისაუბრა.

■ ■ ■

ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ იდეას, რომელიც რუსული ნავთობის ფასის ევროზე გადაყვანას ეხებოდა, შესაძლოა დოლარის კურსის დაცემა მოჰყვეს. ამის შესახებ გუშინდელი ყოველდღიური ბრიტანული გაზეთი "ფაინენშალ ტაიმსი" იუწყებოდა. გაზეთის ცნობით, დოლარის კურსის დაცემასთან ერთად, ეს სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს ნავთობის მსოფლიო და ვალუტის ბაზარზე. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენელზე დაყრდნობით, "დეილი ტელეგრაფი" იუწყებოდა, რომ ვლადიმირ პუტინმა ხსენებულ წინადადებაზე გერმანიის კანცლერისგან თანხმობა მიიღო. თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამგვარ შესაძლებლობას არ გამორიცხავს და რომ ეს განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა რუსეთის ევროპელი პარტნიორებისთვის. როგორც გუშინდელი "ფაინენშალ ტაიმსი" იტყობინება, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები დღეს ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსეთის ენერგოსექტორთან თანამშრომლობაში. Deutsche Bank–ის წარმომადგენელმა მაიკლ ლუისმა გაზეთთან საუბრის დროს განაცხადა, რომ განცხადებით - რუსული ნავთობის ფასის ევროზე გადაყვანის შესახებ - სერიოზულ მხარდაჭერას გაუწევს ევროპის საერთო ეროვნულ ვალუტა ევროს. ფასების გაცვლის შემთხვევაში, "შავი ოქროს" ექსპორტი რუსეთიდან დღე-ღამეში 5.7 მილიონი ბარელი ნავთობი, დამატებით 144 მილიონ ევროს ოდენობის კუპიურის გამოჩენას შეუწყობდა ხელს.

# "სიმენსის" ტელეფონი მსოფლიო ბაზარს იპყრობს

ადამ მჭედლიძე



*"სიმენსის" საწარმო სრული დატვირთვით მუშაობს.*

"სიმენსის" განცხადებით, მისი მობილური ტელეფონების გაყიდვის მაჩვენებელი ბოლო 3 თვის განმავლობაში 44 პროცენტით გაიზარდა. გერმანული კომპანია ამ წარმატების მიზეზად ბოლოხანს შემუშავებულ ახალ მოდელებს ასახელებს. სულ ბოლო კვარტალში "სიმენსის" გაყიდული მობილურების რაოდენობამ 11,8 მილიონი ცალი შეადგინა. თუკი ზრდამ ასეთი ტემპით გასტანა, მაშინ "სიმენსი" საკმაოდ მალე ჩამოიტოვებს თავის უშუალო კონკურენტს მობილურების ბაზარზე - ამერიკულ "მოტოროლას."

დღეისათვის "სიმენსს" მობილურების ბაზარზე წილის მიხედვით მეოთხე ადგილი უჭირავს. პირველ ადგილზე, დიდი ხანია, მტკიცედ არის დამკვიდრებული ფინური "ნოკია," რომელიც ბაზრის 35,9 პროცენტს აკონტროლებს და კონკურენტებს დიდი სხვაობით უსწრებს. დანარჩენ ადგილებზე კი ხშირად ენაცვლებიან ერთიმეორეს სხვადასხვა კომპანიები. მეორე ადგილი დიდხანს ეჭირა "მოტოროლას," მაგრამ ბოლოხანს იგი "სამსუნგმა" შეავიწროვა. მესამე ადგილზე წლების განმავლობაში შვედური "ერიქსონი" იმყოფებოდა, მაგრამ ბოლო დროს ეს კომპანია არნახულ წარუმატებლობებს განიცდის და ახლა ხუთეულშიც ვერ ხვდება. ერთი პერიოდი, მესამეზე ფრანგულმა "ალკატელმა" აინაცვლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბაზარზე "სამსუნგის" ახალი მოდელები შევიდა, ეს განლაგებაც შეიცვალა: კორეულმა კომპანიამ მეორე ადგილი დაიჭირა, "მოტოროლა" მესამეზე აღმოჩნდა, მეოთხისათვის ბრძოლა კი "ალკატელსა" და "სიმენსს" შორის გაჩაღდა.

"სიმენსის" ახლანდელი წარმატება ნამდვილ შოკად უნდა იქცეს "მოტოროლასათვის." იმ გარემოებაზე, რომ გერმანული გიგანტი მისი უშუალო კონკურენტია და მალე შეიძლება უკანაც ჩამოიტოვოს, უკვე მოგახსენეთ. საქმე კიდევ იმაშია, რომ გასულ წელს "სიმენსსა" და "მოტოროლას" შორის სერიოზული მოლაპარაკებები მიდიოდა, რომელზეც "სიმენსის" მობილურების წარმოების ამერიკული კომპანიის ხელში გადასვლა ("მოტოროლას" გარკვეული სახის ბიზნესების სანაცვლოდ) თითქმის გადაწყდა. იმ პერიოდში "სიმენსის" მობილურების ბიზნესი დიდ სიძნელეებს განიცდიდა, კომპანიის ხელმძღვანელობამ ამ განყოფილებაში სამუშაო ადგილებიც სერიოზულად შეამცირა და "მოტოროლა" გერმანული გიგანტის მობილურების განყოფილებას საკმაოდ იაფიანად იგდებდა ხელში, მაგრამ საბოლოოდ გარიგება არ შედგა. "სიმენს მობაილის" იმდროინდელმა რეფორმებმა კი, როგორც ვხედავთ, შედეგი გამოიღო. ახლა მისი წილი მობილურების ბაზარზე 9 პროცენტს შეადგენს.

"სიმენს მობაილის" თავკაცის, რუდი ლამპრეხტის თქმით, კომპანიას უკვე მესამე თაობის მობილურებისთვისაც თადარიგი აქვს დაჭერილი. კერძოდ, გერმანულმა გიგანტმა გამოუშვა მესამე თაობის ახალი მოდელი, რომელიც კონკურენტი ფირმების მოდელებზე მომცროა, აღჭურვილია ორი კამერითა და მაღალი სიზუსტის ეკრანით. "მართალია, ამჟამად მესამე თაობის ქსელები ძალიან ცოტა ქვეყანაში მუშაობს და ამ სფეროში ინვესტიციების დაბანდებას ყველა ერიდება, მაგრამ ჩვენი მონაცემებით, მობილურების ბაზარი ერთობ მზარდია და მესამე თაობის ტელეფონების დროც მოვა," – აღნიშნა ლამპრეხტმა.

# არჩევნები სემეკ-საც შეეხო

*ორწლიანი მონდომებული მცდელობისა და მუშაობის შემდეგ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა "ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა მოახერხა. კერძოდ, მარეგულირებელ კომისიებთან ჩამოყალიბდა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომლის ხელმძღვანელსაც, ანტიმონოპოლიური სამსახურის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს სახალხო დამცველი. ამჯერად, ასეთი სამსახური საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში ჩამოყალიბდა.*

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს, სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელსაც ამავდროულად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი ხელმძღვანელობს და რომელმაც სემეკის საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე წარდგენილი ექვსი კანდიდატიდან დავით ებრალიძე უკვე აარჩია, მის თანაშემწეებს შეარჩევს. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (პროექტის ავტორებისა და ლობისტების სხვაგვარად მტკიცების მიუხედავად) სემეკში უკვე არსებულ სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტისაგან მხოლოდ ის ფუნქცია განასხვავებს, რომ სასამართლოში მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად ე.წ. მხარედ გამოსვლის ანუ ადვოკატის უფლება ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ დავით ებრალიძე "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონპროექტის" ერთ-ერთი ავტორია. თვითონ კანონპროექტის შექმნისათვის კი ფონდმა "ღია საზოგადოება საქართველომ" (სოროსის ფონდი) 12 ათასი აშშ დოლარის ოდენობის გრანტი გამოყო. კანონპროექტის მიხედვით აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელს მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის ოდენობის ხელფასი ენიშნება, ხოლო თანამშრომელთა სახელფასო თანხები კონკრეტულად განსაზღვრული არ არის. ხელფასებისათვის საჭირო ფული მარეგულირებელი ორგანოების ბიუჯეტიდან გამოიყოფა. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის, დემურ გიორხელიძის განმარტებით, (სწორედ ეს კომიტეტი ლობირებდა პარლამენტში კანონპროექტს) თანხები, რომლითაც საზოგადოებრივი დამცველის სამსახური უნდა დაფინანსდეს, **" მარეგულირებლების კუთვნილება არ გახლავთ, ეს არის მოქალაქეთა ფული"** (ანუ ის თანხა, რომელსაც მომხმარებელი დახარჯული ელექტროენერგიისათვის იხდის). დავით ებრალიძის განცხადებით, მარეგულირებელ ორგანოებში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შექმნით **"ბევრი რამ შეიცვლება"** - მოხდება სამომხმარებლო ტარიფების გადახედვა, რათა იგი რეალურ შესაძლებლობებსა და ხარჯებზე იყოს დაფუძნებული. გააქტიურდება მუშაობა ელექტროენერგიით მომარაგების კუთხით და სხვა.

უახლოეს დღეებში სემეკის მომხმარებელთა ინტერესების ახალი საზოგადოებრივი დამცველი ჟურნალისტებთან შეხვედრას და სამომავლო ინიციატივების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენას გეგმავს.

# საგადასახადო ამნისტია - „კარგად დავიწყებული ძველი" იდეა

ეთერ მამულაშვილი

*საგადასახადო ამნისტია ანუ ის, რასაც გარკვეული პოლიტიკური პარტიები ამ ბოლო დროს ამომრჩევლებს ჰპირდებიან, ექსპერტების შეფასებით, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობაა... წინასაარჩევნოდ 34 ათასამდე საწარმოსათვის და უფრო მეტი მოქალაქისთვის ასეულობით მილიონი ლარის პატიება, ერთი შეხედვით, მომხიბვლელად ჟღერს, მაგრამ ცალკეული ეკონომისტების შეფასებით, ეს პროცესი ქვეყანაში სახელფასო და საპენსიო დავალიანებების კიდევ უფრო გაზრდას გამოიწვევს. კიდევ ერთი, თუ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოსალოდნელ რეაქციას გავითვალისწინებთ, შესაძლოა რიგითი ამომრჩევლის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდეს. სავალუტო ფონდმა, რომელმაც საქართველოში პროგრამების აღდგენა, მისივე რეკომენდაციების გათვალისწინების პირობით შეაჩერა, ქვეყნის მთავრობას დაგროვილი დავალიანებების დაუყოვნებლივ ამოღება მოსთხოვა.*

ათ. ლარებში

| N | | სულ დავალიანება | ძირითადი | საურავი |
|---|---|---|---|---|
| 1 | რუსთავის მეტალურგიული კომბინატი | 92415.1 | 26570.7 | 65844.4 |
| 2 | ს.ს. "თბილსრესი" | 91075.6 | 26907.8 | 64167.8 |
| 3 | საქენერგო | 88898.7 | 30301.4 | 58597.3 |
| 4 | ენერგოგენერაცია | 65239.9 | 18946.6 | 46293.3 |
| 5 | ს.ს. "აზოტი" | 5603.5 | 13864.6 | 42208.9 |
| 6 | "თბილგაზი" | 34221 | 18257.5 | 15963.5 |
| 7 | ს.ს. "ჭიათურმანგანუმი" | 3033.9 | 10052.3 | 20881.6 |
| 8 | საქართველოს ელექტროსისტემა | 2328.1 | 18340.5 | 5587.6 |
| 9 | ე. ენერგიის საბითუმო ბაზარი | 17780.2 | 7477.4 | 10302.8 |
| 10 | ქიმბოჭკო | 15238.1 | 4318.8 | 10919.3 |

სახელმწიფოსადმი დაგროვილმა საგადასახადო დავალიანებებმა, მიმდინარე წლის პირველი სექტემბრის მონაცემებით, მილიარდ ცხრაას მილიონს გადააჭარბა. აქედან 798 მილიონზე ოდნავ მეტი არის ძირითადი ვალი, ხოლო დანარჩენი - წლების განმავლობაში დარიცხული საურავია, რომლის საერთო მოცულობა 1.4-ჯერ აღემატება ძირითად ვალს. საჯარიმო თანხა მილიარდ ორას მილიონს უახლოვდება. ვალის უმეტესობა საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედ თუ უკვე გაკოტრებულ საწარმოებს ერიცხებათ. მათი საერთო რაოდენობა, საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, მილიარდ ხუთას მილიონს აღწევს. მსხვილ მევალეებს შორის არიან: "თბილგაზი", ს.ს. "აზოტი", ს.ს. "თბილსრესი", ს.ს. "ჭიათურმანგანუმი", რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და სხვა.

დანარჩენი – დაახლოებით, ოთხას მილიონზე ოდნავ მეტი ლარი, მოსახლეობის მიერ დაგროვილი დავალიანებაა, საშემოსავლო, საპენსიო თუ მიწის გადასახადის სახით.

საგადასახადო ამნისტიის ერთ-ერთი ავტორი "ახლებიც" არიან. მილიარდ ცხრაასი მილიონის ერთი ხელის მოსმით ჩამოწერას "ახალი მემარჯვენეები" 2 ნოემბრის არჩევნებით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გეგმავენ. "ახლების" შეფასებით ეს ვალი ქვეყანას უიმედო ტვირთად აწევს და მისი დიდი ნაწილი მკვდარ ვალს განეკუთვნება. გიორგი კვირიკაშვილი, "მემარჯვენეების" წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამის ერთ-ერთი ავტორი, დარწმუნებულია, რომ ხსენებული ვალი გადახდას არ ექვემდებარება. უფრო მეტიც, კვირიკაშვილის მტკიცებით, ის მუდმივი შანტაჟისა და კორუფციის ერთ-ერთი საფუძველი ხდება. **"სახელმწიფოსადმი დაგროვილი დავალიანებების დიდი ნაწილი უიმედო ვალია, რადგანაც მევალეების უმრავლესობა დღეს არარსებული სუბიექტები არიან. საწარმოთა უმრავლესობა, რომელზედაც მილიარდზე მეტი ლარი ვალის სახით ირიცხება, დღეს ლიკვიდირებულია. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ უფრო მართებული იქნება, თუკი ამ ვალს გავაუქმებთ"**, - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გიორგი კვირიკაშვილმა.

საგადასახადო დავალიანებების გაუქმებას ექსპერტთა და ეკონომისტთა ერთი ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ისინი იმ უსამართლობაზე მიუთითებენ, რომელიც კეთილსინდისიერ გადამხდელებთან გარკვეულ დისონანსს და უხერხულობას ქმნის. **"რა გამოდის ეს? ამით ჩვენ გადამხდელებს პირდაპირ ვეუბნებით: რა სულელები იყავით თქვენ, როცა ამ გადასახადებს იხდიდით, მოგეცადათ ცოტა ხანი, მოვიდოდით ხელისუფლებაში და ჩამოგაწერდით. რბილად რომ ვთქვა, ეს პოლიტიკურად უპასუხისმგებლო და ბევრი კეთილსინდისიერი მეწარმისათვის შეურაცხმყოფელი ნაბიჯი იქნება",** - ასეთ შეფასებას დამოუკიდებელი ექსპერტი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი აკეთებს.

ჩვენთან საუბრის დროს, ეკონომისტები დაახლოებით შვიდი წლის წინათ განვითარებულ მოვლენებსაც იხსენებდნენ, როცა მაშინდელი ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის ინიციატივით, ქვეყანაში საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერის საკითხი დადგა დღის წესრიგში. მაშინ ძალიან ბევრმა გადამხდელმა გადასახადების გადახდაზე უარი თქვა, რამაც ძალიან მოკლე ხანში ქვეყანაში გაუცემელი პენსიების, ხელფასებისა და სხვადასხვა შემწეობების რაოდენობა მკვეთრად გაზარდა. სახელმწიფოსადმი დაგროვილი დავალიანებების ჩამოწერის შემთხვევაში, ექსპერტები იგივე მოვლენის განმეორებას არ გამორიცხავენ.

თუმცა, იგივე ექსპერტები სახელმწიფოსადმი დაგროვილ საგადასახადო დავალიანებაში ე.წ. მკვდარი ვალების არსებობასაც აღიარებენ. **"ბუნებრივია, ასეთი ვალი მილიარდ ცხრაას მილიონში აუცილებლად იქნება და ის აუცილებლად უნდა ჩამოიწეროს. ასეთი ტიპის ვალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს და ცალკე უნდა დაითვალოს. კანონით, გაკოტრებული საწარმოს ვალებს მისი სამართალმემკვიდრე იხდის, მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში კი, ვალის გაუქმება ხდება",** - გვითხრა ეკონომისტმა ნიკო ორველაშვილმა.

საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, ჩამოსაწერი ვალების რაოდენობა ძირითადი ვალის 25 პროცენტს არ აღემატება.

სხვათა შორის, სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს მთავრობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს შორის, დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების ამოღების საკითხიც პრიორიტეტად არის მიჩნეული. ექსპერტების უმრავლესობა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლად საგადასახადო დავალიანებების გრძელვადიან რესტრუქტურიზაციას მიიჩნევს. სავალუტო ფონდის მიერ ქვეყნის ხელისუფლებისადმი დატოვებულ რეკომენდაციებს შორის ეს საკითხიც არის გათვალისწინებული.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ენერგოორგანიზაციებს შორის მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, თბილისის ელექტროენერგიით მომარაგება კვლავ შეზღუდვებით ხორციელდება. კომპანია "თელასი" და სახელმწიფო ელექტროსისტემა ერთმანეთის გამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებენ, რეალურად, მოსახლეობის 20-30 პროცენტი გამორთულია. "თელასში" ამის მიზეზად სისტემაში სიხშირის ვარდნას ასახელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ყურძნის ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობას ვერც ერთი მოქმედი კომპანია ვერ მოიპოვებს, - ასეთია საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის დასკვნა, რომელიც ამ ბაზრის შესწავლის შედეგად გაკეთდა. აქ მოღვაწე ყველა მსხვილ კომპანიას (ასეთი, დაახლოებით, 50-მდეა) აქვს საკუთარი ახალშენი ვენახები, რომლებიც მომავალი წლიდან მოსავალს მისცემს, ამიტომ კომპანიები ფერმერებისგან ყურძნის შესყიდვას შეამცირებენ. შესაბამისად, შემცირდება ყურძნის შესასყიდი ფასიც.

ანტიმონოპოლიური სამსახური სახელმწიფოსგან გარკვეული ზომების მიღებას ითხოვს. პირველ რიგში, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საშუალებებით, ადგილობრივ ბაზარზე უნდა შემცირდეს ფალსიფიცირებული და სპირტზე დამზადებული ღვინოების რეალიზაცია და მათი ადგილი ფერმერებისგან შესყიდული ყურძნისგან დამზადებულმა ღვინომასალებმა უნდა დაიკავოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს რეგიონებში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა დაიწყო, რომელიც, გეგმის მიხედვით, 180 ათას ჰექტარზე უნდა განხორციელდეს. აქედან დაახლოებით 160 ათასი ჰექტარი - ხორბალი იქნება. სამუშაოების დროულად ჩატარებას საწვავის სიძვირე აფერხებს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამას ხარისხიანი სათესლე მასალის დეფიციტიც ემატება. საქართველოში ხორბლის ელიტური ჯიშების სათესლე მასალა არ იწარმოება. რუსეთში კი ტონა სათესლე ხორბალი, სულ ცოტა, 460 დოლარი ღირს. საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორი ქვეყნების დახმარებას კი მიმდინარე წელს სამინისტროში არ ელოდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრასეკას" და "დიდი აბრეშუმის გზის" პროექტების რეალიზება-განხორციელებისათვის უზბეკეთი მზადაა, ქართულ მხარეს შესაბამისი თანადგომა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს.

როგორც გუშინ, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფმა უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა განაცხადა, იმისათვის, რომ ფოთის პორტის კონკურენტუნარიანობა და, შესაბამისად, "ტრასეკასადმი" ინტერესი გაიზარდოს, უზბეკეთის მხარე მზადაა, უზბეკური ბამბის ტრანზიტი საქართველოში 100 ათასი ტონა გახადოს.

ქარიმოვის თქმით, "აბრეშუმის გზასა" და "ტრასეკას" პროექტებს მართლაც დიდი პერსპექტივა აქვთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი რიგი სახელმწიფოები ამ პროექტების განხორციელებისას, პირველ რიგში, ეკონომიკური და არა პოლიტიკური ინტერესებით იხელმძღვანელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გადახდის კარგი მაჩვენებლის მქონე მომხმარებლისათვის დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში ელექტროენერგიის მიწოდება ვერ ხერხდება. ამის მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოში მომუშავე გამანაწილებელი ენერგოკომპანიები აზერბაიჯანიდან იმპორტის განხორციელებას არ აპირებენ.

სემეკში განაცხადეს, რომ სისტემას აზერბაიჯანიდან იმპორტის განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობა გააჩნია, თუმცა, ელექტროენერგიის შემოტანის თაობაზე კომისიაში განაცხადი არც კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას და არც "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" არ შეუტანიათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,10 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა.

სულ ვაჭრობაში ხუთი კომერციული ბანკი მონაწილეობდა, მათ შორის სამი - გამყიდველის და ორი - მყიდველის სტატუსით. დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 900 000 აშშ დოლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავლაბრისა და მთაწმინდის მოსახლეობის გარდა, ბუნებრივი აირის მიწოდება დღეს მთელ თბილისს აღუდგება. ამის შესახებ გუშინ "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ განაცხადა. მისი თქმით, ს/ს "ინჟმშენმა" ავლაბრისა და მთაწმინდის გაზგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია ჯერ ვერ მოახერხა, რადგან ფინანსთა სამინისტრომ "ინჟმშენის" კუთვნილი თანხის გადარიცხვა ვერ უზრუნველყო.

შეგახსენებთ, რომ "თბილგაზის" ქსელების რეაბილიტაციისთვის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4,2 მლნ. ლარი გამოიყო, თუმცა აღნიშნული თანხა სეკვესტრში მოჰყვა და 1,5 მლნ. ლარამდე შემცირდა. ტენდერში გამარჯვებულ "ინჟმშენს", რომელსაც რეაბილიტაცია უნდა განეხორციელებინა, შემცირებული თანხაც კი არ მიუღია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**კახეთი.** "კახეთის ენერგოდისტრიბუციას", რომელიც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში გამანაწილებელი კომპანიებიდან საუკეთესო გადამხდელია, მოთხოვნილი ელექტროენერგიის მხოლოდ 15-20 პროცენტი მიეწოდება. ამის გამო, კახეთის რეგიონი თითქმის მთლიანად არის ჩაბნელებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს მდივანი კახა უგულავა გუშინ ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა. იგი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის - „გრეკოს" (ევროპის ქვეყნები - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში) პლენარულ სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. ასამბლეაზე კახა უგულავა საქართველოში შექმნილი კორუფციული მდგომარეობის შესახებ მოხსენებას არ გააკეთებს. ამ შეხვედრაზე "გრეკოს" სხვა წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა ანგარიშებს მოისმენენ. **მედია-ნიუსი**

# ჰოლანდიის პრინცმა ტახტს სიყვარული ამჯობინა

ჰოლანდიის პრინცმა იოჰან ფრიზომ განაცხადა, რომ უარს ამბობს ტახტის დაკავების უფლებაზე, რათა საყვარელ ქალზე დაქორწინების უფლება მიიღოს.

ამ ქვეყნის კანონის თანახმად, პრინცმა, რომელსაც სამეფო ტახტზე აქვს პრეტენზია, დაქორწინების უფლება მთავრობისა და პარლამენტისაგან უნდა მიიღოს.

ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა იან პეტერ ბელკენენდემ განაცხადა, რომ მთავრობა არ იწონებს პრინცსა და მაბელ ვისე სმიტს შორის ქორწინებას, რადგან საპატარძლომ აღიარა, რომ მას ადრე ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ განგსტერთან.

დღეს პრემიერ-მინისტრისათვის გაგზავნილ წერილში იოჰან ფრიზო აცხადებს, რომ უარს ამბობს ტახტზე ყოველგვარ უფლებაზე და მაბელზე დაქორწინებას აპირებს.

"ინფორმაცია, რომელიც წყვილმა მოგვაწოდა, არასრულყოფილი იყო, ამიტომ მთავრობა ამ ქორწინებას მხარს ვერ დაუჭერს," – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

ნიშნობიდან ორი თვის შემდეგ, მაბელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სტუდენტობის დროს იცნობდა ცნობილ განგსტერს კლაას ბრუინსმას, მაგრამ მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა, როდესაც მისი საქმიანობის შესახებ შეიტყო.

ამ ურთიერთობების დეტალების შესახებ საზოგადოებამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ბანდიტის ყოფილი პირადი მცველის განცხადებიდან შეიტყო, საიდანაც ირკვევა, რომ მაბელი და ბრუინსმა საყვარლები იყვნენ. განგსტერი 1991 წელს მოკლეს.

მოგვიანებით, ეს ფაქტი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას საპატარძლომაც აღიარა, თუმცა ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა განგსტერთან უარყო.

"სამეფო ოჯახში საქმე კარგად ვერ არის, მაგრამ ამას კრიზისს ვერ დავარქმევდი," – აცხადებს ბელკენენდე.

ეს სკანდალი, რომელიც "მებელგეიტის" სახელით გახდა ცნობილი, ერთ-ერთია იმ სერიაში, რომელიც სამეფო ოჯახის გარშემოა ატეხილი.

პირველად უკმაყოფილება გამოიწვია კრონ-პრინცის ვილემ ალექსანდრეს მიერ იმ ქალისათვის ხელის თხოვნამ, რომლის მამაც არგენტინის ხუნტაში მონაწილეობდა.

ახლანდელი წყვილისათვისაც სკანდალი ახალი ხილი არ არის. ორი წლის წინ მთავრობამ სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა, რომელშიც აცხადებდა, რომ პრინცი გეი არ არის. რაც შეეხება მაბელს, იგი ადრე ბოსნიის საგარეო საქმეთა მინისტრთან მეგობრობდა, რომელიც 2,5 მილიონი დოლარის ქურდობისათვის დააკავეს.

*როიტერი*

# ნობელის მშვიდობის პრემია ირანელ ქალს ერგო

ოსლოში ბოლო წუთამდე გაცხარებული კამათი მიდიოდა იმის შესახებ, ვის უნდა მიეღო ნობელის მშვიდობის პრემია. ჯილდოსათვის 165 ადამიანი ეცილებოდა ერთმანეთს და კონკურენცია იმდენად დიდი იყო, რომ ტოტალიზატორებმა ფსონების მიღებაც კი დაიწყეს.

ბუკმეკერების აზრით, ყველაზე რეალური კანდიდატურა რომის პაპი იოანე პავლე მეორე იყო. არავინ იცის, იცოცხლებს თუ არა კათოლიკური ეკლესიის მეთაური პრიზების მორიგ გადაცემამდე. ეს კი მის შანსებს ერთი-ორად ზრდიდა.

სერიოზულ კანდიდატურად განიხილებოდა ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი, ვაცლავ ჰაველიც.

მოულოდნელად, პრემია და მასთან ერთად 1,3 მილიონი დოლარი ფართო საზოგადოებისათვის უცნობმა ირანელმა იურისტმა შირინ ებადიმ მიიღო.


შირინ ებადი: "შეიძლება მუსულმანი იყო და დემოკრატიას უჭერდე მხარს".

ებადი პირველი ქალი მოსამართლე იყო ირანში. 1979 წელს ისლამური რევოლუციის შემდეგ, მას პოსტი დაატოვებინეს, რადგან ახალი ხელისუფლების აზრით, ამ საქმისათვის ქალები მეტისმეტად ირაციონალურნი და ემოციურები არიან.

მას შემდეგ ებადიმ სახელი გაითქვა, როგორც ქალებისა და ბავშვების უფლებებისათვის აქტიურმა მებრძოლმა. ამას გარდა, სასამართლო პროცესებზე იგი პოლიტიკურ დისიდენტებს იცავდა, და მონაწილეობდა საქმეებში, რომელსაც სხვა ვერავინ ხელს ვერ ჰკიდებდა. ამისათვის 2000 წელს იგი ციხეშიც მოხვდა.

"ყველამ, ვინც ირანში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ზრუნავს, მთელი ცხოვრება შიშში უნდა გაატაროს, – განაცხადა ებადიმ 1999 წელს მიცემულ ინტერვიუში, – მაგრამ, მე ვისწავლე, როგორ უნდა დამეძლია შიში"

"ვცდილობ, დავწერო კოვზის ტარით ცემენტის კედელზე, რომ მესამე მსოფლიოში დაბადებულებს ბედმა მთელი ცხოვრება ტანჯვა გვარგუნა. დროსა და ადგილს ვერსად გავექცევით. ასე რომ, უნდა მოვითმინოთ, მეტი რა დაგვრჩენია," – წერდა იგი ციხის საკანში მჯდარი.

როდესაც პრემიის მიღების შესახებ შეიტყო, მან განაცხადა: "მე მუსულმანი ვარ. ასე რომ, შეიძლება მუსულმანი იყო და დემოკრატიას უჭერდე მხარს. ეს ფაქტი დადებითად იმოქმედებს ირანში ადამიანის, განსაკუთრებით, ბავშვთა უფლებებზე. იმედი მაქვს, ჩემს ქვეყანას გამოვადგები."

წელს, ებადის გარდა, ნობელის პრემია მიიღეს:

ლიტერატურაში: სამხრეთ აფრიკელმა ჯ.მ. კოეტცემ;

მედიცინაში: ამერიკელმა პოლ ლაუტერბურმა და ბრიტანელმა პიტერ მენსფილდმა;

ფიზიკაში: რუსებმა ვიტალი გინზბურგმა და ალექსეი აბრიკოსოვმა და ბრიტანელმა ენტონი ლეგეტმა;

ქიმიაში: ამერიკელებმა პიტერ ეგრიმ და როდერიკ მაკკინონმა;

ეკონომიკაში: ამერიკელმა რობერტ ენგლმა და ბრიტანელმა კლივ გრეინჯერმა.

# რუსულ-ებრაული იარაღი ინდოეთისათვის

ინდოეთმა და ისრაელმა თავდაცვის სფეროში სარეკორდო მოცულობის კონტრაქტი გააფორმეს. ინდოეთი აპირებს, ისრაელისაგან უახლესი "ფალკონის" ტიპის საჰაერო სადაზვერვო-სარადარო მოწყობილობა შეიძინოს, რომელიც რუსული ილ-76 ტიპის თვითმფრინავებზე დამონტაჟდება.

ეს "სიამოვნება" ინდოეთს 1 მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდება.

"სამმხრივ ხელშეკრულებას რუსეთისა და ისრაელის მხარესთან დღეს დილით მოეწერა ხელი," – განაცხადა გუშინ ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ.

პაკისტანმა უკვე არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება ინდოეთსა და ისრაელს შორის სამხედრო თანამშრომლობის ზრდასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, პაკისტანს ძალზე დაძაბული ურთიერთობა აქვს ინდოეთთან. ბირთვული იარაღით აღჭურვილი ეს ორი სახელმწიფო შარშან ომის ზღურბლზე იდგა.

ახალი სადაზვერვო თვითმფრინავები ინდოეთს საშუალებას მისცემს, პაკისტანის თითქმის მთელი საჰაერო სივრცე აკონტროლოს.

ინდოეთს ასევე სურს, ისრაელისაგან "ეროუს" ტიპის რაკეტსაწინაამლდეგო თავდაცვის სისტემა შეიძინოს. მაგრამ, ამ გარიგებაზე თანხმობას არ იძლევა ვაშინგტონი, რომლის ფულითაც ისრაელმა ეს იარაღი შექმნა.

ის კი არა, ვაშინგტონი გუშინ ხელმოწერილი შეთანხმების დაბლოკვას დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა. ტერორიზმის წინააღმდეგ ომში პაკისტანი აშშ-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა.

მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც "ჩემი მეგობრის მეგობარი ჩემი მეგობარი არ არის." ისრაელს გაცილებით უკეთესი ურთიერთობა აქვს ინდოეთთან, ვიდრე თუნდაც ანტიტერორისტული კოალიციის წევრ, მაგრამ ისლამურ პაკისტანთან.

# ანატოლი ჩუბაისის ლოზუნგები

პირველი გვერდიდან

**ანატოლი ჩუბაისი: "რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ვგრძნობთ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერას. დღეს, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან ერთად, კიდევ ერთხელ მიმოვიხილეთ საკითხთა მთელი სპექტრი. ზამთარი საიმედო გვექნება. თუკი "კავკასიონის" გადამცემ ხაზებზე რაიმე შეფერხება დაფიქსირდება, სომხეთ-საქართველოს ენერგოსისტემების ამოქმედებას ვეცდებით"** (ბრიფინგზე გამოსულ დელეგაციის წევრთა შორის ბატონი მამუკა ნიკოლაიშვილი არ ყოფილა. ჩუბაისს გვერდს მისი მოადგილე უმშვენებდა).

რაო "ეეს"-ის მმართველის კომენტარით, **"დსთ-ს ერთიანი ენერგობაზრის შექმნა ამ სივრცის რეალური ინტეგრაციის უნიკალური მაგალითია".** ჩუბაისი აცხადებს იმასაც, რომ **"რუსული ენერგომონოპოლიის მთავარი მონაპოვარია დსთ-ს ენერგოსისტემების პარალელური, სინქრონული მუშაობა. ასეთი სინქრონიზაცია ჩვენ არც ერთ სფეროში არ გვაქვს."**

დსთ-ს ერთიანი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ამოქმედება მომავალში რომ ყველაზე პრობლემური საკითხი იქნება, ამაზე ჩუბაისის დაქანცული გამომეტყველებაც მეტყველებდა. მან ასევე ოხვრით აღნიშნა, რომ დრამატულ მოვლენებთან გვექნება საქმე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული სფეროს გაერთიანების დროს. სხვათა შორის, ეს საკითხი მეორე და უმთავრესი იყო მოსკოვში გამართულ სხდომაზე. ჩუბაისი გრძნობს, რომ მთავარი "ეკლები" ბალტიის რესპუბლიკების მორჯულების გზაზე ელოდება: **"საიმედოობა ერთადერთი გზაა სახელმწიფოთაშორისი ენერგეტიკული ბაზრის განვითარებაში, ამ გზაზე სიარული რომელიმე რესპუბლიკაში ტანკებით შევარდნას გამორიცხავს".**

# ოჯახი სახელმწიფოს წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ნეპოტიზმი ერაყელებისათვის არა საზოგადოებრივი პრობლემა, არამედ ზნეობრივი ვალდებულებაა. როდესაც ამერიკელები ამბობენ, რომ ერაყის ახალი ხელისუფლება ჯერ საზოგადოებას უნდა ემსახუროს, და მერე საკუთარ ოჯახს, ამაზე ერაყელებს სიცილი უტყდებათ.

"ამ ქვეყანაში ყველა, ვინც ხელისუფლებაში მოვა, თანამდებობებზე თავის ნათესავებსა და თანასოფლელებს დანიშნავს," – ამბობს შეიხ იუსუფი, იქბალ მუჰამედის ოჯახის უფროსი. 21 შვილი და 83 შვილიშვილი მას თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. "სწორედ ასე მოიქცა სადამი, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა და ახლა მის მიერ "პატივნაცემი" ნათესავები მას ამერიკელებისაგან იცავენ."

სადამიც თავის ბიძაშვილზე იყო დაქორწინებული, რომელთანაც ერთ სახლში იზრდებოდა. მან თავისი შვილებიც მათსავე ბიძაშვილებზე დააქორწინა. შეიხ იუსუფიც ამბობს, რომ მას არავისთვის მოუთხოვია, მაინცადამაინც ბიძაშვილებს გაყოლოდნენ ცოლად, მაგრამ მისი შთამომავლების ნახევარი მაინც ასე მოიქცა.

"მამაჩემმა მითხრა, რომ მე უკვე საკმაოდ მოზრდილი ვიყავი და ცოლის მოყვანის დრო იყო. მეც დავეთანხმე. მან და დედაჩემმა მირჩიეს, იქბალზე დავქორწინებულიყავი. ჩემი სურვილიც ეს იყო. ჩვენ ვიცნობდით ერთმანეთს. ბოლოსდაბოლოს, გაცილებით მარტივია, ოჯახის წევრზე დაქორწინდე, ვიდრე უცხოზე," – ამბობს მუჰამედი, იქბალის ქმარი.

ქორწინების შემდეგ იქბალი მამამთილის, შეიხ იუსუფის სახლში გადავიდა. მშობლებთან ცხოვრება დასავლური ოჯახისათვის შეიძლება ნამდვილ კოშმარად იქცეს, თუმცა, ერაყში პირიქითაა. იქბალი ამბობს, რომ მას პრობლემები მაშინ გაუჩნდა, როდესაც მამამთილმა განაცხადა, რომ ის და მისი ქმარი უკვე საკმარისად დიდები იყვნენ იმისათვის, რომ ცალკე ეცხოვრათ და თავისი სახლის გვერდით ახალი სახლი აუშენა.

ცოლიც და ქმარიც ამბობენ, რომ მათ საშინლად მარტოდ იგრძნეს თავი და გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს ამერიკელი შვილებისა და მშობლების მიმართ, რომლებიც ხშირად ერთმანეთისაგან ათასობით მილის დაშორებით ცხოვრობენ.

იგივეს ამბობს 82 წლის შეიხ იუსუფიც. "ჩემი შვილების უნახავად ერთი კვირაც ვერ გავძლებ." მართალია, რამდენიმე ქალიშვილი სხვა პარტიარქალური კლანის წარმომადგენლებზე გათხოვდა, მაგრამ შვილების უმეტესობა სახლიდან შორს არასოდეს მიდის.

მუჰამედი და კიდევ სამი ვაჟიშვილი მასთან ერთად ცხოვრობენ ფერმაში და ერთად მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი და ფორთოხალი. ექვსი ვაჟი 20 კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს, მაგრამ ხშირად მოდიან ფერმაში, განსაკუთრებით, გაჭირვების დროს. ომის დროს მთელი კლანი იქ ცხოვრობდა.

ოჯახის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანია ტომი – "სადა" – რომელშიც რამდენიმე ათასი წევრი შედის. ტომის წევრები ერთმანეთს, ძირითადად, ლოცვის დროს ხვდებიან. "მე ვეუბნები ჩემს შვილებს, რომ არ შევიდნენ სხვა ჯგუფებში და კლუბებში. ჩვენ დეზერტირები არ გვჭირდება. მთავარია, ოჯახის ერთიანობა შევინარჩუნოთ," – ამბობს შეიხ იუსუფი. თავისი ნათქვამის დასადასტურებლად, იგი შლის ორი მეტრის სიგრძის გრაგნილს, რომელზეც ოჯახის ისტორიაა აღწერილი. იგი სავსეა ბიძაშვილებს შორის ქორწინების ფაქტებით.

ამგვარი ქორწინებები ერთ დროს მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის ხანგრძლივი მცდელობის შედეგად, ევროპაში ამ პრაქტიკას ტაბუ დაედო. წმ. ავგუსტინე და თომა აკვინელი ამტკიცებდნენ, რომ მეტისმეტი ერთგულება ოჯახისადმი ზიანს აყენებს საყოველთაო სიყვარულსა და საზოგადოებრივ ჰარმონიას. ბიძაშვილებს შორის ქორწინების აკრძალვამ ხელი შეუწყო კლანების შესუსტებას და უფრო მსხვილი სოციალური ჯგუფების, მათ შორის - ეკლესიის გაძლიერებას.

მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ ნათესავებს შორის ქორწინება გენეტიკური დაავადებების რისკს ზრდის, დასავლეთში ბიძაშვილებს შორის ქორწინება ძალზე იშვიათი გახდა, თუმცა ეს პრაქტიკა შემორჩა ახლო აღმოსავლეთში, ყველაზე მეტად კი – ერაყში, სადაც იდეალურ ქორწინებად ითვლება, როდესაც ქალი მამამისის ძმის შვილზე თხოვდება.

"ტრადიციული ერაყელები, რომლებიც თავიანთ ბიძაშვილებზე ქორწინდებიან, უცხოელებს ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ, – ამბობს ბაღდადის უნივერსიტეტის პროფესორი ჰასანი, - თანამედროვე სახელმწიფოში მოქალაქეები ვალდებულნი არიან თავიანთი სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ ჩვენნაირ საზოგადოებაში მხოლოდ ოჯახის, ან ტომის წინაშე. რაც არ უნდა დააშავოს შენი კლანის წევრმა, შენ მას ყოველთვის იცავ. ასევე ექცევიან სხვებიც თავიანთ ნათესავებს".

რაც უფრო ურბანიზებული და განათლებულია ერაყელი, მით მეტია შანსი, რომ იგი არ დაქორწინდება ნათესავზე და ლიბერალურ ღირებულებებს შეითვისებს. მაგრამ, კლანური ტრადიციები ბაღდადში ჯერ არ გამქრალა. ქალაქის საუკეთესო სასტუმროებში ახლაც ხშირად იმართება ნათესავებს შორის ქორწინება. არაბულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ქორწინებათა ნახევარი ბიძაშვილებს შორის ხდება.

ამერიკელები ცდებოდნენ, როდესაც აცხადებდნენ, რომ ომის შემდეგ ქვეყნის აშენება ისევე სწრაფად და იოლად მოხდებოდა, როგორც ომისშემდგომ გერმანიასა და იაპონიაში მოხდა. "ერაყის სოციალური სტრუქტურა აბსოლუტურად განსხვავებულია იმისაგან, რაც ამ ორ ნამდვილ სახელმწიფოში არსებობდა. გერმანელები და იაპონელები პატრიოტები იყვნენ, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ თანამშრომლობისთვის, მაშინ, როდესაც ერაყი უფრო კლანების ერთობას წარმოადგენს, ვიდრე სახელმწიფოს," – წერს სტივენ სეილერი

სკეპტიკოსები აცხადებენ, რომ ისტორია მათ მხარესაა. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების ისტორია - ესაა ანარქიისა და მორიგი კლანის დომინირების მონაცვლეობა.

ოპტიმისტები კი ამბობენ, რომ ცხოვრების ტრადიციული წესისა და დემოკრატიის თანაარსებობა შესაძლებელია. "იაპონიამ და ინდოეთმა მოახერხეს ტრადიციული სოციალური სტრუქტურის შენარჩუნებაცა და დემოკრატიის მშენებლობაც, ეს ერაყმაც შეიძლება მოახერხოს, – ამბობს სტივენ კურტცი, ჰუვერის ინსტიტუტის ანთროპოლოგი, – მაგრამ ამას დრო სჭირდება და ისეთი ტრადიციების პატივისცემა, როგორიცაა, მაგალითად, ჩადრის ტარება."

"ჩადრების მთავარი მიზანი ისაა, რომ მათი მატარებელი ქალების ბიძაშვილები უცხო მამაკაცების კონკურენციისაგან დაიცვას. თუ ქალებს ჩადრების მოხსნას მოსთხოვთ, ეს იქნება დარტყმა მთელ ახლო აღმოსავლურ სოციალურ სისტემაზე."

შეიხ იუსუფსა და მის შვილებს დემოკრატიისა და ამერიკის დაპირებებისა არაფერი სწამთ. "იცით, რატომ ვერ დაიჭირეს სადამი? – კითხულობს სალეჰი, იუსიფის უფროსი ვაჟი, – იმიტომ, რომ მისი ოჯახი მას არასოდეს გასცემს, სხვები კი არ დაიჯერებენ, რომ ამერიკელები დაპირებულ ჯილდოს მართლა მისცემენ." რაც შეეხება სადამ ჰუსეინის ვაჟების დამბეზღებლისათვის 30 მილიონის გადახდას, სალეჰს ეს ტყუილი ჰგონია.

"გარწმუნებთ, ეს ყველაფერი ტყუილია. ამერიკელებმა მოიყვანეს ოპერატორი და დამბეზღებელს ფული კამერის წინ გადასცეს, შემდეგ თურქეთის საზღვართან წაიყვანეს და მოკლეს. ის ფული კი თავიანთ ოჯახებში წაიღეს."



# ნუ გაგვრიყავთ!

*-"კარ-ფანჯარა უნდა გავაღოთ და მივიღოთ!*
*- ვინ, გიჟები?!*
*-კარგი ერთი, ვინ იცის, ვინ არის გიჟი და ვინ ჭკვიანი?!"*
*მოსმენილიდან.*

დალი კუპრავა

გუშინ, ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს ქარვასლაში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მიერ მოწყობილი გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე ფსიქიურად დაავადებული ადამიანების შემოქმედება იყო წარმოდგენილი: ფერწერა, თექა, აბრეშუმი, თიხა, ხელნაკეთი საყოფაცხოვრებო ნივთები. ყველა ექსპონატი შეფასებული იყო და დამთვარიელებელთან ერთად მყიდველსაც ელოდა. შემოსავალი ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობას მოხმარდება.

თუ ადამიანი ქუჩაში ფეხს იღრძობს, საზოგადოება მას უმალ აღმოუჩენს დახმარებას და ამაში ყველა მიიღებს მონაწილეობას: გამვლელები, პოლიციელები, ექიმები, "მაგრამ თუ ტვინს იღრძობთ, ნურავისგან დაელოდებით შველას, - გვეუბნება ამერიკელი ფსიქიატრი და თავის საზოგადოებას ამუნათებს,- რა დააშავეს ფსიქიკურად დაავადებულმა ადამიანებმა, რატომ არიან ისინი დახმარებას მოკლებულნი"?! სტატისტიკურად, აშშ-ში ფსიქიური სნეულებების სამკურნალოდ საერთო სამედიცინო ხარჯებზე გამოყოფილი თანხის მხოლოდ 10-12 პროცენტია გამოყოფილი.

შესაბამისად, იოლი წარმოსადგენია, რა ხდება საქართველოში და რა სახსრები ხმარდება აღნიშნული დაავადებების მკურნალობას და რეაბილიტაციას.

რაც შეეხება საზოგადოების დამოკიდებულებას ამ ტიპის ავადმყოფებთან, ეს პრობლემა სხვა, განვითარებულ ქვეყნებშიც აქტუალურია და, მით უმეტეს – საქართველოში. ძნელია, რაიმე მოსთხოვო იმ საზოგადოებას, რომელიც ფსიქიური აშლილობის ზღვარზე ისედაც დგას, რადგან სხვა ფაქტორებთან ერთად ფსიქიკურ დაავადებებს იწვევს სოციალური ფაქტორები. არავინაა დაზღვეული ამ დაავადებისგან - ბავშვი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, მდიდარი თუ ღარიბი.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი "ნდობა", სოციალური თერაპიის სახლი ცდილობენ, საზოგადოებაში დაამკვიდრონ დამოკიდებულება, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში, და რომ დაუშვებელია მათი იზოლირება ან შეზღუდვა. ადამიანის ინდივიდუალობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაითრგუნოს და ამის საუკუნეებით გამოცდილი საშუალებაა ხელოვნებითი თერაპია. ყოველ ადამიანში დევს შემოქმედებითი უნარი და შესაძლებელია ამის გამოღვიძება და სამკურნალოდ წარმართვა. "ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის დროს, თითქოს, სიბნელეში ვიყავი, მინდა დავივიწყო..... რაც აქ, ხელოვნებით თერაპიის დროს განვიცადე, ამას ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დავივიწყებ,"- ამბობს გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე.

ნუ გაურბიხართ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებს. ეს, შეიძლება, ყოველ ჩვენგანს დაემართოს და იპოვეთ თქვენში ძალა, შეებრძოლოთ ცრურწმენასა და მცდარ შეხედულებებს, - მოგვიწოდებენ გამოფენის ორგანიზატორები და, მათ თუ არა, საზოგადოება ექსპონატებს მაინც უნდა ერწმუნოს.

"მეორეხარისხოვანი ადამიანები არ არსებობენ,"- ამის რწმენა განსაკუთრებით იმ სტიგმებით (დამლებით) სავსე ქვეყანაშია საჭირო, სადაც ადამიანი "პირველხარისხოვნად" არ ითვლება, თუ პარლამენტში მოხვედრას არ უმიზნებს.

# ინერტული დირექტორები და აქტიური ახალგაზრდა მასწავლებლები

*როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვაუწყეთ, საკრებულოს ინტერფრაქციულმა ჯგუფმა დედაქალაქის განათლების სისტემის განვითარების პროგრამა მოამზადა. გასულ კვირას საკრებულოს განათლების საკითხების კურატორმა ბატონმა გია მურღულიამ პროექტი გასაცნობად სკოლის დირექტორებსა და ახალგაზრდა პედაგოგებს გადასცა. გუშინ საკრებულოში პროექტი ახალგაზრდა მასწავლებლებმა განიხილეს, ოთხშაბათს კი ამავე საკითხზე სკოლის დირექტორებს უნდა ემსჯელათ.*

ნინო ცინცაძე

"შაგრენის ტყავივით არ უნდა შევმცირდეთ", - ასე დაიწყო ოთხშაბათის შეხვედრა ბატონმა გია მურღულიამ. თბილისში 205 საშუალო სკოლაა, შეკრებაზე კი მხოლოდ ხუთი დირექტორი და ერთი დირექტორის მოადგილე გამოცხადდა. უხერხული სიტუაციის განეიტრალება ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა სცადა: - "ჩვენი ბრალი არ არის, არჩევნებთან დაკავშირებულ ტრეინინგებზე დღეში ორ-სამჯერ გვიბარებენ, ხან სად და ხან სად. ჩვენც ვცდილობთ არავინ ვაწყენინოთ და ყველას დაძახებულზე წავიდეთ, მაგრამ ამდენი არც ჯანმრთელობა გვაქვს და არც ნერვები". თუმცა, წყენინებასთან დაკავშირებულ მეორე მიზეზზე ქალბატონს არაფერი უთქვამს. მსჯელობისას ამის შესახებ მხოლოდ მიანიშნეს. საქმე კი შემდეგშია: სკოლის დირექტორებს განათლების მინისტრის განაწყენებისა ეშინიათ. დირექტორების დანიშვნა-განთავისუფლების უფლება კარტოზიას ხელშია. შესაბამისად, უმრავლესობა მათგანი ერიდება ხმამაღლა დაუჭიროს მხარი კანონ-პროექტს, რომელიც შესაძლოა მინისტრს არ მოეწონოს.

დამსწრე დირექტორთაგან პროექტის შეფასება ასეთი იყო: "სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტია", "თუ ეს განხორციელდა, შევძლებ ჩემს ოცნებებს ფრთები შევასხა". დირექტორები დაინტერესდნენ იმითაც, თუ რა როლი დაეკისრება პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და ინოვაციების ცენტრს. გამოთქვეს წუხილი იმის თაობაზე, რომ არ არსებობს ერთიანი ინფორმაციული სივრცე და სკოლებს არა აქვთ საშუალება საინტერნეტო ქსელში ჩაბმისა. რა თქმა უნდა, საუბარი არც მერხების თემას აცდენია. საგულისხმო განცხადება გააკეთა ვარკეთილის მესამე მასივის 117-ე სკოლის დირექტორმა რამაზ სუპატაშვილმა, მან თქვა, რომ ამერიკელ კოლეგებთან დამყარებული პირდაპირი კონტაქტის წყალობით, მის სკოლას მალე 1700 ახალი მერხი ჩამოუვა.

ბევრად უფრო წარმომადგენლობითი და აქტიური იყო შეხვედრა ახალგაზრდა მასწავლებლებთან. საუბარი შეეხო რეიტინგული გარემოს შესაქმნელად, სკოლათა შეფასების მოდელის არსებობის აუცილებლობას. ბატონმა მურღულიამ განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, 2004 წლისათვის თბილისში ათი საუკეთესო სკოლის გამოვლენა და წასახალისებლად მათთვის გარკვეული ფულადი ჯილდოს გადაცემა.

საუბარი იყო განათლების სისტემის ობიექტების ოპტიმალიზაციის პროექტზეც, რომლის მიხედვითაც, თითოეულ მოსწავლეს თავისივე რაიონში უნდა ჰქონდეს ყველანაირი საგანმანათლებლო ინტერესის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად, ასევე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პრობლემებზე მომუშავე ანალიტიკური ცენტრის შექმნა, ქალაქის პედაგოგიური ბიბლიოთეკის გახსნა და მასწავლებელთათვის ინტერნეტ-კაფის მოწყობაც.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მასწავლებელთა განსაკუთრებულ გულისტკივილს არაობიექტურად ჩატარებული, და ისიც შუა გზაზე მიტოვებული, მასწავლებელთა ატესტაციის საკითხი იწვევს. მათ განაცხადეს, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე თბილისის სკოლებში ახალგაზრდა პედაგოგები აღარ დარჩებიანო.

სანამ პროექტი საბოლოო სამსჯავროზე გავა, მასზე საკრებულოში მსჯელობა ისევ გაგრძელდება - ამჯერად სამეურვეო საბჭოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჯერია.

# დაეხმარეთ ბავშვებს

ოქტომბრის ბოლოსთვის "საქართველოს ახალგაზრდობის უფლებათა დაცვისა და განვითარების კავშირი" გლდანის უნარშეზღუდული და მარტყოფის ბავშვთა სახლებისთვის სპეციალურ პროექტს ახორციელებს. იგი მიზნად ისახავს ამ დაწესებულების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას - საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, საჭირო საშენი მასალებითა და მედიკამენტებით მათ დახმარებას. მიზნის განსახორციელებლად კავშირი თხოვნით მიმართავს - საქართველოს მოსახლეობას, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესმენებს, მონაწილეობა მიიღონ საქველმოქმედო აქციაში და, შეძლებისდაგვარად, შეიტანონ წვლილი ამ სახლების ბინადარი ბავშვების ყოფის შეცვლაში. **პატარებისთვის დახმარება მიიღება შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 16, მე-11 სართული. საკონტაქტო ტელეფონია: 38-06-84. თანხის გადარიცხვა მიმდინარეობს ანგარიშზე ნომრით 467008, სავალუტო – 070314, კოდი – 220101922, ს.ს. მიკროსაფინანსო ბანკი.**

# „თეთრი" შენდება, სახლები ინგრევა

ნანა ქადაგიშვილი

*ყავლაშვილის ქ. N1 და N3-ის მობინადრეები ოთხი თვეა მათი სახლების წინ, ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბანკის მშენებლობის შესაჩერებლად სასამართლოში უშედეგოდ დარბიან.*

ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე ბანკ "თეთრს" ახალი ბანკის მშენებლობა ამა წლის მარტიდან დაუწყია. **"მშენებლობა ჩვენს, ისედაც ნგრევის პირას მისულ, 200 წლის წინათ აშენებულ სახლებს უარესად ანგრევს. კედლების ჩამოშლას ყოველდღე ველით. ამასთან, ლესელიძის ქუჩიდან შემოსასვლელიც ამოგვიქოლეს,"** - ჩივიან ყავლაშვილის ქუჩის მობინადრეები. ამა წლის ივლისში მათ, აღნიშნული მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასმართლოში სარჩელი შეიტანეს. 11 ივლისს მოსამართლე ბერიშვილმა გამოიტანა გადაწყვეტილება მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 25 მარტისა და არქმშენინსპექციის 2003 წლის 12 მარტის მშენებლობის ნებართვების მოქმედებების შეჩერების შესახებ, მაგრამ მშენებლობა არ შეჩერებულა. **"აღმასრულებელ სამსახურში განგვიცხადეს, - მოსამართლემ ორაზროვანი გადაწყვეტილება გამოიტანა და, მის საფუძველზე, მშენებლობის შეჩერება შეუძლებელიაო. როცა სასამართლოს მორიგად მივმართეთ, 10 000 ლარი მოგვთხოვეს. 4 თვეა სასამართლოში ამაოდ დავრბივათ, ამასობაში კი ბანკი შენდება,"** – გვითხრეს მობინადრეებმა.


"მოვითხოვთ სააკაშვილის თანადგომას"!

სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ორაზროვანი არაფერია - მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერება იგივე მშენებლობის შეჩერებაა. ეს თბილისის სააღმსრულებლო ბიუროში დაგვიდასტურეს. თუმცა, როგორც არქმშენინსპექციაში განგვიმარტეს, - მშენებლებს ბანკის მშენებლობის გაგრძელების უფლება მაინც აქვთ, რადგან ბანკმა "თეთრმა" დიდუბე-ჩუღურთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში გაასაჩივრა, სასამართლომ კი ზემოთ ნახსენები განჩინება გააუქმა და ბანკის მეპატრონეებს მშენებლობის გაგრძელების ნება მისცაო. **"მშენებლობა კანონიერია, მშენებლებს ყველა საჭირო დოკუმენტი წესრიგში აქვთ და მოსახლეობას საპრეტენზიო არაფერი აქვს,"** – გვითხრეს არქმშენინსპექციაში. მოსახლეობა უკან დახევას მაინც არ აპირებს. სახლებს გვინგრევენ და სხვა რა გზა დაგვრჩენია, ბანკი რომც ააშენონ, შიგ არავის შევუშვებთო, - იმუქრებიან.

ყავლაშვილის ქუჩის მობინადრეთა საპროტესტო აქციით ვერცხლის ქ.№26-ის მაცხოვრებლებმაც ისარგებლეს და ჟურნალისტებს საკუთარი გასაჭირიც უამბეს. მათი 250 წლის წინ აშენებული სახლის გვერდით მოქალაქე ინეზა მერაბიშვილი ბაირონის სახელობის სკოლას აშენებს. მართალია, მშენებლობა ამჯერად შეჩერებულია (შარშან დეკემბერში არქმშენინსპექციამ შეაჩერა), მაგრამ ვერცხლის ქ №26-ის მობინადრეები აცხადებენ, რომ მერაბიშვილი მშენებლობის გაგრძელებით იმუქრება. როგორც არქმშენინსპექციაში განგვიმარტეს, მშენებლობა იმიტომ შეაჩერეს, რომ ის ვერცხლის ქ. №26-ში მდებარე სახლს საფრთხეს უქმნიდა. ამის მიუხედავად, არქმშენინსპექცია არ გამორიცხავს, რომ მერაბიშვილმა, შეიძლება, მშენებლობის გაგრძელება მოახერხოს.

ძველი თბილისის მობინადრეები უკანასკნელ იმედს საკრებულოს თავმჯდომარეზე ამყარებენ და მისგან თანადგომას ითხოვენ.

# პირველადი ჯანდაცვის პერსპექტივა

*მიმდინარე წლის იანვარში თბილისში ხელი მოეწერა დონორ ქვეყნებთან ურთიერთობის მემორანდუმს საქართველოში პირველადი ჯანდაცვის ქსელის აღდგენისა და განვითარების შესახებ. გუშინ კი აღნიშნული პროექტის საზეიმო გახსნა სასტუმრო "მეტეხში" გაიმართა.*

ზაზა ფარუაშვილი

მრავალი დაავადებით მდიდარ ცივილიზებულ სამყაროში მკურნალობა იმდენად ძვირი და მილიონობით ადამიანისთვის მიუწვდომელი გახდა, რომ მათი ჯანმრთელობის დაცვის ერთადერთი რეალური გზა პროფილაქტიკური მედიცინაა, რაც, თავისთავად, გულისხმობს ქვეყნებში პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარებას. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა არა ერთი წლის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას დონორ ქვეყნებთან, რამაც საბოლოოდ ასეთი შედეგი გამოიღო - პირველადი ჯანდაცვის ქსელის აღდგენაში დაგვეხმარებიან შემდეგი დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები: დიდი ბრიტანეთი, იაპონია, აშშ, შვედეთი, ევროგაერთიანება, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა გამოყოფს 5 მილიონ ფუნტ სტერლინგს და დააფინანსებს გადამზადების ცენტრების შექმნას, სადაც ქართველი სპეციალისტები პირველადი ჯანდაცვის სისტემის მართვას დაეუფლებიან. ბრიტანელების დაფინანსებით მომზადდება, აგრეთვე, პირველადი ჯანდაცვის ქსელის მომსახურე სამედიცინო პერსონალიც.

მსოფლიო ბანკი გამოყოფს 25 მილიონ დოლარს, რაც მოხმარდება 750-მდე სოფლის ამბულატორიის აღდგენას, გარემონტებას და თანამედროვე დონეზე აღჭურვას.

იაპონიის მთავრობა სამედიცინო აპარატურით მოამარაგებს პოლიკლინიკებს.

აშშ-სა და შვედეთის მთავრობები უკვე ახორციელებენ პირველადი ჯანდაცვის პროექტს მთიან რეგიონებში. ამის გარდა, არსებობს უამრავი პატარა და მცირე პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია პირველადი ჯანდაცვის კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა. საერთო ჯამში საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემისთვის 5 წლის განმავლობაში 40-45 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

პროექტის საზეიმო გახსნაზე დიდი ბრიტანეთის ელჩმა დებორა ჯონსმა განაცხადა:

**" ჯანდაცვის სფეროში საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობა კიდევ 1996 წელს დავიწყეთ, როცა შეიქმნა ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და მომზადდა შესაბამისი კადრები. ახლა პირველადი ჯანდაცვის პროექტი დავიწყეთ, რომლის ფარგლებში მოვამზადებთ მენეჯერებს და ჩავატარებთ ტრეინინგებს მედპერსონალისთვის. თუმცა, ამით ჩვენი თანამშრომლობა არ ამოიწურება. ვინაიდან დონორებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტის მდგრადობას, იგი 20 წლით გაგრძელდება."**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს როლზე აღნიშნული პროექტის წარმატების საქმეში და განაცხადა, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა.

სამინისტროში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც სისტემატურად უნდა გააკონტროლოს პროექტის მიმდინარეობა და შეაჯამოს ეტაპობრივი შედეგები. ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი, სათანამშრომლოდ იწვევს ყველა დაინტერესებულ პირსა და არასამთავრობო ორგანიზაციას.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის პროექტის მიზანსა და საბოლოო შედეგს ვასილ ჭეიშვილი ასე წარმოაჩენს: **" ამთავითვე შემიძლია ვთქვა, რომ 5 წლის შემდეგ საქართველოს მთელ მოსახლეობას ფეხით ნახევარი საათის სავალზე ექნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება, რომელიც გარემონტებული და აღჭურვილი იქნება შესაბამისი აპარატურით, ლაბორატორიით და სათანადოდ განსწავლული ექიმით".**

# "ჩემი შვილისთვის გაცილებით უკეთესი იქნება, მამამისს მოშორდეს და სკოლა-ინტერნატში ისწავლოს"

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

მაია აბრამკინა 37 წლისაა. ის ინვალიდია; ჰყავს ორი შვილი - 5 წლის სტასიკა და წელიწადნახევრის ნინო.

მაია იოსებიძის ქუჩაზე ქმართან ერთად ცხოვრობს. ბინა მისია და ის ერთგვარად კმაყოფილია იმით, რომ თავის დროზე ვერ მოახერხა ქმართან ხელის მოწერა.

მაიას ქმარი 35 წლისაა და გამოუფხიზლებლად სვამს. "რაც კი გასაყიდი მქონდა, ყველაფერი გამიყიდა - მხოლოდ იმისთვის, რომ დაელია. ხელი რომ მოგვეწერა, ალბათ, ბინასაც წამართმევდა და იმასაც გაყიდიდა", - ამბობს მაია.

ქმარი სიმთვრალეში ცოლსაც და შვილებსაც ურტყამს, მაიას დასცინის და თავს ამადლის. "ერთხელ რაღაცაზე გაბრაზდა და სასტიკ ზამთარში ცივი შხაპის ქვეშ დამაყენა ტანსაცმლიანად,"- იხსენებს მაია.


მაია აბრამკინა შვილებთან.

მაიამ გვიამბო, რომ მას ბევრჯერ უცდია ქმრის სახლიდან გაგდება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა - მიდის და უკან ძალიან მთვრალი ბრუნდება, რადგან წასასვლელი არსად აქვს; თავისი ერთოთახიანი ბინა გაყიდა. მის მშობლებს ბინა გაქირავებული აქვთ და თავად სხვასთან ცხოვრობენ.

"ვფიქრობ, თავისი შვილები და მე არც კი ვუყვარვართ, "- ამბობს მაია. ქმარი ისე სცემს ხოლმე, რომ ხშირად მთელი სახე ულურჯდება; თან იმ ოთხმოც ლარს აყვედრის, რომელსაც მისი მშობლები ყოველთვიურად აძლევენ. მე რომ არ ვიყო, ორივე ბავშვის ინტერნატში ჩაბარება მოგიწევდაო, - ეუბნება. " შეიძლება მართალიცაა. ის რომ მოვიშორო, მისი მშობლები ფულს ნამდვილად აღარ მომცემენ, მე კი მუშაობა არ შემიძლია, ხელს ცუდად ვხმარობ", - ამბობს მაია (მარცხენა მხარეს დამბლა აქვს), მას არანაირი შემოსავალი არ აქვს, გარდა ამ ოთხმოცი ლარისა, რომელსაც ქმრის მშობლები აძლევენ - ბინის ქირას შუაზე ყოფენ; ნაწილს იტოვებენ, ნაწილს კი შვილს აძლევენ.

მაიას ურჩევნია სტასიკა სკოლა-ინტერნატში მიაბაროს და მხოლოდ შაბათ-კვირას გამოიყვანოს ხოლმე, - იქ ნამდვილად ისწავლის რაიმე უკეთესს, ვიდრე მამასთან ურთიერთობითო. სტასიკა უკვე ლაპარაკის მანერით მამას ბაძავს - დას და დედას უხეშად ელაპარაკება. ცხვირ-პირს დაგინგრევ, ისე გცემო, - ასე ემუქრება ბავშვი თავის დას და დედასაც უზრდელად ეპყრობა.

გარდა ამისა, მაიას აზრით, ბავშვებისთვის ისიც დამთრგუნველია, რომ ეზოში ყველა ბავშვი ხედავს, თუ როგორ დამცინავად ეპყრობა მათ მამა.

"იმის ფული რომ მქონდეს, ბავშვები სკოლაში შევიყვანო და საჭმელი ვაჭამო, ქმარს, თუნდაც, მილიციის ძალით მოვიშორებდი და ბავშვებს რამენაირად მარტო გავზრდიდი. თუ ასე არ მოხდება, ალბათ, ბიჭის ინტერნატში ჩაბარება მომიწევს", - ამბობს მაია.

**თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის- "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით," კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagensgo@hotmail.com**

**ასოციაცია საფეხურები**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გერმანიის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ბუნდესვერს, სამედიცინო წრეებსა და გარემოს დაცვის ფედერალურ სამინისტროს წარმოადგენს, საქართველოში 14 ოქტომბერს ჩამოდის, რათა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ობიექტებში დაბინძურების დონე შეისწავლოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კოალიცია "ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეის" წევრები, რომლებიც მეჩვიდმეტე დღეა სახელმწიფო კანცელარიასთან სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნებით საპროტესტო აქციას მართავენ, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ და ანალოგიურ ქმედებისაკენ ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს მოუწოდებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი გურამ შარაძე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს - ცისანა ხაჟალიასა და დალი სულხანიშვილს იეღოველების უკანონოდ დაცვაში ადანაშაულებს და სასამართლოს თავმჯდომარეს აკაკი ბაქრაძეს მათი თანამდებობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისკენ მოუწოდებს.

გუშინ, აღნიშნულ სასამართლოში შარაძის სარჩელი შევიდა, რომელშიც პარლამენტარი, როგორც დაზარალებული, მოითხოვს ლილოს საბაჟო ტერმინალზე არსებული იეღოველთა ლიტერატურის განადგურებას და, ამასთან, მის მფლობელს, კერძო პირს, მამუკა ჭაბაშვილს თაღლითობაში სდებს ბრალს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კობა ბექაურის განცხადებით, დედაქალაქის პენსიონერებს პენსია 3-ლარიანი დანამატით აღარ ურიგდებათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბექაურმა სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც ხელისუფლება საკრებულოსა და მისი თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ პროვოკაციულ ქმედებებში დაადანაშაულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყნეთის, კოჯრის, ტაბახმელის, წავკისისა და კიკეთის მოსახლეობა საპროტესტო აქციებით იმუქრება. ამის მიზეზი ბოლო დღეებში აღნიშნული დასახლებებისთვის წყალმომარაგების შეწყვეტაა.

როგორც "თბილწყალკანალში" განაცხადეს, ენერგოსისტემაში არსებული დაბალი სიხშირის გამო, ბაგებში მდებარე "წყალკანალის" სატუმბი სადგურიდან აღნიშნული დასახლებებისთვის წყლის გადატუმბვა ვერ ხერხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეისათვის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის, გლდან-ნაძალადევის, მთაწმინდა-კრწანისის რაიონებს ბუნებრივი აირი სრულად მიეწოდება, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში გაზის მიწოდება მხოლოდ ნაწილობრივ არის აღდგენილი. ამ რაიონის ნაწილს, კერძოდ, მეტროსადგურ "ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიას, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ბუნებრივი აირი გათიშული აქვს. ამავე მიზეზით, დროებითი შეფერხებებია რუსთაველის გამზირის და მისი მიმდებარე ქუჩების გაზმომარაგებაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისანი-სამგორის რაიონის 88-ე საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერებულია. შენობაში სარემონტო და გამაგრებითი სამუშაოები, სავარაუდოდ, მეორე სემესტრის დაწყებამდე დასრულდება, ხოლო ამ სკოლის 300-მდე მოსწავლე ამჟამად ახლოს მდებარე სკოლებში სწავლობს. სკოლის შენობის რეაბილიტაციისთვის 100 ათასი ლარია საჭირო, თუმცა ეს თანხა, ჯერჯერობით, გამოყოფილი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შესაბამისმა საქალაქო სამსახურებმა ვერ შეძლეს შებოლილი სიგით გარევაჭრობის აკრძალვა. ოჯახურ პირობებში, ტექნოლოგიური პროცესის დარღვევით დამზადებული შებოლილი თევზი, ექიმთა მტკიცებით, მომხმარებლებს ბევრი ინფექციური დაავადებით, მათ შორის ბოტულიზმით, ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შარდენისა და ერეკლეს ქუჩების სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასასრულს მიუახლოვდა. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის ინფორმაციით, ამ ქუჩების რეკონსტრუქციას ევროსაბჭოსა და მსოფლიო ბანკის დახმარებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი ახორციელებს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ჩეჩენი აქტივისტის ვახა იბრაგიმოვის შვილის თბილისში 2 ოქტომბერს გატაცების მცდელობის ფაქტზე, ჯერჯერობით, არავინ დაუკავებიათ. ინციდენტი იაშვილის ქუჩაზე მოხდა. ოთხი დაუდგენელი პირი მეცხრე კლასის მოსწავლეს ჯამალ იბრაგიმოვს ელოდებოდა, როდესაც იგი სკოლიდან ბრუნდებოდა, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა. ვახა იბრაგიმოვის განცხადებით, გატაცების მცდელობა მისი დაშინების მიზნით მოხდა, რის შესახებაც ეჭვი რუსულ სპეცსამსახურებზე აქვს. გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიცია აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეტროსადგურ რუსთაველიდან მარჯანიშვილის მიმართულებით მოძრავი მატარებლიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც თვითმხილველები განმარტავენ, ახალგაზრდა მამაკაცმა, რომლის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია, მოძრავი მატარებლის ვაგონის კარი გააღო, საიდანაც რამდენიმე წუთში გადავარდა. ჯერჯერობით, ექსპერტიზით დადგენილი არაა, იყო თუ არა ახალგაზრდა ფსიქიურად დაავადებული ან ნასვამ მდგომარეობაში. გარეგნული დათვალიერებით, ალკოჰოლის სუნი შეიმჩნეოდა.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლითაა აღძრული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის საოლქო სასამართლო თურქულ გემ "ემმასთან" დაკავშირებით გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, 13 ოქტომბრისთვის გამოიტანს. სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა მამალაძის განცხადებით, დაეკისრებათ თუ არა გემის მფლობელებს 250 ათასი ლარის ჯარიმა, მხარეთა წარმომადგენლების დაუსწრებლად, ადმინისტრაციული წესით გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ თურქული გემი "ემმა" საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა, საზღვრისა და ნაოსნობის წესების დარღვევის ბრალდებით, 17 აგვისტოს დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოსამართლო სწავლების ცენტრში ხვალ სასამართლოს სხდომის მდივნების კვალიფიკაციის ასამაღლებელი პირველი ორდღიანი სემინარი გაიხსნება.

სამოსამართლო სწავლების ცენტრისა და სამართლებრივი განვითარების ასოციაციის (ALPE) თანამშრომლობის ფარგლებში, სამოსამართლო სწავლების ცენტრი 11 ოქტომბრიდან სამი თვის მანძილზე ექვს ორდღიან სემინარს ჩაატარებს. მასში ექვს ჯგუფად დაყოფილი, სხდომის ის 60 მდივანი მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც იურიდიული განათლება და სხდომის მდივნად მუშაობის ერთწლიანი სტაჟი არ გააჩნია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2002 წლის 27 დეკემბერს თბილისში, რესტორან „გურჯაანში" კობა კობერიძის მკვლელობისათვის ძებნილი ბესარიონ აბულაძე პოლიციელებმა საკუთარ სახლში დააკავეს. მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. კობა კობერიძეს მუცლის არეში დანით ჭრილობა მიაყენეს. იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა. პროკურატურა აბულაძეს ბრალს ხვალ წაუყენებს და მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხს დააყენებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, 9 აპრილის სახელობის ბაღში ჩადენილი ძარცვის ბრალდებით, პოლიციელებმა კახაბერ მენთეშაშვილი დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, მენთეშაშვილმა ფიზიკური ძალის გამოყენებით, 9 აპრილის ბაღში ლარისა ყორღანაშვილს მობილური ტელეფონი და 360 ლარი წაართვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ალექსეევსკის დასახლებაში მდებარე შპს „ცენტრის" ხეტყის საამქროდან სარკინიგზო რელსების მოპარვის ბრალდებით პოლიციელებმა ალექსანდრე კაკიაშვილი და პაატა ჯამრელიშვილი დააკავეს. მოპარული რელსები ჯართად გასაყიდად იყო გამიზნული. პოლიციელებმა ნივთმტკიცებები ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტოლიატში ხუთშაბათს, საღამოს გაზეთ "Тольятинское обозрение"-ს მთავარი რედაქტორი ალექსეი სიდოროვი მოკლეს. სიდოროვს საკუთარ სახლთან უცნობმა პირებმა დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს.

მკვლელობის ძირითადი ვერსია - სიდოროვის პროფესიული საქმიანობაა. კერძოდ, გაზეთი, რომელსაც ის რედაქტორობდა, ქალაქის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების შესახებ ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა.

სიდოროვმა "Тольятинское обозрение"-ს მთავარი რედაქტორის თანამდებობა თავისი წინამორბედის ვალერი ივანოვის მკვლელობის შემდეგ, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ დაიკავა. ივანოვის მკვლელობა დღემდე გახსნილი არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცნობილ ირანელ სამართალდამცველს, ადვოკატ შირინ ებადის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობისთვის ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა.

როგორც გუშინ ოსლოში ნობელის კომიტეტმა გამოაცხადა, 56 წლის ებადის პრემია "ირანში ადამიანის უფლებებისათვის, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების უფლებებისათვის ბრძოლაში და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის" გადაეცა. წელს ნობელის მშვიდობის პრემიაზე 165 კანდიდატი იყო წარდგენილი. მათ შორის იყვნენ რომის პაპი იოანე პავლე მეორე და ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი. **ინტერ-პრესი**

# პოლიციის აკადემია 25 წლისაა

თამარ კაციტაძე

**"შევდივარ რა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების სამსახურში, ვფიცავ, ბოლომდე ვიყო ერთგული; მტკიცედ დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონი; ვფიცავ, პირნათლად შევასრულო დაკისრებული მოვალეობანი და არ დავიშურო ძალა, საჭიროების შემთხვევაში – საკუთარი სიცოცხლეც კი, საქართველოსა და მისი მოქალაქეების უფლებების დაცვისათვის... და თუ მე დავარღვევ ამ ფიცს, დაე, გავხდე ჩემი ქვეყნის კანონების მკაცრი განაჩენისა და საქართველოს მოქალაქეების სიძულვილის ღირსი,"** - ამ ფიცს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის პირველკურსელები ყოველ წელიწადს დებენ შინაგან საქმეთა მინისტრის და პოლიციის გენერალიტეტის წინაშე. მაგრამ გუშინდელი დღე პოლიციელობის მსურველთათვის და თავად მოქმედი პოლიციელებისთვისაც ორმაგად სასიხარულო იყო. პოლიციის "წმინდა ტაძარს" 25 წლისთავი შეუსრულდა. მართალია, აკადემიის საპატიო სახელი მხოლოდ 1994 წლის 3 ივლისს მიენიჭა და მანამდე იგი მხოლოდ პოლიციის სკოლა იყო, მაგრამ გუშინდელ ზეიმზე ამას, ფაქტობრივად, არავინ იხსენებდა, რადგან 10 ოქტომბერი ყველა პოლიციელისთვის (არა აქვს მნიშვნელობა, აკადემიადამთავრებულია იგი, თუ არა) საპატიო და მნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ, ამ ნიშვნელოვან დღესასწაულზე დასწრება ვერ შეძლო ამჟამინდელმა შინაგან საქმთა მინისტრმა. კობა ნარჩემაშვილს გუშინ ერთობ მნიშვნელოვანი მისია ეკისრა. იგი უზბეკეთის პრეზიდენტს აცილებდა. არადა, მინისტრის აკადემიაში მიბრძანების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ საგანგებოდ მომზადებული ზეიმი ერთი საათით გადაიწია კიდეც, მაგრამ...

მიუხედავად ამისა, გუშინ პოლიციის აკადემიას შს სამინისტრის მთელი გენერალიტეტი ესტუმრა. მათ შორის იყვნენ ყოფილი მინისტრები - რომან გვენცაძე და შოთა გორგოძე (სხვათა შორის, პოლიციის სკოლას აკადემიის სახელი სწორედ გორგოძის მინისტრობის პერიოდში მიენიჭა), რომლებიც საპატიო სტუმრების სტატუსით სარგებლობდნენ.



ფიცმიღებული პოლიციელების საზეიმო მსვლელობა.

აკადემიის დღეობა კი ასე დაიწყო. გლდანის რაიონში იმ ქუჩას, სადაც აკადემიის შენობა მდებარეობს და დღემდე ქერჩის ქ. №1 შესახვევი ერქვა, "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ შს სამინისტროს აკადემიის გმირ კურსანტთა" სახელობის ქუჩა ეწოდა. მემორიალური დაფის გახსნის შემდეგ, პოლიციის გენერლებმა ფეხით ჩაიარეს "გმირ კურსანტთა" ქუჩა და აკადემიის ეზოში შევიდნენ, სადაც საზეიმო ფორმაში გამოწყობილი, მწყობრში მდგომი, დაახლოებით 500-მდე ახალბედა, პოლიციის აკადემიის კურსანტი ელოდათ.

ძვირფას სტუმრებთან საზეიმო მისალმების შემდეგ, პირველკურსელებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს მთლიანობისთვის დაღუპულ 19 გმირ კურსანტთა მემორიალი. ამის შემდეგ კი ახალბედებმა პოლიციელთა საპატიო ფიციც დადეს, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ შოთა ასათიანმა ჩაიბარა.

**"შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას ჭეშმარიტად საიუბილეო დღე აქვს. პოლიციის რეფორმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკადრო პოლიტიკას, შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალური განათლების ხარისხსა და დონეს. საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებაც სწორედ აქეთ არის მიმართული და ამ მხრივ პოლიციის აკადემია პრიორიტეტულია,"** – ასეთია შს მინისტრის პირველი მოადგილის შოთა ასათიანის განწყობა.

მიწვეული სტუმრების და ფორმაში გამოწყობილი პედაგოგ-მასწავლებლების გამამხნევებელი გამოსვლების შედეგ მომავალმა პოლიციელებმა აკადემიის არცთუ დიდ ეზოში, მუსიკის თანხლებით, საჩვენებელი სამწყობრო სვლა მოაწყეს.

პოლიციის აკადემიის გუშინდელი დღესასწაულის ყველაზე გამორჩეული სტუმარი იყო საქართველოს პრეზიდენტის უახლოესი მეგობარი, შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მისი მოადგილე გიორგი სოგორაშვილი, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. ბატონი გიორგის რჩევა ამერიკული გამოსახედიდან ქართველი პოლიციელებისადმი ასეთია – **"პოლიციელი, პირველ რიგში, პატიოსანი უნდა იყოს,"** – ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე და მისი ამ წუთში, ალბათ, ყველაზე მეტად პირველკურსელებს სჯერათ.

**"ჩემი მშობლები პოლიციის თანამშრომლები არიან და მსურს, მათი გზა გავაგრძელო.**

**მე არ მეშინია იმის, რომ პოლიციას დღეს სახელი გატეხილი აქვს. ჩვენ დავიცავთ კანონს და შელახულ იმიჯსაც დავიბრუნებთ,"** – სჯერა ახალფიცდადებულ დიანა ხისტიშვილს.

აკადემიაში მოწყობილი ზეიმი საბოლოოდ ტრადიციული კონცერტით დასრულდა, რომელიც შს სამინისტროს ორგანოებში მუშაობაგამოვლილმა, სიმღერისა და ცეკვის ნიჭის მქონე ჯგუფებმა საპატიო სტუმრებისათვის მოაწყვეს.

# ფოთის გაზეთის რედაქტორი ოფისის გაქურდვაში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებს

*ფოთის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ "ფოთის" რედაქცია ადგილობრივ ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს. 3-წლიანი რეგულარული გამოცემის შემდეგ გაზეთ "ფოთის" ბოლო ორი ნომერი აღარ გამოსულა. ანუ, გაზეთი ფაქტობრივად, დაიხურა. საქმე ისაა, რომ გაზეთი, რომელიც ფოთში ერთ-ერთი დამოუკიდებელი, ოპოზიციურ გამოცემა გახლდათ, ორი კვირის წინ გაქურდეს.*

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს მაუწყებელთა ასოციაციის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გაზეთის რედაქტორმა ხათუნა ცომაიამ განაცხადა, რომ რედაქციის დახურვა 3 ოქტომბერს მისი ოფისის გაქურდვამ გამოიწვია. მისივე თქმით, გაიძარცვა ფოთის ცენტრში, პოლიციის სამმართველოდან 100 მეტრში მდებარე ოფისი, რომელსაც, როგორც დარაჯი, ასევე სახელმწიფო დაცვის პოლიციის თანამშრომლები იცავენ. ოფისის კარები მძარცველებს არ შეუმტვრევიათ, ის, როგორც ჩანს, გასაღებით იყო გაღებული.

**"3 ოქტომბრამდეც კრიტიკული პუბლიკაციების გამოქვეყნებას ყოველთვის თან სდევდა გაზეთის წინააღმდეგ მიმართული კრიმინალური ფაქტები. დღემდე ეს რედაქტორის ავტომანქანის საბურავების დაჭრაში, კრიმინალური ავტორიტეტების მოგზავნაში, ბინის გაქურდვაში, გაზეთის დისტრიბუტორებისა და თანამშრომლების დაშინებაში, საგადასახადო სტრუქტურების ხშირ სტუმრობასა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარებში გამოიხატებოდა,"** – აცხადებს ხათუნა ცომაია, რომლის თქმითაც, გაზეთის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებრივ შემთხვევებთან დაკავშირებით, ფოთის პოლიციის სამმართველოში უკვე ოთხი საქმეა აღძრული, რომელთაგან დღემდე არც ერთი არ გახსნილა.

ხათუნა ცომაიას ინფორმაციით, გაზეთის მიმართ ზეწოლა განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც რედაქციამ ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, კერძოდ, მერიის აპარატის ყოფილი უფროსის ზურაბ ნასარაიას, ყოფილი მერის აკაკი დარჯანიასა და ამჟამინდელი მერის დავით ქანთარიას შესახებ მაკომპრომეტირებელი მასალები გამოაქვეყნა.

**"თუ უახლოეს პერიოდში ხელისუფლებისთვის მიუღებელი გაზეთის მუშაობა ვერ განახლდება, ხელისუფლებისა და კრიმინალური ძალების ერთობლივი ჩანაფიქრი წარმატებით შესრულებულად ჩაითვლება,"** – აცხადებს გაზეთის რედაქტორი და სამართალდამცველებს, რომელთა იმედი არ აქვს, მძარცველებთა დაპატიმრებისკენ მაინც მოუწოდებს.

## მოკლედ

### საქართველოში უზბეკეთის პრეზიდენტს ცოდვებს ახსენებენ

ადამიანის უფლებების ცნობილი ქართველი დამცველი, მსოფლიოს, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომელი, ორგანიზაციის "საერთაშორისო ამნისტიის" წევრი ემილ ადელხანოვ-შტეინბერგი უზბეკეთის ხელმძღვანელობას ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

როგორც ემილ ადელხანოვ-შტეინბერგის განცხადებაშია ნათქვამი, მისთვის როგორც "საერთაშორისო ამნისტიის" ("Amnesty International") წევრისათვის, პრეზიდენტ ქარიმოვის სახელი, სამწუხაროდ, უზბეკეთში ადამიანის უფლებების მრავალგზის უხეშ დარღვევასთან ასოცირდება, სადაც მოსამართლეები ხალხზე პრაქტიკას გადიან პოლიტპატიმრობასთან, ასევე, ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებული მასალების შეგროვებაში.

მისივე ინფორმაციით, უზბეკეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში გაერო-ს სპეცმომხსენებელი არ დაუშვეს, რომლის ანგარიშშიც აღინიშნებოდა, რომ ამ ქვეყანაში წამების გამოყენება "სისტემატურ ხასიათს ატარებს" და "წამების შედეგად მიღებულ აღიარებებს სასამართლოებში მტკიცებულებების სახით იყენებენ".

"ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ გაუქმებული არ არის სიკვდილით დასჯა, ეს განსაკუთრებით საშიშია", - განაცხადა ემილ ადელხანოვ-შტეინბერგმა.

"საგულისხმოა, რომ საქართველოშიც პოლიციელები აწამებენ ხალხს, თუმცა არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს ადამიანთა გაჭირვების დავიწყება", - თქვა მან.

*პრაიმ-ნიუსი*

### პოლიციის მაღალჩინოსანი მოტყუებით დააყაჩაღეს

შსს-ს საფელდეგერო სამმართველოს საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი კალისტრატე მექვაბიძე ორი დღის წინ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოტყუებით აიყვანეს, სადაც მას ორი შეიარაღებული პირი დახვდა, დააყაჩაღეს და ავტომანქანა "BMW" წაართვეს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ზაზა მესხის თქმით, მექვაბიძე გამსახურდიას გამზირზე 25-27 წლის გოგონამ გააჩერა და მას ლისის ტბაზე აყვანა სთხოვა. მექვაბიძეს იქ ორი შეიარაღებული პირი დახვდა, რომლებმაც მას წებოვანი ლენტით ხელები შეუკრეს, თვალები აუხვიეს და რამდენიმე წუთის შემდეგ გზაზე დატოვეს. როგორც შემდეგ დაფიქსირდა, ავტომანქანა მაღალი სისწრაფით წეროვანისკენ მიდიოდა და მას ქალი მართავდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა.

*ინტერ-პრესი*

### შარაძემ იეღოველების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა

პარლამენტარი გურამ შარაძე ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს ცისანა ხაჟალიასა და დალი სულხანიშვილს იეღოველების უკანონოდ დაცვაში ადანაშაულებს და სასამართლოს თავმჯდომარეს აკაკი ბაქრაძეს დაუყოვნებლივ მათი თანამდებობიდან გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

ორი დღის წინ აღნიშნულ სასამართლოში შარაძის სარჩელი შევიდა, რომელშიც პარლამენტარი როგორც დაზარალებული, ლილოს საბაჟო ტერმინალზე არსებული იეღოველთა ლიტერატურის განადგურებას მოითხოვს და ამასთან, მის მფლობელს, კერძო პირს მამუკა ჭაბაშვილს თაღლითობაში სდებს ბრალს.

შარაძემ ლილოს ტერმინალზე, მხარდამჭერებთან ერთად, აღნიშნული ლიტერატურის განადგურების მიზნით მისვლის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

"ლილოს ტერმინალს ვეწვიე მხოლოდ ერთადერთი მიზეზით, მსურდა გადამემოწმებინა ფაქტი ტონობით სექტანტური ლიტერატურის არსებობის თაობაზე" - განაცხადა პარლამენტარმა, რომლის მტკიცებითაც, რაკი უზენაესი სასამართლოს ორი წლის წინანდელი გადაწყვეტილების თანახმად, იეღოველების ორგანიზაციები იურიდიულ სუბიექტებს აღარ წარმოადგენენ, მათთვის გამოგზავნილი ლიტერატურის განბაჟება დაუშვებელია.

*ინტერ-პრესი*

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

# ცხრა თებერვლის ტერაქტში ბრალდებულები უზენაესმა სასამართლომ მეორედ დააპატიმრა

*საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრს სოსო თორიას და ლოთი ქობალიას გვარდიის ყოფილ წევრს ვეფხია დურგლიშვილს, რომლებსაც 1998 წლის ცხრა თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობის მცდელობაში, ტერაქტის ორგანიზებაში, სამშობლოს ღალატსა და განზრახ მკვლელობაში ედებათ ბრალი, უზენაესმა სასამართლომ პატიმრობა გუშინ მეორედ მიუსაჯა.*

ინგა ალავიძე

მოსამართლე ლოტბერდ კუპატაძემ არ დააკმაყოფილა ტერორისტობაში ბრალდებულთა ადვოკატების შუამდგომლობა, რომლითაც ისინი პატიმართა დარბაზიდან გათავისუფლებას ითხოვდნენ და ვეფხია დურგლიშვილისა და სოსო თორიას დაპატიმრებაზე ახალი ბრძანება გასცა. ანუ, გუშინ გამართულ განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყდა, რომ ცხრა თებერვლის ტერაქტის საქმე უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო და მის განხილვას 20 ოქტომბერს დაიწყებს.

არადა, განსასჯელების ადვოკატთა განცხადებით, თორია და დურგლიშვილი უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან, ვინაიდან მათ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა საოლქო სასამართლომ შეუფარდა, რისი უფლებამოსილებაც საოლქო სასამართლოს არ გააჩნდა. ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორიც ტერორისტული აქტის მოწყობა-ორგანიზებაა, ქვემდებარეობის მიხედვით, განიხილავს უზენაესი სასამართლო. შესაბამისად, დაკავებულთა დაპატიმრების ბრძანება უზენაეს სასამართლოს უნდა გაეცა და არა საოლქოს. ამ სერიოზული საპროცესო ხარვეზის თაობაზე ადვოკატთა მიერ დაყენებულ შუამდგომლობას სახელმწიფო ბრალმდებელი მამუკა კერესელიძეც დაეთანხმა. თუმცა, ბრალდებულთა გათავისუფლებას თანხმობა არ მისცა, რადგან მიიჩნია, რომ **"თორიასა და დურგლიშვილის წინააღმდეგ სერიოზული სამხილები არსებობს. პროკურატურას მათი ბრალის დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები მოეპოვება",** – განაცხადა მამუკა კერესელიძემ.

თორიასა და დურგლიშვილის უკანონოდ დაკავება აღიარა მოსამართლე ლოტბერდ კუპატაძემაც. მეტიც, მის მიერ გუშინ გამოტანილ განჩინებაში ჩაიწერა: **"2003 წლის 17 მარტს თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ ბრალდებულებისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელება უკანონოდ მოხდა. ტერაქტში ბრალდებულებისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა".**



ადვოკატებმა პატიმრების გათავისუფლება, ჯერჯერობით, ვერ მოახერხეს.

როგორც ცნობილია, საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი სოსო თორია და ყოფილი გვარდიელი ვეფხია დურგლიშვილი ერთი წლის წინ ჩეჩნეთში დააკავეს. ცხრა თებერვლის ტერაქტის საქმეზე სასამართლო პროცესი ერთხელ უკვე ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ პროცესზე გამოუტანეს 12-წლიანი განაჩენი ფინანსთა ყოფილ მინისტრს გურამ აბსანძეს. მოგვიანებით, გურამ აბსანძე უზენაესმა სასამართლომ გაამართლა. ყოფილი ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ თორიასა და დურგლიშვილის წინააღმდეგ პროკურატურამ საქმე "შეკერა", რომ ცხრა თებერვლის ტერაქტისას არც ერთი ბრალდებული საქართველოში არ იმყოფებოდა.

იგივე აზრის არიან განსასჯელთა ადვოკატებიც. **"სოსო თორიასა და ვეფხია დურგლიშვილის საქმეებიც ისე დაირღვევა, როგორც გურამ აბსანძისა. პროკურატურას მათ წინააღმდეგ ერთი უბრალო მტკიცებულებაც კი არ მოეპოვება",** – აცხადებს ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი, რომელსაც 9 თებერვლის ტერაქტის საქმეზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. სწორედ, მალხაზ ჯანგირაშვილი გახლდათ გურამ აბსანძის ადვოკატი და მან მოიგო პროცესი, რომელზეც აბსანძე გამართლდა.

# ყოფილი პოლიციელი შსს-ს უჩივის

პირველი გვერდიდან

რის გამოც მძღოლს ავარიის თავიდან აცილება არ შეეძლო..." შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლები უდანაშაულოდ გამოცხადდნენ. დაინვალიდებულმა ზაზა მორჩაძემ კი კანონით კუთვნილი კომპენსაციის მისაღებად საკუთარ სამინისტროს მიაკითხა. გენერალურ ინსპექციაში პროკურატურის დასკვნა უგულებელყვეს და განაცხადეს, რომ ტრამვა მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ მიუღია. **"პოლიციის შესახებ კანონით თანამშრომელს, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის შესაბამისად ეძლევა კომპენსაცია, ერთიდან ხუთ წლამდე კუთვნილი ხელფასის ოდენობით. აღნიშნული თანხა ზაზა მორჩაძეს არ მიუღია. უფრო მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, კომპენსაცია დაღუპული პოლიციელის გოჩა მაღლაფერიძის ოჯახსაც არ მისცეს. მაღლაფერიძეს მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი დარჩა და, შესაბამისად, 10 წლის ოდენობით ხელფასიის ერთჯერადი დახმარება ეკუთვნოდა,"** - აცხადებს "საზოგადოებრივ ინტერესების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი" სულხან ქობულაძე

მორჩაძის ფაქტზე არსებობს შსს-ს გენერალური ინსპექციის დასკვნაც, სადაც აღნიშნული შემთხვევა ასევე არ არის ჩათვლილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად და მოტივად კახა თარგამაძის მითითება მოჰყავთ, სადაც წერია, რომ შესაბამისი კომპენსაცია მხოლოდ დამნაშავეებთან შეტაკების დროს დაღუპული ან დაზარალებული პოლიციელების ოჯახებზე გაიცემა. **"კახა თარგამაძის მითითება ეწინააღმდეგება პოლიციის შესახებ კანონის 31-ე მუხლს. პოლიციის შესახებ კანონი კი ორგანული კანონია, რომელიც იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მინისტრის მითითება და გენერალურ ინსპექციასაც აღნიშნულით უნდა ეხელმძღვანელა. უფრო მეტიც, 2003 წლის მაისს გამოიცა კობა ნარჩემაშვილის 184-ე ბრძანება, სადაც წერია, რომ თარგამაძის მითითება ზემოთაღნიშნული მოტივით გაუქმებულია. მაშ, რით იხელმძღვანელა გენერალურმა ინსპექციამ?"** - აცხადებს "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი გიგა შუშანია.

როდესაც ყოფილი პოლიციელი საკუთარი სამინისტროს უსამართლობაში დარწმუნდა, სასამართლოს მიმართა, თუმცა ჭეშმარიტება არც იქ დადგინდა. **"სასამართლოში საქმის განხილვას 4 მარტიდან ველოდები. ისანი-სამგორის სასამართლოში მოსამართლე ფეიქრიშვილს საქმე 5 თვე ედო უმოქმედოდ. ისე, რომ პასუხიც კი არ მომწერა. შემდეგ კი განმიცხადა, საქმე ქვემდებარეობით არ გვეკუთვნისო და მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში გამიშვა. დღემდე საქმეს არც იქ მისცემია მსვლელობა. იუსტიციის საბჭოს მდივანს ზურაბ აბაშიძეს წერილობით მივმართე და მოსამართლე ფეიქრიშვილზე დისციპლინალური დევნის აღძვრა მოვთხოვე, თუმცა არც იქედან მიმიღია პასუხი,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზაზა მორჩაძემ. ამჟამად მისი ერთადერთი მოთხოვნა სასამართლო პროცესის ჩატარებაა, რომელსაც მორჩაძემ დღემდე ვერ მიაღწია.

# რიყის ბედი კულუარებში არ უნდა გადაწყდეს

ლადო ვარდოსანიძე
ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

თბილისის ფუნქციური მდგომარეობისა და არქიტექტურული გარემოს თვალნათლივი გადაგვარების ფონზე, ჯერ კიდევ აზრი აქვს, ვიმსჯელოთ მისი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნაწილის - **რიყის უბნის** ბედზე.

ამთავითვე შეგახსენებთ, რომ როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, რიყის დიდი ნაწილი აქამდე პრივატიზებული არ არის - ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტურად. ე.ი. ეს ნაწილი დღემდე სახელმწიფოს ეკუთვნის - დიახ, სახელმწიფოს და არა ქალაქს, რადგან აქამდე არ გვაქვს მუნიციპალური საკუთრება საქალაქო მიწებზე და, ამდენად, მიწის ფონდის განსახელმწიფოებრიობა ჩვენში პირდაპირი პრივატიზების გზით მიმდინარეობს. ესეც ჩვენი რეალობის კიდევ ერთი პარადოქსია, მაგრამ, ამის შესახებ სხვა დროს...

კაცმა რომ თქვას, რიყე თბილისელებს ეპიზოდურად თუ გაახსენდებათ - იქ ჩამწკრივებულ რესტორნებში მისვლისას ან "თბილისობის" საზეიმო დღეებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში თბილისელების ინტერესებზე პროფესიონალები - დედაქალაქის მესვეურები და არქიტექტორები უნდა ზრუნავდნენ, ქალაქელები კი მათ დრო და დრო პასუხს უნდა სთხოვდნენ. ეს წერილიც იმიტომ დაიწერა, რომ მიმაჩნია - ასეთი პასუხის დრო სწორედ ახლა დადგა; მით უფრო, რომ ახლახან, თბილისის მთავარ არქიტექტორთან არსებული **არქიტექტურულ-გეგმარებითი საბჭოსა** და **საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებულ სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ურბანული სექციის** სხდომებზე განხილული იყო "სახელმწიფო დაცვითი ზონის, "ძველი თბილისის დ.დ.პ." რიყის უბანი" (დედანში ასეა - ლ.ვ.). გაუთვითცნობიერებელ მკითხველს განვუმარტავ, რომ აბრევიატურა "დ.დ.პ." **დეტალური დაგეგმარების პროექტს** ნიშნავს.

ამ საბჭოებში თავმოყრილია ქალაქგანვითარებისა და ძეგლთა დაცვის სფეროებში მომუშავე სპეციალისტები, მაგრამ, ამათ გარდა არსებობს არქიტექტორებისა თუ ხელოვნებათმცოდნეების უფრო ფართე წრე და, რაც მთავარია, ვარსებობთ **ჩვენ, ყველანი ერთად - თბილისელები**, რომლებიც, ადრე თუ გვიან, ღირსეულ, პასუხისმგებელ და მომთხოვნ საქალაქო საზოგადოებად უნდა ჩამოვყალიბდეთ. წერილის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ესაა - ვცადო მიძინებული ქალაქური თვითშეგნების გამოღვიძება.

ჩემი პატივცემული კოლეგები ნუ მიწყენენ, მაგრამ დასავლური ფასეულობების საზოგადოებაში ურბანული განვითარება, ქალაქთმშენებლობა ვეღარ თავსდება მხოლოდ პროფესიონალთა მოღვაწეობის ჩარჩოებში. მუშავდება, ვრცელდება და ინერგება ამ პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის თეორიები და პრაქტიკები; სწორედ ესაა მიჩნეული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. ამ პროცესის პირველ სტადიას მოსახლეობისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს, რასაც ქვემოთ შევეცდები.

უნდა გითხრათ, რიყის პრობლემატიკა ჩემთვის არც ახალია, და არც, მით უფრო, უცხო - ამ თემისადმი პირველი პუბლიკაციები ოცდაათიოდე წლის წინ გამოვაქვეყნე. მაშინ, რიყეზე ჩამწკრივებული რესტორნების მიმართ, პირველად ვიხმარე იმ დროისათვის უჩვეულო და თამამი ეპითეტები, როგორიცაა "ფსევდოეროვნული არქიტექტურა," **რუს ინ ურბე (** გავრცელებული ლათინური ფორმულა – "სოფელი ქალაქში"), აქედან გამომდინარე "რურალიზაცია" (გასოფლება), "სამუცლაო" და ა.შ. ცხადია, ეს არ იყო მხოლოდ ჩემეული ხედვა - ვგრძნობდი, რომ ჩემი თანაქალაქელების, შესაძლოა ჩამოუყალიბებელ, მაგრამ საერთო აზრს გამოვხატავდი; ვიმედოვნებდი, რომ თბილისის იმდროინდელი "ხელმძღვანელობა" გაიაზრებდა საკადრის პოლიტიკას დედაქალაქის ამ უმნიშვნელოვანესი უბნის მიმართ, მაგრამ ...

რიყის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოწმობს ის გარემოება, რომ მის ფუნქციურ-გეგმარებითს გადაწყვეტაზე ჩატარდა რამდენიმე არქიტექტურული კონკურსი. თავისი მასშტაბურობით და პროფესიონალთა დაინტერესებულობით გამოირჩეოდა 1997 წელს მოწყობილი ღია კონკურსი "რიყის უბნის ტერიტორიის ქალაქგეგმარებით კონცეფციაზე". მასში მონაწილეობა მიიღო 35 ჯგუფმა, სულ 79 არქიტექტორმა. კონკურსის მიზნები და ამოცანები კონკრეტული იყო; გთავაზობთ ამონარიდს კონკურსის პროგრამიდან:


თბილისი. რიყე. 2003.

3.1 კონკურსის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის - რიყის უბნის ისეთი ურბანისტული კონცეფციის შერჩევა, რომელიც შეესაბამება დედაქალაქისა და მისი ცენტრის განვითარებას; ადეკვატურად ასახავს ახლებურ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას; არსებითად გაამდიდრებს თბილისს ფუნქციური და არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით.

3.2. კონკურსის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ რიყის უბანთან მიმართებაში შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

ანალიზი ისტორიული, ფუნქციური, ლანდშაფტური თვალსაზრისით;

ქალაქთმშენებლობითი პოტენციალის გამოვლენა;

ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა საერთო-საქალაქო და ცენტრის გეგმარებითი სტრუქტურის განვითარებაში;

დამოკიდებულება ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული გარემოს, სივრცით-კომპოზიციური წყობისა და სემანტიკური სისტემის მიმართ;

ქალაქგეგმარებითი ზონირებისა და პარამეტრების განსაღვრა;

ცალსახა დამოკიდებულების გამოვლენა რიყეზე სადღეისოდ არსებული ობიექტების მიმართ;

საკონკურსო კინცეფციის რეალიზაციის სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, მმართველობითი წინადადებები, ეტაპურობის გამოყოფით."

მაგრამ, ჩვენში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ეს კონკურსიც "ორთქლის გამოშვების" ხერხად იქცა. საზოგადოდ, ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომელიც აფერხებს ურბანისტული აზროვნების შეფასებას და განვითარებას, რაც მხოლოდ რიყის კონკურსს არ ეხება. გავშლით ამ აზრს.

საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის მიერ 1999 წელს ჩატარებული საექსპერტო გამოკითხვის შედეგები ცხადჰყოფს, რომ არქიტექტურული კინკურსები თავის მიზანს ვერ აღწევს და ამის მიზეზია (გამოკითხულთა რაოდენობიდან - პროცენტებში):

| | |
|---|---|
| კონკურსის პროგრამების არასრულფასოვნება | 52.5 |
| კონკურსის შემდგომი უმოქმედობა | 50.8 |

იმ დროისათვის ჩატარებული კონკურსების შეფასებისას (ამ კონკურსებს შორის რიყის კონკურსიც იყო), გამოკითხულ არქიტექტორთა 2/3-ზე მეტი მიიჩნევს, რომ "ჟიური არ იჩენს ობიექტურობას და პრინციპულობას" და ამის მიზეზია:

| | |
|---|---|
| – ჯგუფური ან პირადი ინტერესები | 45.9 |
| – ჟიურის ზერელე დამოკიდებულება | 39.8 |
| – "ჩაწყობა" | 31.1 |
| – ჟიურის არასაკმარისი კომპეტენტურობა | 22.9 |

საკონკურსო მასალების საჯარო განხილვა აუცილებლად მიაჩნია ექსპერტთა 77,1 პროცენტს; თანაც, მათი უმრავლესობა თვლის, რომ ეს უნდა მოხდეს ჟიურის გადაწყვეტილების მიღებამდე.

ეს, ერთი შეხედვით, დეტალები იმისთვისაა საჭირო, რომ ყველამ, უწინარესად კი ქალაქის მესვეურებმა, გაიცნობიერონ ურბანისტული კონკურსების მნიშვნელობა და როლი.

რიყის დ.დ.პ.-ს ავტორებმა კონკურსში მონაწილეობა, სამწუხაროდ, არ მიიღეს. ითქვა, რომ პროექტის შემუშავების უფლება მათ მიიღეს 2001 წელს ჩატარებული ტენდერის შედეგად. აგრეთვე სამწუხაროა, რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის გამოსწორებული რიყის კონკურსის ორგანიზატორების მიერ დაშვებული მიუტევებელი უპასუხისმგებლობა - საკონკურსო მასალების ანალიზი არც ამ შემთხვევაში ჩატარებულა.

ამჯერად არ ვაპირებ რიყის დ.დ.პ.-ს სკრუპულოზურ სამართლებრივ-ურბანისტულ ექსპერტიზას, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ამის გაკეთებაც მომიწევს; შევიზღუდები პრინციპული განცხადებით - მიუხედავად ავტორთა დიდი გამოცდილებისა, მიუხედავად ქ. თბილისის არქიტექტურულ-გეგმარებითი საბჭოს თითქმის ერთსულოვნებისა (მხოლოდ არქიტექტორი ვახტანგ დავითაია გამოვიდა საწინააღმდეგო პოზიციიდან), მიუხედავად აშკარა თუ ფარული ინტერესებისა, თავს უფლებას მივცემ, განვაცხადო: **წარმოდგენილი მიდგომა რიყის განვითარებისადმი ძირშივე მცდარია.**

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რიყის დარჩენილი ტერიტორიის საპრივატიზაციო ნაკვეთებად წინასწარ დაყოფა და მხოლოდ ამ წინადადების გატანა თუნდაც საჯარო განხილვაზე. აქ ფართე, საჯარო, პირუთვნელი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს რიყის განვითარების ერთიანი იდეა, კონცეფცია, ფუნქცია; ანუ, პრაქტიკულად, ზემოთნახსენები კონკურსის მიჩქმალული მასალები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ დედაქალაქისათვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი არქიტექტორთა ვიწრო წრეში, ხელისუფლების კულუარებში, ან ნუვორიშების სურვილის მიხედვით გადაწყდეს.

ამიტომ იყო, რომ ოთხმა არქიტექტორმა ღია წერილით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით, საშუალება მისცეს თბილისის საზოგადოებას, გაეცნოს როგორც ხსენებულ დ.დ.პ.-ს, ასევე პრინციპულად განსხვავებულ პოზიციას. ვისაც ეს წერილი არ წაგიკითხავთ, შეგახსენებთ მის პათოსს:

შეჩერდეს რიყეზე ნაკვეთების პრივატიზება, ყოველგვარი მშენებლობა და დადგინდეს დღევანდელი მიწათსარგებლობის კანონიერება;

მოეწყოს წარმოდგენილი დ.დ.პ.-სა და სხვა წინადადებების საჯარო განხილვა;

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ საკონკურსო მასალებში ჩადებული იდეების ანალიზს;

დაიწყოს რიყის ძირითადი ფუნქციის დადგენის ხანგრძლივი პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ შემუშავდეს ქმედებათა პროგრამა და ბიზნეს-გეგმა.

უნდა ითქვას, რომ ხსენებული წერილის გამოქვეყნების შემდეგ, მის ერთ-ერთ ავტორს ჰქონდა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან; ამ შეხვედრას თბილისის მერიც ესწრებოდა. პრეზიდენტმა მოიკითხა წერილზე დადებული თავისი რეზოლუციის შესრულება; იმედია, ეს რეზოლუცია არჩევნების შემდეგ მაინც შესრულდება.

მანამდე კი ველი გამოხმაურებას ამ წერილზე და ფართე პოლემიკის გამართვას **"24 საათის"** ფურცლებზე და საერთოდ, ქალაქის საზოგადოებაში.



# ქართლ-კახეთი, იმერეთი...




## ბადრი ვადაჭკორიას თვალით დანახული საქართველო

ანა კორძაია-სამადაშვილი

*მე ერთ-ერთი პირველთაგანი გახლავართ, ვინც ფოტოალბომი "საქართველო" ნახა.ოქტომბრის ბოლოს წიგნის ოფიციალური პრეზენტაცია შედგება და ის მაღაზიებშიც გამოჩნდება, მაგრამ მანამდე მაინც ვეცდები ბადრი ვადაჭკორიას "საქართველოს" შესახებ გიამბოთ.*

გიყვართ ჩრდილოეთი? მე – არა. მაგრამ, ოდესღაც ერთ წიგნის მაღაზიაში უზარმაზარი ფოტოალბომი ვნახე: "ესტონეთი, სიზმარი", და მან იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამ მანამდე ჩემთვის სრულიად მიუღებელ მხარეში მოგზაურობის სურვილი გამიჩნდა. დღეს გულწრფელად შემიძლია იმის თქმა, რომ ესტონეთი, მართლაც, სიზმარივით ლამაზია, ისევე - როგორც ჩვენი სამშობლო. ოღონდ, ამას უცხოელი აქ ჩამოსვლამდე ძნელად თუ მიხვდება, მით უმეტეს, რომ უკვე მრავალი წელია, საზღვარგარეთ ჩვენს შესახებ ერთობ არასახარბიელო ინფორმაცია გადის ხოლმე: რომ საქართველო ყაჩაღების მხარეა, რომ საშინელ სიდუხჭირეში ვცხოვრობთ, რომ ომი მძვინვარებს და ულელტეხილებზე ნაღმები ფეთქდება. ცხადია, არც უმაგისობაა, მაგრამ განა საამაყო და მოსაწონი არაფერი გვაბადია?

ეს მხოლოდ სხვა ქვეყნებს როდი ეხება – თავის სამშობლოს მართლაც საარაკო სიმდიდრის და მშვენების ამბავი მრავალმა ქართველმაც ყურმოკვრით იცის. მრავალს აზრადაც არ მოსდის, რომ შატილი ისევეა მისი სამშობლო, როგორც ვაჟა-ფშაველას გამზირის რომელიმე კვარტალი, და სანამ ვინმე მთლად მის ეზოს არ შეუტევს, არც შეიშმუშნება. ვერც გაამტყუნებ – რაც არ იცი და რაც არ გინახავს, იმის სიყვარულიც შეუძლებელია. ისე, ვაჟადანაც მშვენიერი მთა მოსჩანს, მაგრამ ან რა მთაა, ან იმის მიღმა რა ხდება, ნაკლებად გვადარდებს, და სხვათა შორის, ძალიანაც ვცდებით – ნამყოფი ვარ, მშვენიერი ადგილები ყოფილა.

სწორედ ამ შეცდომის გამოსწორება გახლავთ ბადრი ვადაჭკორიას წიგნის "საქართველოს" ერთ-ერთი მიზანი. "მინდოდა, რომ პირველ რიგში ქართველებისთვის შემეყვარებინა საქართველო". ბატონი ბადრი ფოტოგრაფადაც და ტექსტების ავტორადაც გვევლინება – ის ჟურნალისტი და ფოტოხელოვანია, და მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტიც იყო.

მისი თქმით, ამ ფოტოალბომს "ცხოვრების საქმე" შეიძლება ეწოდოს. ბატონი ბადრი, ჟურნალისტისა თუ დიპლომატის სტატუსით, მრავალგზის და დიდი ხნითაც ყოფილა საზღვარგარეთ მივლენილი. სწორედ იქ აღმოუჩენია, რომ ქართველებს კეთილად განწყობილი სტუმრებისა თუ მასპინძლებისთვის საჩუქრის გაკეთება ყოველთვის უჭირდათ – დამეთანხმებით, მართლაც, საკმაოდ რთული ამოცანაა, ყველას ხომ არ უხარია ქამარ-ხანჯალი... ამანაც მისცა ბატონ ბადრის იმის ბიძგი, რომ თავის ქვეყნის შესახებ ლამაზი, სასაჩუქრო წიგნი შეექმნა.

"მრავალი წელია საქართველოში სასაჩუქრო ფოტოალბომი არ გაკეთებულა, - თქვა ბატონმა ბადრიმ, - 22 წლის წინათ, 1981 წელს "საბჭოთა საქართველო" გამოიცა, 1986-ში – "სიმღერა საქართველოზე". მაშინ სულ სხვა დრო იყო და ალბომსაც სხვა დატვირთვა ჰქონდა. მე კი ახალი წიგნისთვის მასალის ნაწილი უკვე მზად მქონდა – ბევრს ვმოგზაურობდი და კამერას სულ თან დავატარებდი."

ცნობისთვის – "საბჭოთა საქართველოს" შექმნაზე 16 ფოტოგრაფი მუშაობდა, "საქართველო" კი, ფაქტობრივად, ერთი ადამიანის ნამუშევარია.

"მარტო მყინვარწვერს ხუთჯერ ვეახლე, - იხსენებს ავტორი, - სანამ ერთ დილას, გამთენიისას, ხუთ საათზე ხევის პატარძალი მოწყალედ არ მეჩვენა". უნდა ითქვას, რომ ფოტოალბომში შესული მყინვარწვერის "პორტრეტი" ნამდვილად ღირდა ამხელა ძალისხმევად. ამაში თავადაც დარწმუნდებით. პირადად ჩემზე უშბამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა - მწვერვალს თავზე ნისლი ადგას (მისი ფიქრია თუ სვანური ქუდი – ვერ გეტყვით, ძალიან ლამაზი კია).


ფოთი.


სუფსა.

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული "საქართველო" სამენოვანი გამოცემა გახლავთ – მოკლე ტექსტები, რომლებიც ფოტოსურათებს აქვს დართული, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე აცნობს მკითხველს ქვეყნის ცალკეულ მხარეებს. წიგნი ექვს ნაწილადაა დაყოფილი. მისი დამთვალიერებელი საქართველოში მოგზაურობას ძველი დედაქალაქიდან – მცხეთიდან იწყებს. ის "მოივლის" აღმოსავლეთ, დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველოს, შემდეგ თბილისსაც გაიცნობს და დარწმუნდება, რომ, ღვთის მიერ ბოძებული მრავალფეროვანი და ზღაპრული ბუნების გარდა, ქართველებს საკუთარი ხელითაც დიდებული ძეგლები შეუქმნიათ.

"საქართველოში" შესული ყოველი ფოტოსურათი ლამაზია. "ის, რომ ქვეყანა დანგრეულია, ყველამ ვიცით, მაგრამ არსებობს მარადიული ღირებულებებიც, - განმარტავს ბატონი ბადრი, - საერთოდ, ადამიანი, რომელიც სილამაზეს ვერ ხედავს, ბოროტდება. თან ყველა ქვეყანა ცდილობს, საკუთარი თავი ლამაზად წარმოაჩინოს. ჩვენ რით ჩამოვუვარდებით? ასე, ჩემთვის ევროპაში ყველაზე ლამაზი ქვეყნები ავსტრია და შვეიცარიაა. მაგრამ, იქ, თითქოს, ბუნებრიობაა დაკარგული, თითქოს - ბალახიც შეღებილია... ჩვენი ქვეყანა კი ერთ-ერთი ულამაზესია. ვიმედოვნებ, რომ ამ ალბომით ნებისმიერ ხალხთან შევძლებთ თავის ლამაზად წარმოჩენას".

როგორც ჩანს, ეს, თითქოს, სავსებით ბუნებრივი სურვილი – საკუთარი სამშობლოს ლამაზად წარმოჩენისა – ყველას არ გააჩნია. ბატონმა ბადრიმ გულისტკივილით თქვა, რომ ამ მონუმენტური ნაშრომის დასრულება მხოლოდ თავის მეგობრების დახმარებით შეძლო, და შეძლებულ ქართველებს მისთვის დახმარების გაწევა აზრადაც არ მოსვლიათ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ორგანიზაციებიდან მას პირველი "ჯეოსელი" გამოეხმაურა სრულიად უანგაროდ.

ასე თუ ისე, რამდენიმე პატრიოტისა და გულისხმიერი ადამიანის დახმარებით, წიგნი დაიბეჭდა და შესანიშნავიც გამოვიდა. "საქართველოს" გამომცემლები პაატა ნაცვლიშვილი და კომპანია BNV არიან; კონცეფცია და დიზაინი გიორგი ჯორჯაძეს ეკუთვნის. წიგნი 2003 წლის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი. ვიმედოვნებთ, რომ ის საზოგადოებაშიც საკადრის გამოძახილს ჰპოვებს, და ეს მისი ავტორისთვის დამატებითი სტიმული იქნება.


ბაგრატის ტაძარი.


ანანური.

ბადრი ვადაჭკორია ამ საქმის გაგრძელებას გეგმავს. "საქართველო" მისი დიდი პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია. თუკი ამ წიგნში ჩვენი სამშობლოს ბუნება და ისტორიული ძეგლებია აღბეჭდილი, დანარჩენი ტომები სხვა, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვან თემებს მიეძღვნება. ეს იქნება "ქართული კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ", რომლებიც, მოგეხსენებათ, მრავალ ქვეყანაშია მიმოფანტული: თურქეთში, რუსეთში, ბულგარეთში, ისრაელში, და თუმცა ამ პროექტის განხორციელება იოლი საქმე ნამდვილად არ იქნება, ბატონი ბადრი მაინც ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. მისი გეგმის თანახმად, ერთი ტომი მთლიანად ჩვენს ყოფასა და ტრადიციებს ასახავს.

მაგრამ, ეს მომავლის საქმეა. ჯერ "საქართველო" ვნახოთ. თუკი მისი შეძენის საშუალება არ გექნებათ, მაღაზიაში, დახლთან მაინც ჩამოდექით და გადაათვალიერეთ. შესაძლოა, გული სამშობლოს სიყვარულით უმალვე არ აგენთოთ, მაგრამ ისიამოვნებთ მაინც – სილამაზესთან შეხვედრა ყოველთვის ღირს; თან ალბომში არც ერთი ფოტოსურათი არა არის საგანგაშო ფერებში შესრულებული. მისმა ავტორმა მიამბო, რომ ფსიქოლოგების დასკვნის თანახმად, წიგნს სამკურნალო თვისებებიც კი აქვს - ფერთა მონაცვლეობა სტრესს ხსნის.

და თუკი აქვე, ყურისძირში, უჯარმამდე მისვლაც კი დაგეზარებათ, ბადრი ვადაჭკორიას "საქართველო" მაინც გადაფურცლეთ - ნახეთ, რა ლამაზია ჩვენი სამშობლო.

# სეპარატიზმი - უკურნებელი სენი



"ბალკანეთის ხეობებში"

ნინო ჭანიშვილი

თბილისს ორი დღით სტუმრობდა ცნობილი გერმანელი კურატორი, კასელის "ფრიდერიციანუმის" მუზეუმის დირექტორი, რენე ბლოკი.

რენე ბლოკი თბილისში ჩამოვიდა მიშა ციციშვილის (პროფესიონალთა ლიგა) ინიციატივითა და გერმანული მხარის (გოეთეს ინსტიტუტი) დაფინანსებით. მან წაიკითხა ლექცია – "ბიენალე, კულტურათა დიალოგი".

რენე ბლოკის წარმატებული კარიერა 22 წლის ასაკიდან იწყება. 1962 წელს მან ბერლინში გახსნა გალერეა, სადაც გერჰარდ რიჰტერის, ზიგმარ პოლკეს, იოსეფ ბოისისა და ნამ პაიკის ნამუშევრები გამოიფინებოდა. მანვე მოაწყო ბოისის გამოფენა ამერიკაში - "მე მიყვარს ამერიკა და ამერიკას ვუყვარვარ მე". მასვე მიანდეს 1993 წელს ვენის სამხატვრო აკადემიის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის კურატორობა. რაც შეეხება "ფრიდერიციანუმს", ეს ის მუზეუმია, სადაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ "დოკუმენტა" იმართება. თუმცა, რენე ბლოკი თავად დუკუმენტას კურატორი არასდროს ყოფილა. "ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც მე ვერ ვიტვირთავ", - თქვა მან.

გერმანულმა მხარემ მხოლოდ იმ პირობით დააფინანსა რენე ბლოკის თბილისში ჩამოსვლა, რომ ის რეკომენდაციებს მისცემს ქართველებს, თუ როგორ მოაწყონ საერთაშორისო დონის გამოფენა - ბიენალე, ტრიენალე, თუ სხვა რამ. ამგვარი გამოფენის მოწყობის სურვილი თბილისში უკვე დიდი ხანია გაჩნდა.

რენე ბლოკმა ისაუბრა განსხვავებული ტრადიციის და განსხვავებული ტიპის ბიენალეებზე. "ისე, გუშინ საერთოდ ვერც ვხედავდი იმის საჭიროებას, რომ თბილისში ბიენალე მოეწყოს, სანამ სამხატვრო აკადემია არ ვნახე... აქ ორი განსხვავებული სამყაროა - ძველი, ტრადიციული და მეორე - თანამედროვეობას ადევნებული. მათ შორის ჭიდილია".

ლექციის დასრულების შემდეგ რენე ბლოკმა დამსწრეებს, რომელთა შორის იყვნენ - მიშა ციციშვილი, ვატო წერეთელი (აპენდიქსი), შალვა ხახანაშვილი ("ქარავან სარაი"), ნინო მეტრეველი (N გალერეა), ნანა ყირმელაშვილი (არტექსპო 2004), სთხოვა, ესაუბრათ, თუ როგორ წარმოუდგენიათ საერთაშორისო დონის თანამედროვე ხელოვნების გამოფენის მოწყობა თბილისში. ბატონი ბლოკის ამ წინადადებას მოჰყვა "დისკუსია"- ჩხუბი ქართველებს შორის, რომელიც პარლამენტის სხდომის ანალოგიად იქცა - ყველა თავისსას მიერეკებოდა. საქმე ისაა, რომ ხშირად თბილისში ერთმანეთის გადამკვეთი პროექტები ხორციელდება. იგივე რეგიონული თემატიკით - საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის თანამშრომლობა, მათი თანამედროვე ხელოვნების წარმოჩენა, საერთაშორისო ბაზარზე გატანა – ერთდროულად რამდენიმე ორგანიზაციაა დაკავებული.

ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ ქართველი გალერისტები თუ სხვადასხვა პროგრამების ავტორები ერთმანეთთან თანამშრომლობით თავს არ იწუხებენ. "ისე, ქეთი კორძახიას კარგი იდეა ჰქონდა თავის დროზე - შექმნილიყო გალერეების ასოციაცია. ის მაინც გაგვეკეთებინა, რომ გამოფენების გახსნა ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ,"- თქვა ნინო მეტრეველმა.

საბოლოოდ, რენე ბლოკი სულ რომ არ შეშლილიყო ქართული ორთაბრძოლით, გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა იყოჩაღეს და მათ, ვისაც ერთი დიდი პროექტის განხორციელება სურს, მოსალაპარაკებლად "ნეიტრალური" ტერიტორია – გოეთეს ინსტიტუტი შესთავაზეს.

გარდა ლექციისა, რენე ბლოკმა თბილისში ჩამოიტანა ის ბალკანური ვიდეო ხელოვნება, რომელიც ამჟამად კასელის მუზეუმშია გამოფენილი. საქმე ისაა, რომ შარშან "დოკუმენტას" კურატორმა ბალკანეთის ქვეყნებს საერთოდ არ მისცა მონაწილეობის საშუალება. რენე ბლოკმა, "დოკუმენტას" საპასუხოდ, მოაწყო გამოფენა "ბალკანეთის ხეობებში". საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბალკანური (სახელწოდება პირობითია) თემატიკა - ამ რეგიონის გეოპოლიტიკა, ხელოვნება და კულტურა დღეს ძალიან აქტუალური და მოდურია. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, იგი ნაკლებ აქტუალურია და ის ახლა ცდილობს, თავი დაიმკვიდროს თანამედროვე მსოფლიოს არტსცენაზე. მაგრამ, იმედია, სამხრეთ კავკასიის ჯერიც დადგება და ეს რეგიონიც, ბალკანეთის მსგავსად, შეძლებს თავის სიტყვა თქვას, საკუთარი პრობლემებით დაამწუხროს მსოფლიო.

# ბაზარი თუ ბაზრობა?

ნინო ჭანიშვილი

გუშინ ფილარმონიის მეოთხე სართულზე ქართული ღონისძიებებისთვის ჩვეული უწესრიგობა სუფევდა. იმის მოპოვება თუ კონკრეტულად ვინ მონაწილეობს "კულტურის საერთაშორისო ბაზრობა 2003"-ში, რომელიც დღეს იხსნება შეუძლებელი აღმოჩნდა. "მონაწილეებს კატალოგში ნახავთ, რომელიც გამოიცემა, ჩამოდიან პროდიუსერები, მენეჯერები ფინეთიდან, შვედეთიდან..." – ამბობს ბაზრობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ანუ წინასწარ არჩევანის გაკეთება შეუძლებელი იქნება მყიდველისთვის, თუ ასეთი ბუნებაში არსებობს.

გუშინდელი დღე ბაზრობის ზოგიერთი მონაწილისთვის უსიამოვნოდ დაიწყო, რადგან საჭირო კიბე, ლურსმანი და ჩაქუჩი სექციის მოსაწყობად არ მოიპოვებოდა. "რა არის ეს რაც დაგვპირდით არ უნდა შეასრულოთ?! მარტო ქაღალდზე, ხომ არ უნდა იყოს ყველაფერი" – ასეთი იყო ქართველ მონაწილეთა დეპრესიული რეპლიკები. სამაგიეროდ, საბრძოლო განწყობით არიან ჩამოსულები აზარბაიჯანიდან. ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან 12 მონაწილე ჩამოვიდა, რომლებიც ბაქოს თანამედროვე და ასევე რეგიონულ ხელოვნებას წარმოადგენენ. მიუხედავად საშინელი მგზავრობისა და დაღლილობისა, ისინი ხალისიანად გამოიყურებოდნენ. "განწყობა საბრძოლო გვაქვს, მიხარია რომ ისევ თბილისში ვარ, ველოდები კონკრეტულ შემოთავაზებებს, იმედი მაქვს, რომ კონტაქტებს დავამყარებთ და ეს ბაზრობა უკვალოდ არ ჩაივლის" – ამბობს აიტან ჰაჯიევა, კომპანია "პრემიერ LTD-ს" წარმომადგენელი. ქართველებისგან განსხვავებით აზერბაიჯანელი მონაწილეები სპეციალურად შერჩეული პროგრამით ჩამოვიდნენ. სომეხი მონაწილეები კი საერთოდ არ ჩამოვიდნენ.

ბაზრობას არანაირი კონცეპტი არ გააჩნია, რაც მეტად დამაბნეველია. მაგალითად, 9 ოქტომბერს პარიზშიც გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა FIAC, სადაც 23 ქვეყნიდან 170 გალერეა მონაწილეობს. და სადაც მხოლოდ თანამედროვე ხელოვნებას ყიდიან. "კავკასია 2003" –ზე კი კულტურის ყველა სფერო ერთად გაიყიდება?

გარდა ამისა, ბაზრობის ფარგლებში ჩატარდება კონფერენციები, მასში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვიდან მოწვეული "კულტურის პოლიტიკის ინსტიტუტის" წარმომადგენლები.

# დი-ჯეი პორნო-ვარსკვლავის, სუპერ-ჯაშუშისა და დისკოს მოცეკვავის ფსევდონიმით

## დღეს თბილისში ფრანგული ჰაუსის ლიდერი იმღერებს

ვერა ნეფარიძე

*დღევანდელი კონცერტი ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მსოფლიო მუსიკალური ათეულების წამყვანი შემსრულებელი პოპულარობის ზენიტში ყოფნისას თბილისში ჩამოდის. დღეს "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სტუმარი ბოლო დროის საცეკვაო ჩარტების ერთ-ერთი ლიდერი, ფრანგი დი-ჯეი ბობ სინკლერი იქნება.*

ამ შემსრულებელს ბობ სინკლერის სახელით იცნობენ. ის უკრავს, თითქმის, ყველგან: ნიუ იორკში, ჰონგ კონგში, ლონდონში, პარიზში... გამოიყურება საკმაოდ სიმპათიურად. ხშირად მის გემოვნებას მისი თანმხლები ლამაზ-ლამაზი გოგონებითა და ძვირადღირებული, დახვეწილი ავტომანქანებით აფასებენ. ბობ სინკლერი სხვა არავინაა, თუ არა 32 წლის პარიზელი კრისტოფერ ლოფრიაი (სწორედ ესაა მისი ნამდვილი სახელი და გვარი), მეტსახელად "ფრანგული კოცნა"; საკლუბო ჰიტების - Gymtonic, The Ghetto-სა და მეტად წარმატებული ჩანაწერის I Feel For You-ის ავტორი. თბილისში ძალიან კარგად იცნობენ სინკლერის ორ ყველაზე პოპულარულ ნამუშევარს - Kiss My Eyes-სა და Beat Goes On-ს; ვიდეოკლიპს კი სიმღერაზე Kiss My Eyes, მსახიობ ვან დამის მონაწილეობით, სხვადასხვა მუსიკალურ არხებზე საკმაოდ ხშირად ატრიალებენ, მათ შორის - ჩვენთანაც.



*დღეს საღამოს ბობ სინკლერი თბილისელებს გაართობს.*

"ბობ სინკლერი ჩემი გამოგონილი სახელია - ერთგვარი ალტერ-ეგო, რომელიც ერთი მხრივ, ხუმრობით, მეორე მხრივ კი, იმიტომ ავირჩიე, რომ მინდოდა, ეს სახელი ჟღერადობით პორნო-ვარსკვლავთან, სუპერ-ჯაშუშთან და დისკოს მოცეკვავესთან ყოფილიყო ასოცირებული ", - კრისტოფერ ლოფრიაიმ ფსევდონიმი ფილიპ დე ბროკას ფილმის, "შესანიშნავის" გმირისგან (რომელსაც ჟან-პოლ ბელმონდო ასრულებს) აიღო.

ბობ სინკლერი გაიზარდა და დღესაც პარიზელი გეების ბოჰემურ კვარტალში - Le Marais-ში ცხოვრობს. "ეს პარიზის ცენტრია - როგორც ნოთინგ ჰილი ლონდონში," - ამბობს პარიზული ნოთინგ ჰილის მკვიდრი. პროფესიული არჩევანი სინკლერმა 1987 წელს გააკეთა, როდესაც კლუბ le Palace-ში პირველად ნახა, თუ როგორ მუშაობდა დი-ჯეი ორ ფირფიტასთან. მართალია, მაშინ მოსმენილი მუსიკა, იმდროინდელი მუსიკალური მოდის მიხედვით, ჰიპ-ჰოპი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მომავალში კრისტოფერი french sound-ითა და french house-ის სახელით ცნობილი მუსიკალური მიმდინარეობის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბებულიყო. ეს მოგვიანებით მოხდა, კერძოდ, 1993 წლის ოქტომბერში, როდესაც კრისტოფერმა მეგობართან, Yellow-თან ერთად ჩამოაყალიბა ხმის ჩამწერი ფირმა, იმ დროისათვის არაფრისმთქმელი სახელწოდებით Yellow Productions (აქვე უნდა ვთქვათ, რომ დი-ჯეი Yellow თბილისშიც გაიცნეს. იგივე "აჭარა მიუზიკ ჰოლის" პრომოუტერების მოწვევით იგი თან ახლდა სალომე დე ბაიას. ხოლო ამ უკანასკნელთან ერთად ბობ სინკლერს რამდენიმე ჩანაწერი აქვს გაკეთებული). Yellow Productions მალევე გახდა საფრანგეთში წამყვანი ხმის ჩამწერი კომპანია, სადაც 70-იანი წლების ფანკისა და დისკო მუსიკის თანამედროვე ვარიანტებს იწერდნენ. "ჩვენ ვიყავით ისეთი ლეიბლების ფანები, როგორებიცაა: Blue Note, Prestige და Mo Wax. გვინდოდა, ჩვენი ლეიბლისთვის შეგვექმნა ასეთივე კარგი იმიჯი, ოღონდ - ფრანგულ სტილში". ამ ყველაფერის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეგობრების მონდომებამ გაამართლა. მაგრამ, როგორც ჩანს, კრისტოფერს სხვაგვარი ინტერესი გაუჩნდა. 1998 წელს იგი Yellow-ის ტრადიციული ჟღერადობისგან ცოტა განზე გადგა და ბობ სინკლერის ფსევდონიმით ჩაწერა კომპოზიცია Gymtonic, სადაც გამოიყენა სემპლი ჯეინ ფონდას ვოკალით. ეს იყო საკმაოდ წარმატებული დებიუტი. თუმცა, ნამდვილი ბუმი მოჰყვა ფირფიტას I Feel For You. ხოლო საკლუბო მუსიკის ელიტაში სინკლერი 2000 წელს, სრულფასოვანი ალბომის - Champs Elysees-ის გამოშვების შემდეგ მიიღეს. დღეისათვის სინკლერი სამი ალბომის ავტორია - უკანასკნელი წელს, თებერვალში გამოიცა. სწორედ ამ ალბომში შესულმა ორმა კომპოზიციამ დაუმკვიდრა ადგილი წლევანდელ საცეკვაო ჩარტებში ბობ სინკლერს.

რა განასხვავებს ბობ სინკლერის ჩანაწერებსა და ცოცხლად შესრულებულ საკონცერტო პროგრამას, დღეს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამოჩნდება.

# „პარნასის" ფილიალში პირველი საღამო მოეწყო

## შეხვედრა რატი ამაღლობელთან

ნანა ბასილაშვილი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ წიგნების მაღაზია "პარნასმა" თბილისის ერთ-ერთ პერიფერიაში - გლდანში, თავისი ფილიალი გახსნა. თითქმის, ერთი თვეა, რაც გლდანისა და მუხიანის მოსახლეობას, ვაკისაკენ მიმავალი გზის გაუვლელად, ზუსტად ისეთსავე მაღაზიაში შეუძლიათ წიგნის შეძენა. მაგრამ, ამის შესახებ იქ მაცხოვრებელთა უმეტესობამ ჯერ კიდევ არ იცის. ეს სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგის მიხედვით არ გარკვეულა, ამის შესახებ ისევ "პარნასში", ოღონდ ვაკეში გებულობენ ხოლმე. თუმცა, გლდანის "პარნასის" მიერ სოციოლოგიური გამოკითხვის მსგავსი რამ სხვა საკითხთან დაკავშირებით მაინც მოწყობილა.

"პარნასული" ტრადიცია, რასაკვირველია, მის ფილიაშიც აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს - ახალი წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები სხვადასხვა პოეტებთან თუ მწერლებთან და ა.შ. დამეთანხმებით, პირველი საღამო მომდევნო შეხვედრების ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს და, ამდენად, გლდანის "პარნასის" პირველი საღამოც აუცილებლად საინტერესო და "მიმზიდველი" უნდა გამოსულიყო. მთავარი საღამოს სტუმრის არჩევა იყო - ანუ ადამიანის, ამ შემთხვევაში მწერლის ან პოეტის, რომელიც წარმატებული "პარნასული" საღამოების საწყისი იქნებოდა. გამოკითხვებისა (რომელიც ზემოთ ვახსენე) თუ ბჭობის შედეგად არჩევანი პოეტ რატი ამაღლობელზე შეჩერდა და გუშინ გლდანის "პარნასში" პირველი საღამოც გაიმართა.



*რატი ამაღლობელი თაყვანისმცემლებთან ერთად.*

რატი ამაღლობელის პოეზიის საღამოებსა (კლუბ "სარდაფი") და მისი წიგნების პრეზენტაციებს ("ერთი მსახიობის თეატრი", "პარნასი") ბევრჯერ დავსწრებივარ და ყველგან გადაჭედილი დარბაზი მხვდება. საზოგადოება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ასეთ შემთხვევებს ხელიდან არ უშვებს. საღამოებზე, როგორც წესი, რატი ჯერ საკუთარ ლექსებს კითხულობს, შემდეგ მისი პოეზიის მკითხველების დიდ არმიას უამრავ კითხვაზე პასუხობს, ამის მერე თავად მკითხველები იწყებენ ხოლმე რატის ლექსების წაკითხვას და ბოლოს ავტოგრაფების დარიგებით ემშვიდობებიან ერთმანეთს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი სცენარის გარეშე ხდება - სპონტანურად და ცოცხლად. გუშინაც ასე იყო - თუმცა არა, იყო პირიქით - ლექსების კითხვა ჯერ მკითხველმა დაიწყო, მაგრამ ადგილების გადანაცვლებით ხომ ჯამი არ იცვლება. საღამომ, მაინც, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, შინაურულ ატმოსფეროში, საინტერესოდ და ხალისიანად ჩაიარა. ორივე მხარე - პოეტიცა და მისი მკითხველებიც, ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ აღარაფერი ვთქვათ მაღაზია "პარნასის" გლდანის ფილიალის მესვეურებზე. ასე რომ, ყველაფერი კარგად დაიწყო და "პარნასი" უკვე მომავალი საღამოს გამართვას გეგმავს. მომავალ შეხვედრამდე!

# მე ამისგან გავაკეთებ...

## საავტორო ფიქრები ახალი ვარსკვლავის შესახებ

ვერა ნეფარიძე

*"ჩემით შევქმენი თილისმა / ღვთისგან ნაჩუქარ თითებით / დამიმახსოვროს თბილისმა / და მომიგონონ მითებით"*
*(ნაწყვეტი ლექს-სენის სიმღერიდან)*

*რამდენ ხანს დაიმახსოვრებს თბილისი ქართული რეპის ახალ, მაგრამ საკმაოდ პოპულარულ სახეს, დროის ამბავია. ჯერჯერობით კი ბევრი პირობა არსებობს საიმისოდ, რომ ლექს-სენი ქართული რეპის (იგულისხმება ქართულენოვანი რეპი) მოწინავეთა რიგებში ვიგულოთ. ათი საკუთარი სიმღერით, სადებიუტო ალბომით, ოთხი ვიდეოკლიპითა და გულშემატკივართა არმიით ის ქართველ რეპერთა შორის გამორჩეული ლიდერია.*

თუკი უკვე მოგბეზრდათ ამ მომღერლის ვიდეოკლიპების მეტისმეტი სიხშირით გამოჩენა ტელეეკრანზე, და გადაჭარბებული გეჩვენებათ მის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი, არ უნდა გაგიკვირდეთ, რადგანაც "პირველი სტერეო" სრულიად ოფიციალურად უწევს "პრომოუშენს" ლექს-სენს. ეს არხი ხომ მაუწყებლობის დღიდან სხვადასხვა ადგილობრივი შემსრულებლების დროებით მითებს გვიქმნის. მაგრამ, ამიერიდან გარკვეული ცვლილებები მათ საქმიანობაშიცაა. კერძოდ, კი სატელევიზიო არხის ხელმძღვანელობა, უშუალოდ მისი პრეზიდენტი მამუკა ღლონტი უკვე თავად პროდუსერობს რამდენიმე მუსიკოსს. ამაში ცუდი, რასაკვირველია, არაფერია, მით უმეტეს, თუკი ამ მუსიკოსთა რიგებში ისეთებიც არიან, ვისთვისაც სხვა შემთხვევაში კლიპების გადაღება, რეკლამა (სხვადასხვა ფორმით) მიუწვდომელი ფუფუნებაა. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ხშირად ასეთი "მხარდაჭერა" პოპ-ვარსკვლავებს ვნებთ - ერთი იმიტომ, რომ მათი "პრომოუშენი" პირდაპირ კომერციაზეა გათვლილი და მეორეც - საზოგადოებას ყოველთვის ბეზრდება მათი დაუსრულებელი ქება-დიდება თუ ნებისმიერი მათი ნამუშევრის შედევრად წარმოჩენა... თანამედროვე მუსიკალურ ბიზნესში ასე იქმნებიან ვარსკვლავები. ეს ყველაფერი, შეიძლება, ჩვენთვისაა ახალი, თორემ მსოფლიო მუსიკალური სამყარო (ამის ყველაზე ნათელი დადასტურება MTV-ის გამოგონილი ვარსკვლავებია) სავსეა მედიისგან შექმნილი პოპ-ვარსკვლავებით.

როგორც ჩანს, საკუთარი ვარსკვლავების შექმნაზე ქართული მედიაც იმუშავებს. ამაში გუშინწინ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ლექს-სენის ალბომის (რომლის სახელწოდებაა "ლექსს არ ვყიდი") პრეზენტაციაზე დავრწმუნდი. "პირველმა სტერეომ" საკუთარ ვარსკვლავს სადებიუტო ალბომის პრეზენტაცია-აქცია მოუწყო. მერე რა, რომ ისეთი ცოცხალი და, გარკვეულწილად, ენერგიული მუსიკა, როგორიც რეპია, მუსიკოსმა ფონოგრამაზე აამღერა... სამაგიეროდ, კლუბში მიწვეულები იყვნენ ადგილობრივი შოუ-ბიზნესის, მასმედიის წარმომადგენლები; იყო სასმელი, ბუტერბროდები და თითო აუდიოკასეტა ავტორის ხელმოწერით...

ჩანაფიქრი არ იყო ურიგო. პრეზენტაცია-აქცია (აქცია ომისა და ძალადობის წინააღმდეგ) ლექს-სენის გამოჩენის პრეისტორიით (ასე უწოდა საღამოს წამყვანმა მამუკაბერიკამ) – ორი ვიდეოკლიპის ჩვენებით დაიწყო (ვერ მივხვდი, რატომ არ გვაჩვენეს მუსიკოსის სადებიუტო ვიდეოკლიპი) და ახალი ნამუშევრით, კლიპის შემოქმედებითი ჯგუფის წარდგენითა და კონცერტით გაგრძელდა. მაგრამ, როდესაც მომღერალმა დაუფარავად, მიკროფონი დაუშვა და კლუბში კი ჩვეულებისამებრ მისი ხმა ისმოდა, საღამომ, სხვისი არ ვიცი და, ჩემთვის სრულიად კომიკური ელფერი შეიძინა. არადა, რეპს განსაკუთრებით არ უხდება მსგავსი სიყალბე; სხვათა შორის, არც ლექს-სენს, რომელიც შესაშური ენერგიულობით მოქმედებდა სცენაზე. რაც შეეხება ვიდეოკლიპს "ხელები მაღლა", ამიერიდან მასზე მსჯელობის საშუალება ყველას ექნება ისევ და ისევ "პირველი სტერეოს" წყალობით. უბრალოდ, დავამატებ, რომ ვიდეოკლიპის იდეა ლექს-სენის პროდიუსერს მამუკა ღლონტს ეკუთვნის, რეჟისურა კი - კახა ოთარაშვილს (მისივე გადაღებულია რეპერის წინა ვიდეოკლიპი სიმღერაზე "იყავი ის, რაც ხარ"). ერთი სიტყვით, ლექს-სენს გაუმართლა და სხვაზე არანაკლები შანსები აქვს სცენაზე ადგილის დასამკვიდრებლად. რამდენად დაუვიწყარ მითებს შექმნიან რეპერზე, ეს მხოლოდ მუსიკოსზე იქნება დამოკიდებული.



## ორი სიტყვით

### გოთიკა ინგლისურად

ლონდონში, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში გახსნილი გამოფენა შუა საუკუნეების ინგლისის ხელოვნებას წარმოადგენს. შავი ქსოვილით გაწყობილ დარბაზებში 300-ზე მეტი უძვირფასესი ექსპონატია წარმოდგენილი: მახვილები, საბრძოლო აღჭურვილობა, ქანდაკებები, ნახატები, სამკაული, სამეფო კარის ცხოვრების ამსახველი ნივთები. ამ გამოფენის სახელწოდებაა "გოთიკა. 1400-1567 წლების ინგლისის ხელოვნება".

გამოფენის წყალობით დამთვალიერებელი თითქოს იმ დროში ამოჰყოფს თავს: აქ რიჩარდ III-ის დღიურის წაკითხვაც შეიძლება და ჰენრიხ VIII-ის აღჭურვილობის ნახვაც, ჯერ კიდევ იმ დროინდელისა, როცა ორი მეუღლის სისხლით ჰქონდა ხელები დასვრილი. აქვეა მებრძოლი ჰენრიხ V მუზარადი, მახვილი და ფარი. მარგარიტა იორკელის პატიოსანი თვლებითაა მოოჭვილი გვირგვინი – ეს ნივთი 500 წლის განმავლობაში გერმანიაში ინახებოდა.

გამოფენა შუა საუკუნეების ყოფის ყოველ ასპექტს მოიცავს – საბრძოლო ხელოვნებით დაწყებული და სუფრის კულტურით დამთავრებული. მნახველი საკუთარი თვალით იხილავს, თუ როგორ დასტიროდნენ იმხანად მიცვალებულებს და როგორ განადგურდა ტაძრები და მონასტრები ჰენრიხ VIII დროს.

თუმცა, ექსპოზიცია მხოლოდ ინგლისზეა კონცენტრირებული, ის იმ ხანის დასავლეთევროპული ყოფის შესახებაც იძლევა წარმოდგენას. მრავალი ობიექტი ნიდერლანდელი და ფრანგი ოსტატების ნახელავია, და თვალნათლივ ჩანს, რომ მაშინ, როცა ინგლისში გოთური სტილი იყო გაბატონებული, იტალიელები იმ დროისთვის შედარებით ნატურალისტურ ხელოვნებას ქმნიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ იმ ეპოქაში ინგლისელები ძალიან მდიდრები იყვნენ და თამამად აძლევდნენ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ რენესანსული ხელოვნების ნიმუშები კონტინენტზე შეეძინათ – ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში ეს ექსპონატებიცაა წარმოდგენილი. ასეთია, მაგალითად, ორი ნატურალური ზომის მამაკაცის ბიუსტი – ერთ-ერთი მათგანი ჰენრიხ VII გახლავთ.

ცალკეული ეგზემპლარების წარმოშობა გაურკვევლია, მაგალითად, პატიოსანი თვლით დამშვენებული ოქროს თილისმისა, რომელიც 1985 წელს შემთხვევით იყო ნაპოვნი. თილისმას საიდუმლო განყოფილება აქვს და უკანა მხრიდან მაგიური წარწერითაა შემკული.

გამოფენა 2004 წლის 18 იანვრამდე გასტანს.

### მოდაშია ფრიდა კალო

მილანის მუზეუმი 8 ოქტომბრიდან 8 თებერვლამდე მექსიკელი მხატვრის ფრიდა კალოს გრანდიოზულ გამოფენას მასპინძლობს. ხელოვნებათმცოდნეები ამ მნიშვნელოვან ექსპოზიციას მოდურობას აბრალებენ. ისინი აცხადებენ, რომ სელმა ჰაიეკის ფილმის "ფრიდას" დიდ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ მექსიკელი მხატვარი მოულოდნელად ძალზე მოდური გახდა.

თუმცა, ფრიდა კალოს მოულოდნელ პოპულარობას, ალბათ, დადებითი მხარე მაინც აქვს – ამ დიდი მხატვრის შემოქმედებას უფრო მეტი ადამიანი გაიცნობს. მილანელებს კი, მართალია, მოდურობის გამო, მაგრამ მაინც შეეძლებათ მისი ნამუშევრების დათვალიერება.

### შექსპირი ჯარში მიჰყავთ

აშშ-ს თავდაცვის კონგრესის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში, რომელიც 368 მილიარდ დოლარს შეადგენს, 1 მილიონი შექსპირის პიესების დადგმებისთვისაა გამოყოფილი. სპექტაკლები სპეციალურად ჯარისკაცებისთვის უნდა დაიდგას, რათა მათ ხანდახან მაინც შეძლონ ომიდან ლიტერატურაზე ყურადღების გადატანა.

თუმცა, თეატრალებს თანხა ეცოტავებათ და იმედი აქვთ, რომ კონგრესისგან უფრო დიდ დაფინანსებას მიიღებენ. პარალელურად, ადგენენ იმ სამხედრო ბაზათა ნუსხას, სადაც მსახიობთა დასები სპექტაკლებს ჩაიტანენ. უკვე ცნობილია, რომ ნიუ იორკული თეატრი "აქილა" მარტში ჯარისკაცებისთვის ითამაშებს "ოტელოს", ალასკას სამხედრო ბაზაზე კი "მაკბეტს" წარადგენენ. პროექტი 15 თვეს გაგრძელდება. შექსპირის მარადიულ თემებს, შეძლებისდაგვარად, 50-ივე შტატის ყველა სამხედრო ბაზაზე გაათამაშებენ.

### R.E.M სეზონს ხსნის

ცნობილი გახდა, რომ ჯულს ჰოლანდის პოპულარულ ბრიტანულ ტელეშოუს Later ამერიკული სუპერჯგუფი R.E.M გახსნის. ტრიომ უკვე დაასრულა მუშაობა ალბომზე In Time და გადაწყვიტა, ტელეშოუში მონაწილეობით ახალი სეზონის დასაწყისი გამოაცხადოს. რაც შეეხება ჯგუფის ახალ დისკს, მისი შეძენა 27 ოქტომბრიდან იქნება შესაძლებელი.

ტელეშოუში R.E.M ახალ სინგლს - Bad Day წარადგენს. ამერიკელ მუსიკოსებთან ერთად, საკუთარ გადაცემაში ჯულს ჰოლანდი ელოდება პოპულარულ ინგლისელ მომღერალს ჯამელიას. ასევე გამოჩნდება იოკო ონოც, რომელიც საზოგადოებას DVD-ს სახით წარუდგენს გარდაცვლილი მეუღლის ცხოვრებიდან ამოკრებილ ვიდეომასალას სახელწოდებით "ლენონი ლეგენდა".

წიგნები



## მადონა ქართულად

**მადონას** გამომცემელი ნიკოლას კალავეი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას დიდი ამბიციებით შეხვდა. მისი გეგმა-მაქსიმუმი ასეთია: ბაზრობის დამთავრებამდე წიგნის 50 ენაზე გამოცემის კონტრაქტი უნდა მოვიპოვო.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ მიდის კალავეის ჩანაფიქრი, თუმცა, "როიტერსის" ცნობით, უკვე არსებობს 37 ხელშეკრულება. "კალავეიმ ახლახან გააფორმა კონტრაქტი ინდონეზიის, კორეის, იაპონიისა და **საქართველოს** მხარესთან", - ნათქვამია "როიტერსის" ცნობაში.

ცხადია, ჩვენი მკითხველისთვის ამ ოთხი ახალი ენიდან განსაკუთრებულად საინტერესო ბოლოა – ქართული. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ჯერჯერობით მადონას ქართულენოვანი გამოცემის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, ნუ იფიქრებთ, რომ "როიტერსი" შეცდა. მადონა ქართულად – ეს სიმართლეა და ამაში ნოემბრის დასაწყისში თავადაც დარწმუნდებით.

მანამდე კი **"ინგლისის ვარდები"** მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს იპყრობს. შტატებში ტირაჟი უკვე მესამედ დაბეჭდეს, ბრიტანეთში – მეოთხედ, ფინეთში წიგნი ორ საათში გაიყიდა. ხოლო "ნიუ იორკ ტაიმსის" საბავშვო ბესტსელერთა სიაში "ინგლისის ვარდებმა" "ჰარი პოტერსაც" გადაუსწრო. "გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობამ მსოფლიოს მასშტაბით 500 ათასს გადააჭარბა. ისეთი ტემპებით მივდივართ, რომ წლის ბოლოს ალბათ რიცხვი მილიონსაც გადასცდება", - აცხადებს კალავეი და დასძენს, რომ ერთ თვეში წიგნის მაღაზიების დახლებზე მადონას ხუთტომეულად დაგეგმილი გამოცემის მეორე წიგნი გამოჩდნება.

მას Mr. Peabody's Apples-ი (სავარაუდოდ, "ბატონი ბარდისტანას ვაშლები") ერქმევა და პირველი წიგნის მსგავსად შესანიშნავი ილუსტრაციებით იქნება სავსე. "ინგლისის ვარდები" გოგონებისთვისაა. Mr. Peabody's Apples-ი კი, ალბათ, უფრო ბიჭებისთვისაა განკუთვნილი. მასში მოთხრობილია პატარა ამერიკულ ქალაქში მცხოვრები მასწავლებლის ამბავი, რომელსაც ტყუილუბრალოდ აბრალებენ ქურდობას", - განმარტავს კალავეი, მადონა კი დასძენს: "ამ წიგნს მთელი მსოფლიოს მასწავლებლებს ვუძღვნი. მასში მოთხრობილია იმაზე, თუ რამხელა ძალა აქვს სიტყვას. როგორ უნდა შევარჩიოთ საუბრისას სიტყვები ისე, რომ სხვებს გული არ ვატკინოთ".

"როიტერსის" ცნობით, მადონა თავისი წიგნის წარმატებით გახარებული და გაოცებულია. კალავეი კი აპირებს კონტრაქტების რიცხვის გაზრდას და აფრიკული, ინდური და არაბული ქვეყნების დაპყრობას.

ასე რომ, საქართველო მადონას შემთხვევაშიც ამართლებს თავის გეოპოლიტიკურ (ანდა, სულაც "გეოლიტერატურულ") მდებარეობას – ყოფილი "მატერიალური გოგონას" პირველი ლიტერატურული ლაშქრობა აღმოსავლეთისკენ ხომ ჩვენი ქვეყნიდან იწყება.

## დაჯილდოებული პოეტები

ბრიტანეთში გაიცა ყველაზე მნიშვნელოვანი პრიზი პოეზიაში. "ფორვარდის" 10 ათას გირვანქა სტერლინგიანი ჯილდოთი ბელფასტელი პოეტი ქირენ კარსონი დაჯილდოვდა (კრებულისთვის Breaking News - "ცინცხალი ამბავი"). გუშინვე გაიცა საუკეთესო პირველი კრებულის ჯილდო, რომელიც გლაზგოელმა ეიბი ჯექსონმა აიღო. ჟიურიმ შეარჩია საუკეთესო ერთი ლექსიც და რობერტ მინინიკი დააჯილდოვა ლექსისთვის "მელა უელსის მუზეუმში".

ცერემონიალი ლონდონში ოთხშაბათს გაიმართა. გუშინ კი ბრიტანელებმა მნიშვნელოვანი დღესასწაული – პოეზიის ეროვნული დღე იზეიმეს.

# რუსეთი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარია

### ჩვენ რას ვაპირებთ?

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანებამ და რამდენიმე მსხვილმა დასავლეთგერმანულმა გამომცემლობამ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა დააარსეს. დღეისათვის ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზრობაა. მისი მასშტაბები საკმაოდ შთამბეჭდავია: 75 ათასი კვადრატული მეტრის ფართობზე განლაგებულ ბაზრობას წელს მსოფლიოს 105 ქვეყნიდან 6.700 მონაწილე ეწვევა, ხოლო დამთვალიერებელთა რიცხვი 300 ათას ადამიანს აღემატება. საუკეთესო გარიგებებისა და კონტაქტების დამყარების საშუალებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მსოფლიოს გამომცემელთა უმრავლესობისთვის (სხვათა შორის, ქართველებისთვისაც) ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში მონაწილეობა პრესტიჟის საკითხია.

1976 წლიდან ფრანკფურტში "ცენტრალური მონაწილე ქვეყნის" არჩევის პრაქტიკა არსებობს. შეტანილ განაცხადებებს შორის კონკურსის საფუძველზე, ამა თუ იმ ქვეყნისთვის ამ საპატიო როლის მინიჭების გადაწყვეტილებას ფრანკფურტის ბაზრობის დირექტორთა საბჭო და მეურვეთა საბჭო იღებენ.

საპატიო სტუმარ ქვეყანას საგამოფენო ექსპოზიციისთვის პავილიონს შეღავათიანი პირობებით უთმობენ. ამ პავილიონს ყველაზე მომგებიანი, ცენტრალური განლაგება აქვს - გასული



წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, მის დამთვალიერებელთა რაოდენობა 120-დან 150 ათას ადამიანამდე მერყეობს. ბაზრობის პროგრამაში სტუმარი ქვეყნის ღონისძიებებს ძირითადი ადგილი ეთმობა. როგორც წესი, ამ ქვეყნის ექსპოზიციას ქვეყნის პირველი პირები ხსნიან, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ექსპოზიციის დემონსტრირება კულტურული ღონისძიებების ფონზე ხდება, რომლებიც ფრანკფურტსა და გერმანიის სხვა ქალაქებში იმართება.

მოკლედ, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრობა არ არის სოფელ რაღაცტალში გამართული კულტურის კვირეული, როცა ერთი-ორი ფილმის ჩვენებისა და ორგანიზატორთა ნათესავ-მეგობრების ნამუშევრების გამოფენის გახსნის შემდეგ ადგილობრივი გაზეთი დამწყები ჟურნალისტის სტატიას გამოაქვეყნებს, ერთი-ორი ემიგრანტი წაუტირებს და სამშობლოს დარდს იაფფასიან ღვინოში ჩაკლავს, ვიღაცას კი სამხრეთ საფრანგეთში გასამგზავრებელი ფული გაუჩნდება. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრობა შესანიშნავი ამბავია, რომლის წყალობითაც, ქვეყანას არამარტო ერთი ქალაქი, არამედ მთელი ევრაზია ეცნობა, თან - საუკეთესო კუთხით: სხვა თუ არაფერი, ბაზრობის საპატიო სტუმრობა იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში კულტურა არსებობს და ხალხმა წერა-კითხვა იცის.

ოდესღაც, ფრანკფურტის "შირნის" გალერეაში, ვოცნებობდით, რომ დადგებოდა დრო და ამ დარბაზში, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრობის ფარგლებში, ქართული მოდერნის საუკეთესო ნიმუშები გამოიფინებოდა, "ფორუმში" – "ვეფხისტყაოსნის" სრულიად განსაკუთრებული გამოცემის პრეზენტაცია გაიმართებოდა და სხვა და სხვა – ოცნებას მაინც რა უდგას წინ! და საერთოდ, მერე რა, რომ პატარა ვართ, რატომღაც სასტიკად გაჭირვებული ქვეყანა გავხდით და ჯანსაღი ამბიციაც კი აღარ შეგვრჩა – განა არაფერი გაგვაჩნია და არაფერი შეგვიძლია?

გასულ წელს საპატიო სტუმრის ადგილი ლიტვას ეკავა, რაც საქართველოსთვისაც დიდად გასახარი ამბავი იყო: თუკი, ასევე, პოსტსაბჭოთა და, ასევე, პატარა ქვეყანამ ამდენი შეძლო, იქნებ ჩვენც გვქონდეს იმის შანსი, რომ თავი ოდესმე მაინც ვისახელოთ, ვთქვათ, როცა ივერია გაბრწყინდება, ან რა ვიცი...

### რუსეთი - ახალი გვერდები

1992 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრობისთვის ტენდერში საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა, და სულ ტყუილად – ქვეყანამ არსებობა შეწყვიტა, კავშირი დაიშალა. გავიდა ათი წელი, და რუსეთის ფედერაციის ბეჭდვის, რადიომაუწყებლობისა და მასობრივი კომუნიკაციების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროს სახელით შეტანილი განცხადების საფუძვლზე, რუსეთის ფედერაციამ 2003 წლის ტენდერი მოიგო.

შესაბამისად, წელს, 8-დან 13 ოქტომბრამდე რუსეთი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში საპატიო სტუმრის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას. ეს რუსულ-გერმანული კულტურული შეხვედრების წლის კულმინაცია იქნება, რომელიც, მოგეხსენებათ, ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელების მიერ იყო გამოცხადებული. პროგრამა, "რუსეთი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარია," ქვეყნის თანამედროვე საგამომცემლო და სალიტერატურო ცხოვრების სრული სურათის წარმოდგენას და დასავლეთის საზოგადოებისთვის უმდიდრესი რუსული კულტურის გაცნობას ისახავს მიზნად.

ფრანკფურტის მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეების რუსეთის კულტურულ მემკვიდრეობას ამ დღეებში რამდენიმე ექსპოზიცია წარმოადგენს: "სკვითების რელიქვიები", "ნოვგოროდის ხატები", "ციმბირული შამანიზმი"... "შირმის" გალერეაში დიდი სამხატვრო გამოფენა იხსნება – "კომუნიზმი – ოცნებების ფაბრიკა", რომელიც 50-70-იანი წლების საბჭოთა ხელოვნებას წარმოადგენს. კომუნიკაციის მუზეუმში განლაგებული გამოფენა რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ II და კაიზერ ვილჰელმის მიმოწერას ეძღვნება, ხოლო საერთაშორისო ფოტოფორუმში ფრანკფურტელებისა და ბაზრობის სტუმრებისთვის მოულოდნელი ექსპოზიცია გაიხსნება: "შიშველი სტალინისთვის" – 30-40-იანი წლების საბჭოთა ეროტიკული ფოტოგრაფია.

მუსიკალური პროგრამაც ფრიად მრავალფეროვანია: ბაზრობის ტერიტორიაზე ყოველდღე გაიმართება კონცერტები "ნონსტოპ", ხოლო გახსნის დღეს, 7 ოქტომბერს ფრანკფურტის ძველ ოპერაში გალა-კონცერტზე მთელ მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლები გამოვლენ: ზურაბ სოტკილავა, იური ბაშმეტი, იგორ მოისეევის ცეკვის ანსამბლი...

### "ფორუმსა" და მეხუთე პავილიონში

რუსეთისთვის მსგავსი ღონისძიების ჩასატარებლად უფრო ხელსაყრელი წელი ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა: 2003 წელს სანკტ-პეტერბურგის დაარსებიდან 300 წელი შესრულდა, და ამ თარიღს ექსპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა. ექსპოზიციაში ქალაქ ყაზანის იუბილეც აისახება, რაც რუსეთის კულტურის მრავალნაციონალურ ხასიათს გაუსვამს ხაზს.

მაშ, ასე: პავილიონში 5.0 განლაგდება რუსული ეროვნული სტენდი, რომელზეც თავის ახალ პროდუქციას 150-ზე მეტი რუსული გამომცემლობა წარმოადგენს. მათ შორისაა АСТ, Олма-Пресс, Просвещение, Эксмо, რომლებიც ეროვნული წიგნის ბაზრის, დაახლოებით, ერთ მესამედს იკავებს. ნაციონალურ სტენდზე (შემზარავად ჟღერს, მაგრამ ასეა) ბაზრობის სტუმრები კარგად ნაცნობ სახელწოდებებთან ერთად, როგორებიცაა Радуга, Слово, Вагриус, დამწყები გამომცემლობების პროდუქციასაც შეხვდებიან - Андреевский флаг ИЦ Отчий дом(მათი პროდუქციის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, არც ისინი ხუმრობენ).

ექსპოზიციაში დამოუკიდებლად მონაწილეობაზე რუსეთის მრავალი რესპუბლიკისა და ქალაქის გამომცემლობამ შეიტანა განაცხადი. ფრანკფურტში თავისი შესაძლებლობების ჩვენების დამატებით შანსს მათ რეგიონული გამომცემლობების კოლექტიური ექსპოზიცია აძლევს - "კალინინგრადიდან კურილებამდე", რომელიც ბეჭდვის საქმეთა სამინისტროს მიერაა ორგანიზებული. გარდა ამისა, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მთავრობების საგამომცემლო პროგრამებიც გაერთიანებული ექსპოზიციებით იქნება წარმოდგენილი.

ნაციონალური სტენდის საგანგებო განყოფილება რუსეთის საუკეთესო წიგნებს ეძღვნება: ექსპოზიცია "წლის წიგნი" სრულიად რუსეთის კონკურსის გამარჯვებულებს წარმოადგენს. ეს კონკურსი წელს, სექტემბრის დასაწყისში, მოსკოვის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის დროს გაიმართა.

ბაზრობის ცენტრალურ პავილიონში – "ფორუმში" გამოფენები განლაგდება, რომლებიც რუსეთის ისტორიასა და დღევანდელობას ეძღვნება: "სანკტ-პეტერბურგი 300 წლისაა", "მე ვლაპარაკობ რუსულად", "თანამედროვე წიგნის ილუსტრაცია", "დასვენება რუსეთში", "ოსტატების ქალაქი", "მინიატურული წიგნი". ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე პატარა ექსპონატის დანახვა, თურმე, მხოლოდ საგანგებო გამადიდებელი შუშით შეიძლება – ამ წიგნის ზომა მხოლოდ 1 მილიმეტრია! 12 ოქტომბერს "ფორუმში" მოსკოვის მინიატურული წიგნის მოყვარულთა კლუბი ამგვარი წიგნის დამზადების პროცესის დემონსტრირებასაც მოახდენს. რუსეთის ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილ მულტიმედიურ გამოცემებს მულტიმედიურ კაფეში ნებისმიერი მსურველი გაეცნობა. "ფორუმშივე" რუსული ენის ღია გაკვეთილი ჩატარდება და 40 ფრანკფურტელ მოსწავლეს, რომელთაც საგანგებო ტესტირება ექნებათ გავლილი, სერტიფიკატებს და საჩუქრებს გადასცემენ.

რუსეთის კულტურული პრიოგრამა 120-ზე მეტ სხვადასხვა ღონისძიებას მოიცავს. ორგანიზატორები ეცადნენ, რომ ყოველი მათგანი განსაკუთრებული და დაუვიწყარი გამხდარიყო. ასე, ვალენტინ იუდაშკინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ალბომის პრეზენტაციას გამომცემლობა Слово მისი კოლექციის ჩვენების თანხლებით გამართავს, ხოლო Таежный человек-ის ავტორი მიხაილ ტარკოვსკი წიგნის წარდგენისას სტუმრებს ციმბირული ტაიგის საუკეთესო კერძებით გაუმასპინძლდება.

გარდა ამისა, ბაზრობის მონაწილეებს უშუალოდ კოსმოსთან ექნებათ კავშირი! კოსმონავტებს არამარტო რუსი და გერმანელი ჟურნალისტები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც დაუსვამენ კითხვებს.

### 100 ავტორი ბაზრობის სტუმრებისთვის

მოკლედ, დიდად სახალისო რამ იქნება ეს რუსეთის სტუმრობა ფრანკფურტში. მაგრამ, მთავარი მონაწილე პროგრამისა, "რუსეთი - ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი," გახდება ასი წამყვანი რუსი ლიტერატორი.

წიგნის ბაზრობის გახსნის ცერემონიაზე, რუსი ავტორების სახელით, სტუმრებს მიესალმება ფრანკფურტის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი ვლადიმირ მაკანინი. ავტორებთან შეხვედრები ბაზრობის პავილიონებში და ფრანკფურტის უდიდეს მუზეუმებში გაიმართება. მსურველები არამარტო დასავლეთში ცნობილ რუს მწერლებსა და პოეტებს შეხვდებიან, არამედ ახალ სახელებსაც აღმოაჩენენ – მათი ნაწარმოებები საგანგებოდ ამ დღეებისთვის გერმანულ ენაზე იყო ნათარგმნი. მრგვალ მაგიდებსა და დისკუსიებში მწერლები, ჟურნალისტები და კრიტიკოსები მიიღებენ მონაწილეობას.

ბორის აკუნინს ევროპელი მკითხველი კარგად იცნობს, ფოტოგრაფ და მწერალ იური როსტთან შეხვედრა უდავოდ საინტერესო იქნება, ევგენი ევტუშენკოს, ანდრეი ვოზნესენსკისა, ანდრეი ბიტოვს, ევგენი რეინს და ვიაჩესლავ კუპრიანოვს კი დასავლეთშიც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავთ. ედვარდ რადზინსკის ახლავე შეგვიძლია დიდი წარმატება ვუწინასწარმეტყველოთ, ისევე, როგორც უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანულენოვანი წიგნის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანის "მოსკვა-პეტუშკის" ავტორის ვიქტორ ეროფეევის შემოქმედებით საღამოს.

ისრაელის რუსულენოვანი პროზის წარდგენასა და განხილვაში ილია კაბაკოვი, მიხაილ გრობმანი, ალექსანდრ გოლდშტაინი, ირინა პროხოროვა, ირინა ვრუბელ-გოლუბკინა, ალექსანდრ ბარასი და იური ლეიდერმანი მიიღებენ მონაწილეობას. მოგეხსენებათ, რამდენიმე თემა რუსებსა და გერმანელებს თანაბარი წარმატებით აღელვებთ, მაგალითად, ტოტალიტარული რეჟიმები და ებრაელთა ამბავი. ასე რომ, დიდი ერები ჩინებულად გაუგებენ ერთმანეთს.

ბაზრობაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა რუსული ლიტერატურის ახალგაზრდა ინტელექტუალურ პროზას და ახალ მიმდინარეობებს. The Soft Wave-ს ილია კუკულინი, სტანისლავ ლვოვსკი, დენის ოსოკინი და დიმიტრი კუზმინი წარადგენენ. ეს მწერალთა ახალი თაობაა, რომელიც ინტელექტუალურ პროზას ქმნის და რომელთა შემოქმედებაც თანამედროვე ევროპული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. წიგნების სერიას The Soft Wave 2003 წლიდან გამომცემლობა Новое литературное обозрение აქვეყნებს. მისი მიზანია რუსეთისთვის ახალი სახის ლიტერატურის სრული სურათის წარმოდგენა.

რომელი ერთი ჩამოვთვალო... მოკლედ, რუსული კულტურის მოყვარულებს ერთიმეორეზე საინტერესო ამბები ელით. ისინიც კი, ვინც "უფროსი ძმის" სიყვარულით არ იწვიან და რუსი ჯარისკაცისთვის თავის წმინდა მიწის თელვა ვერ უპატიებიათ, აღიარებენ, რომ რუსეთი აშკარად დიდია – საგამომცემლო და კულტურული თვალსაზრისით მაინც.

■ ■ ■

წლევანდელი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დასრულების შემდეგ რუს გამომცემელთა და ავტორთა ცხოვრებაში ახალი, დიდი განვითარების ეტაპი დაიწყება. მათ შესანიშნავად ექნებათ საქმე – და ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ჩვენ კი ვიყოთ ასე, რამდენიმე თავდადებული გამომცემლის, იდეალისტი წიგნით მოვაჭრისა და საკუთარი უგზო-უკვლო ნიჭისა და უთავბოლო სიზარმაცის იმედად. რუსეთს, ცხადია, ვერ შევედრებით, მაგრამ ლიტველებისა მაინც ძალიან მშურს.

ათეულები

### კვირის საუკეთესო ჯაზის ალბომები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| | შემსრულებელი | სიმღერა | პოზიცია პოზიცია ჩარტებში | ჩარტებში გატარებული პერიოდი (კვირა) |
|---|---|---|---|---|
| 1. | ელვის კოსტელო | North | 1 | 1 |
| 2. | აარონ ნევილი | Nature Boy: The Standards Album | 1 | 5 |
| 3. | დაიანა კრალი | Live in Paris | 1 | 52 |
| 4. | დიან რივზი | A Little Moonlight | 2 | 6 |
| 5. | სხვადასხვა შემსრულებელი | Verve/Unmixe2 | 2 | 5 |
| 6. | სხვადასხვა შემსრულებელი Vol. 1 | The Definitive American Songbook | 6 | 3 |
| 7. | დევიდ სენბორნი | Timeagain | 1 | 17 |
| 8. | პიტერ ჩინკოტი | Peter Cincotti | 1 | 29 |
| 9. | K Vol. 2 სხვადასხვა შემსრულებელი | The Definitive American Songbook | 8 | 2 |
| 10. | პეტ მეთენი | One Quiet Night | 1 | 18 |



### მხატვრული ლიტერატურის სქელყდიანი წიგნების ბესტსელერთა ნუსხა "ნიუ იორკ ტაიმსის" მიხედვით

| | ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | ფასი $ |
|---|---|---|---|---|
| 1. | რობერტ ჰარისი | "პომპეი" | "ჰაჩინსონი" | 17.99 |
| 2. | ტერი პრატჩეტი | Monstrous Regiment | "დაბლდეი" | 17.99 |
| 3. | ჯონ გრიშემი | Bleachers | "სენჩური" | 12.99 |
| 4. | ჯეიმს ჰერბერტი | [illegible] | "მაკმილანი" | 17.99 |
| 5. | ვენდი ჰოლდენი | Azur Like It | "ჰედლაინი" | 12.99 |
| 6. | ტომ კლენსი | "ვეფხვის კბილები" | "მაიკლ ჯოზეფი" | 18.99 |
| 7. | იან რენკინი | "სისხლის საკითხი" | "ორიონი" | 17.99 |
| 8. | ფრედერიკ ფორსაითი | "შურისმაძიებელი" | "ბენტამ პრესი" | 17.99 |
| 9. | მონიკა ალი | "ბრიკ ლეინი" | "დაბლდეი" | 12.99 |
| 10. | ჯეკი კოლინზი | "ჰოლივუდური გაყრა" | "საიმონ&შუსტერი" | 17.99 |

### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული დიდი ბრიტანეთის კინოთეატრების მიხედვით

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| 1. "ცუდი ბიჭები-2" მაიკლ ბეი | უილ სმითი, მარტინ ლოურენსი | 5.3 მილიონი | 5.3 მილიონი |
| 2. "კალენდრის გოგონები" ნაიჯელ კოული | ჰელენ მირენი, ჯული უოლტერსი | 2.4 მილიონი | 12.2 მილიონი |
| 3. "იტალიური საქმე" გარი გრეი | მარკ უოლბერგი, შარლიზ თერონი, [illegible] | 1.7 მილიონი | 10.3 მილიონი |
| 4. [illegible] | რენე ზელვეგერი, [illegible] | 1.0 მილიონი | 1.0 მილიონი |
| 5. "კარიბის მეკობრეები" გორ ვერბინსკი | ორლანდო ბლუმი, ჯონი დეპი, ჯეფრი რაში, კირა ნაითლი | 1.0 მილიონი | 44.8 მილიონი |
| 6. "ერთხელ მექსიკაში" რობერტ როდრიგესი | ანტონიო ბანდერასი, სალმა ჰაიეკი, ჯონი დეპი, მიკი რურკი, ენრიკე იგლესიასი | 0.9 მილიონი | 3.1 მილიონი |
| 7. [illegible] | კეიტ ბეკინსეილი, სკოტ სპიდმენი | 0.8 მილიონი | [illegible] |
| 8. Bright Young Things სტივენ ფრაი | სტივენ ქემბელ მური, ემილი მორტიმერი | 0.5 მილიონი | 0.5 მილიონი |
| 9. Matchstick Men რიდლი სკოტი | ნიკოლას კეიჯი, სემ როკუელი, ელისონ ლომანი | 0.4 მილიონი | 1.9 მილიონი |
| 10. "ჯაშუში ბავშვები-3" რობერტ როდრიგესი | ანტონიო ბანდერასი, კარლა გუჯინო, სილვესტერ სტალონი, სალმა ჰაიეკი | 0.3 მილიონი | 11.8 მილიონი |



ფეხბურთი

# არნახული აჟიოტაჟი

## რუსეთ-საქართველოს მატჩის გამო პროგრამა "ვრემია" 10 წუთით შეამცირეს

რუსულმა პრესამ ხვალინდელი მატჩის ირგვლივ არნახული აჟიოტაჟი ატეხა. ისეთი, რომ მთავრობამაც კი დაიჯერა: დღეს "ლოკომოტივის" სტადიონზე, მართლაც, რუსული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩია. ამის გამო პრ-ს ხელმძღვანელობამ პროგრამა "ვრემიას" საეთერო დრო 10 წუთით შეამცირა. ასეთი რამ რუსეთს საბჭოეთის პერიოდიდან მოყოლებული არ ახსოვსო, - წერს რუსული მედია.

გაზეთები ფეხბურთელთა და მათ მწვრთნელთა ინტერვიუებით არის აჭრელებული. გთავაზობთ ფრაგმენტებს ჩვენი რუსი კოლეგების ნააზრევიდან ხვალინდელი მატჩის შესახებ.

...განგებამ მძიმე ბედი არგუნა რუს გულშემატკივარს. აი, მაგალითად, ფრანგები. მშვიდად მოიგეს შესარჩევი ტურნირის ყველა შეხვედრა და სძინავთ ახალშობილის ძილით. ჩვენ კი იძულებული ვართ, გულმოდგინედ ვითვალოთ ჩვენი გუნდის შანსი, თავი ვიმტვრიოთ წინასამატჩო გათვლებით, ვუქომაგოთ აქამდე ჩვენთვის სრულიად უინტერესო ირლანდიის ნაკრებს და შვეიცარიელთა შეცდომებზე ვილოცოთ. და ეს ყველაფერი იმის მაგივრად, რომ წინა მატჩებში მშვიდად გადაგვეჭრა პრობლემები.

რას ვიზამთ. ნუ გავიხსენებთ წარსულს და კონცენტრაცია ახლო მომავალზე მოვახდინოთ. ნაკრებს მორიგი საბედისწერო მატჩი ელის, უმნიშვნელოვანესი ახალ საუკუნეში. თუმცა, თუ შვეიცარია დაამარცხებს ზურმუხტოვანი კუნძულის ბინადრებს, მატჩს რუსეთი-საქართველო არავითარი სატურნირო ღირებულება აღარ ექნება. და მაინც, საქართველოსთან გამარჯვება იარცევის გუნდისთვის არა მხოლოდ სამი ქულის მომტანი იქნება, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ახალი, ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოსაყალიბებლად.

გიორგი ალექსანდროვიჩმა საქართველოსთან მატჩზე ზუსტად 18 ფეხბურთელი გამოიძახა და ამით თითქოს ფსიქოლოგიური ტრავმა არ მიაყენა მათ, ვინც შერჩევის შედეგად ნაკრებს მიღმა დარჩებოდა. პარასკევს კი ცნობილი გახდა, რომ მწვრთნელის განკარგულებაში 17 ფეხბურთელი დარჩა. სამწუხაროდ, ალექსეი სმერტინი, რომელიც ინგლისის პრემიერლიგის მატჩში დაშავდა, აღდგენას ვერ ასწრებს. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა ალექსანდრ მოსტოვოი, რომელიც შეკრებაზე ტრავმით გამოცხადდა.

იარცევი პარტიზანივით ნიღბავს ნებისმიერ ცნობას ძირითადი შემადგენლობის შესახებ. თუმცა, წინა მატჩების გათვალისწინებით, შეიძლება დავადგინოთ, დაახლოებით როგორი იქნება ძირითადი შემადგენლობა. ოვჩინიკოვს კარში დგომა, ალბათ პენსიამდე გარანტირებული აქვს. დაცვის ზღუდეს, თითქმის ასპროცენტიანი ალბათობით, ევსეევი, იგნაშევიჩი და ონოპკო შექმნიან. მარცხენა მცველის პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ სენიკოვსა და სოლომატინს.

ნახევარდაცვაშიც ყველაფერი თითქმის გასაგებია. არა მგონია, მწვრთნელმა უარი თქვას ცენტრში სუპერშემოქმედებითი დუეტისგან - მოსტოვოი-ტიტოვი. ფლანგებზე გუსევი და კარიაკა ითამაშებენ. შეტევაში კი - ბულიკინი და რომელიმე მოძრავი ფორვარდი. თუმცა, იარცევს შეუძლია, ერთი ფორვარდითაც ითამაშოს და ასეთ შემთხვევაში საყრდენი ნახევარმცველის პოზიციას ალდონინი დაიკავებს.

ქართველები მოსკოვში აუტსაიდერის რანგში ჩამოვიდნენ. მათ ყოველგვარი სატურნირო მოტივაცია დაკარგული აქვთ. თუმცა, მთავარი მწვრთნელი მერაბ ჟორდანია გამუდმებით იმეორებს, რომ გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს. შემდეგ კი თავმდაბლურად დასძენს: "ფრეზე მაინც". პრინციპში, მოტივაციის არარსებობამ შეიძლება კავკასიელებს კარგი სამსახური გაუწიოს. არაერთხელ მომხდარა, რომ გუნდი, რომელიც თავისუფლად თამაშობს, სწორედ ამის ხარჯზე აღწევს წარმატებას.

გუნდის ლიდერების - კახა კალაძისა და შოთა არველაძის არყოფნა მერაბ ჟორდანიას ოპტიმიზმის საბაბს ნამდვილად არ მისცემს. თანაც, სტატისტიკაც რუსეთის ნაკრების მხარეზეა. სამი გასვლითი მატჩიდან ქართველებმა ერთიც ვერ მოიგეს. ჩვენმა ნაკრებმა კი პირიქით - შინ ჩატარებული სამივე მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა და თითოეულში სამ გოლზე ნაკლები არ გაუტანია.

მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონზე თბილისის დროით 20.30 საათზე დაიწყება. თამაშმა ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ბილეთები ერთი კვირით ადრე გაიყიდა. მოსკოვის სპორტულ ბარებში კი ოთხშაბათიდან ადგილებს უკვე ველარ დაჯავშნი, რადგან რუს გულშემატკივართა უმრავლესობას სწორედ პრ-ს არხით მოუწევს მატჩისთვის თვალყურის დევნება.

# ალექსი სმერტინი: "რუსეთის ნაკრებს კალაძის დონის ვარსკვლავი არ ჰყავს"

*ბოლო წლებში ალექსეი სმერტინი რუსეთის ნაკრებისთვის შეუცვლელ მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ეს ფეხბურთელი მინდორზე ნამდვილი კამიკაძე ხდება და მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთი მიზანი ამოძრავებს - შეაჩეროს მეტოქე რუსეთის ნაკრების საჯარიმო მოედნის მისადგომებთან. სმერტინი რუსების გუნდისთვის ერთგვარ ქარიზმატულ ფიგურად იქცა. გთავაზობთ ინტერვიუს სმერტინთან, რომელიც რუსულ პრესაში 10 ოქტომბერს დაიბეჭდა.*

**- რას ელით რუსეთის ნაკრებისგან 11 ოქტომბერს?**

- გულახდილად? თუ დავიწყებთ ისეთ კლიშეებს, რომ გვჭირდება მოტივაცია, კარგი განწყობა და ასე შემდეგ, უბრალოდ ვიტყვი: ერთი ამოცანა გვაქვს: უნდა გავიმარჯვოთ. სამწუხაროდ, დამოკიდებული ვართ შვეიცარია-ირლანდიის მატჩის შედეგზე. თუმცა, ეს მომენტიც კი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საქართველოსთან მატჩის მიმდინარეობაზე. ყველა შემთხვევაში უნდა მოვიგოთ.

**- ხვალინდელი მატჩი საქართველოსა და რუსეთს შორის სანაკრებო დონეზე რიგით მესამეა...**

- დიახ, ასეა. თანაც, წინა ორმა დაამტკიცა, რომ საქართველოს ნაკრები, პირველ რიგში, "სახლის გუნდია". საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ქართველები აგრესიულად და სიმამაცით აღსავსენი თამაშობენ. ამის საპირისპიროდ, გასვლით მატჩებს შებოჭილები ატარებენ. თუმცა, ამჯერად, ალბათ, ვითარება შეიცვლება. ქართველებმა საგზურის მოპოვების ყველა შანსი დაკარგეს, ამიტომაც, თავისუფლად ითამაშებენ, რაც ჩვენ დამატებით პრობლემებს შეგვიქმნის.

**- შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნაკრები მაინცდამაინც თავს არ შეიწუხებს? მათთვის ხომ ეს თამაში არაფერს წყვეტს...**

- გასაგებია, რაზეც აკეთებთ აქცენტს. არა, ქართველები ამაზე არ წავლენ. არც რუსეთის ნაკრები შეეცდება, "ჩააწყოს" თამაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო ორ მატჩში, განსაკუთრებით - შვეიცარიასთან, ბრწყინვალედ ვითამაშეთ, კარგ



ალექსეი სმერტინი გუნდს ვერ დაეხმარება.

სპორტულ ფორმაში ვიყავით. ამან საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, ხვალ მაყურებელს შინაარსიანი თამაში შევთავაზოთ და აუცილებლად გავიმარჯვოთ.

**- თუ გულახდილი იქნებით, ადრე თუ მიგიღიათ მონაწილეობა ჩაწყობილ თამაშში?**

- ამას მე მეკითხებით?! მისამართი შეგეშალათ. მე მინდორზე გამოვდივარ და ჩემს საქმეს ყოველთვის პატიოსნად ვაკეთებ.

**- კალაძის არყოფნა დაგვეხმარება თუ არა დადებითი შედეგის მიღწევაში?**

- წავიდა ის დრო, როცა შეუცვლელი მოთამაშეები არსებობდნენ. ახლა ასე აღარ ხდება, განსაკუთრებით, ეროვნულ ნაკრებ გუნდებში. ამიტომაც, საუბარი იმაზე, თუ ვინ ითამაშებს და ვინ - ვერა, აზრს კარგავს.

**- მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ კალაძე მნიშვნელოვანი დანაკარგია...**

- თქმა არ უნდა. ეჭვგარეშეა, ეს ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. კალაძე, მართლაც, უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მოსკოვში ის თავის გუნდს, მართლაც, ძალიან სჭირდებოდა. თანაც, არა მხოლოდ როგორც მოთამაშე, არამედ როგორც ქარიზმატული ფიგურა. კალაძე ლიდერია და მოედანზე მისი მხოლოდ ყოფნაც კი დანარჩენ ფეხბურთელებზე დადებით ზეგავლენას ახდენს.

**- ამ თვალსაზრისით, არის თუ არა რუსეთის ნაკრებში კალაძის მსგავსი ფეხბურთელი?**

- არა მგონია. ჩვენ დაბალანსებული შემადგენლობა გვაქვს. პრინციპში, კალაძის დონის ვარსკვლავი არც გვყავს.

**- რისი გაკეთებაა საჭირო, რომ საქართველოს ნაკრები დავამარცხოთ?**

- ქართველები ბრწყინვალე სათამაშო ტექნიკას ფლობენ. ამიტომაც მათ ბურთი უნდა "დავუმალოთ". ჩვენ კომპლექსურად, მთელი თამაშის განმავლობაში მარწუხებში უნდა მოვაქციოთ მეტოქე, მთელ მოედანზე უპირატესობა გვქონდეს და ვუტევდეთ, თანაც, ისე, რომ ქართველებს ერთი კონტრშეტევის საშუალებაც კი არ მივცეთ.

# დემეტრაძეს წარმატების იმედი აქვს

## საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი რუს ჟურნალისტებს ემუქრება

*გიორგი დემეტრაძე რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმისტი ფეხბურთელია, კარგად მოგეხსენებათ. "დემე" არასოდეს გვინახავს ყურებჩამოყრილი, ის ყოველთვის გამარჯვებაზე ფიქრობს. ასეა ამჯერადაც. დღეს რუსეთ-საქართველოს მატჩია, თამაში, რომელიც უშანსოდ დარჩენილი საქართველოს ნაკრებისთვის აღარაფერს ნიშნავს. თუმცა, ასე არ ფიქრობს დემეტრაძე. ის ჯერ კიდევ მოსკოვში გამგზავრებამდე გამოთქვამდა რუსების დამარცხების უდიდეს სურვილს და იმედს. იგივე განუცხადა რუს ჟურნალისტებსაც. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გაზეთმა "Советский Спорт"-მა ჩამოართვა დემეტრაძეს.*



- განწყობა საბრძოლოა, ფეხებში ძალის მოზღვავებას ვგრძნობ. ასე რომ, რატომ ვერ უნდა მოვიგოთ?

**- ბუკმეკერებს თქვენი არ სჯერათ. ინგლისურ და რუსულ ტოტალიზატორებშიც საქართველოს გამარჯვებაზე კოეფიციენტი თხუთმეტი ერთთან არის.**

- ბუკმეკერებს არ სჯერათ? მე კი მათი არ მჯერა. ამბობთ, თხუთმეტი ერთთანო?..

**- მაშ, დადებთ ფსონს?**

- არა! თუმცა, ასეთი პროგნოზი მაკვირვებს. ბუკმეკერების არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ძალთა თანაფარდობას 50/50-ზე ვაფასებ. თბილისში ჩვენ უკვე მოვიგეთ ერთხელ და დანებებას არც ამჯერად ვაპირებთ.

**- თბილისში განახევრებული შემადგენლობით ემზადებოდით, მხოლოდ ათი ფეხბურთელი ვარჯიშობდა...**

- ცუდია. მაგრამ რა ვქნათ? როგორც ვიცი, ეს ვიზების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მოხდა. ის, ვინც ევროპაში თამაშობს, პირდაპირ მოსკოვში ჩამოფრინდა. ისინი კი, ვინც საქართველოში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოვდივართ, თბილისიდან ჩამოვედით.

**- თქვენს ნაკრებში ვერ ითამაშებენ კალაძე და შოთა არველაძე. დადებითი შედეგის მისაღწევად ეს მომაკვდინებელი დანაკლისი ხომ არ არის?**

- მათი არყოფნა, მართლაც, სერიოზული დანაკლისია. მაგრამ თუ ქულების მოპოვება გვინდა, ლიდერების გარეშე თამაშიც უნდა შევძლოთ.

**- რუსეთის წინააღმდეგ გამარჯვებას თუ იხსენებთ?**

- დიახ. მაშინ ჩვენ ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ რუსები.

**- რას ემყარება თქვენი და მთელი თქვენი გუნდის მოტივაცია ამ მატჩში?**

- არ გვინდა, ხანგრძლივი შესარჩევი ტურნირი წაგებით დავასრულოთ. არც ბოლო ადგილზე გასვლა გვინდა. რუსეთთან ფრეს რომ მივაღწიოთ, ბოლო ადგილის ასაცდენად ესეც გვეყოფა. პირადად ჩემი მიზანი ამ შესარჩევ ტურნირში პირველი გოლის გატანაა.

**- უკანასკნელი ადგილის თავიდან აცილება თქვენი სპონსორებისთვისაც დიდი სტიმული იქნება. რაიმე მატერიალური დაინტერესება თუ გაქვთ ამ მატჩში?**

- პრემიებზე ჩვენ უშუალოდ მატჩების წინ გვესაუბრებიან. ამჯერადაც ასე იქნება. ჩვეულებრივ, გამოჩნდებიან ხოლმე ბიზნესმენები, რომელთაც გუნდისთვის სტიმულის შემატება სურთ.

**- როგორი იყო ეს სტიმული რუსეთთან გამარჯვების წინ?**

- 100 ათასი ლარი.

**- რით ახსნით მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ასეთ წარუმატებელ გამოსვლას?**

- წარმატებით მხოლოდ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ. გასვლით მატჩებში პრობლემები გვიჩნდება. რუსეთის წინააღმდეგ მძიმე თამაში გველის. აქაურ ჩემპიონატში მითამაშია და ვიცი, თუ რას უნდა ველოდეთ თქვენი ფეხბურთელებისგან. თუმცა, საკუთარ ნახევარზე ჩაკეტვას არც ჩვენ ვაპირებთ.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" მადრიდის "რეალის" მცველს, მიჩელ სალგადოს ოთხწლიანი, მრავალმილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. სამეფო კლუბთან ხელშეკრულება სალგადოს 2004 წლის 1 იანვარს უმთავრდება და, მიუხედავად იმისა, რომ "რეალში" დარჩენა ძალიან უნდა, სხვა კლუბების წინადადებებსაც განიხილავს. ამბობენ, რომ "მანჩესტერმა" 27 წლის მცველს ორჯერ უფრო დიდი ხელფასი შესთავაზა, ვიდრე "რეალი" უხდის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლუი ვან გაალი თავის მშობლიურ კლუბს, ამსტერდამის "აიაქსს" დაუბრუნდა, თუმცა, არა მწვრთნელის ამპლუაში. ამჯერად ვან გაალი "აიაქსის" ტექნიკური დირექტორის ფუნქციას შეასრულებს. ამ პოსტზე მან შეცვალა ლეო ბენჰაკერი, რომელიც მექსიკაში, ადგილობრივი "ამერიკის" მწვრთნელობას შეუდგა. "აიაქსის" ახლანდელმა მწვრთნელმა, რონალდ კუმანმა, რომელიც თავის დროზე "ბარსელონაში" ვან გაალის ასისტენტიც იყო, განაცხადა, რომ ვან გაალი, ალბათ, აღარასოდეს დაუბრუნდება მწვრთნელობას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერმა" უარყო უკანასკნელ ხანს გავრცელებული ხმები კლუბის ბრაზილიელი მცველის, ლუსიოს ლონდონის "ჩელსიში" შესაძლო გადასვლის შესახებ. სამაგიეროდ, "ბაიერმა" დაადასტურა, რომ ლუსიო ტურინის "იუვენტუსში" გადასვლაზე ყაბულსაა. "ლონდონის "ჩელსისთან" არავითარი კონტაქტი არ გვქონია. ლუსიო, ალბათ, "იუვენტუსში" გადავა. ჩვენ თანახმა ვართ. ტურინელებმა ახლა უშუალოდ ფეხბურთელის ადვოკატთან უნდა შეათანხმონ კონტრაქტის პირობები", - განაცხადა "ბაიერის" პრეს-მდივანმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** UEFA-მ გამოაქვეყნა იმ გამოძიების შედეგები, რომელიც სომხეთ-საბერძნეთის ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ეხებოდა. შეაგხსენებთ: 6 სექტემბერს გამართული მატჩის შემდეგ, როდესაც საბერძნეთმა 1:0 დაამარცხა სომხები, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აიარაპეტიანმა განაცხადა, რომ სომხეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, ამჟამად საბერძნეთში მცხოვრებმა ერვანდ სუქიასიანმა მას ერთი მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა საბერძნეთის წინააღმდეგ წაგებისთვის. UEFA-ს გამოძიებამ ამის დამადასტურებელი ვერავითარი ფაქტი ვერ აღმოაჩინა. თუმცა, გამოძიების საბოლოო დასკვნა ოქტომბრის ბოლოს გახდება ცნობილი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** თურქეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა სტამბულის აეროპორტში დააკავეს ორი ინგლისელი გულშემატკივარი, რომლებიც თურქეთ-ინგლისის მატჩზე დასასწრებად ჩაფრინდნენ სტამბულში. თურქმა პოლიციელებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ეს ორი მანჩესტერელი საფეხბურთო ხულიგანია და 1000 ყველაზე საშიში ინგლისელი გულშემატკივრის სიაში შედიან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** თავის დროზე UEFA-მ ისრაელის ნაკრებს აუკრძალა, საშინაო მატჩები, მათ შორის, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შეხვედრები, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაეტარებინა. ამის გამო, ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ უსაზღვროდ დიდ შემოსავლებზე თქვა უარი. ველარც ტელეტრანსლაციების გაყიდვა მოხერხდა. ისრაელის ნაკრები საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მოედნებზე მართავს, უცხო ქვეყნებში გამგზავრებამ კი დამატებითი ხარჯები გამოიწვია. ყოველივე ამის გამო ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას უდიდესი ფინანსური პრობლემები შეექმნა. ებრაელებმა გადაწყვიტეს, თხოვნით მიემართათ UEFA-სთვის, რათა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ მათ 2 მილიონი ფრანკის ოდენობის კრედიტი გამოუყოს ოთხი წლის ვადით. UEFA ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის ამ თხოვნას უახლოეს ხანებში განიხილავს. საკითხი, ალბათ, დადებითად გადაწყდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკის" მწვრთნელმა, ალენ პერენმა განაცხადა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მეკარის, ფაბიენ ბარტეზის გადაბირებით არის დაინტერესებული. "მარსელის" სათადარიგო მეკარემ, სედრიკ კარასომ სერიოზული ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 6 თვით გამოეთიშა. პერენს სწორედ კარასოს შემცვლელად ესახება ბარტეზი. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონმა მეკარემ "მანჩესტერის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, თუმცა, ჯერ უცნობია, დათანხმდება თუ არა ის "მარსელის" სათადარიგო მეკარეობას.



## ინფოთეკა

**კალათბურთი.** კობი ბრაიანტის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა გადაწყვიტა, გუნდში ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი მოეწვია. თუმცა, ამ წინადადებაზე ჯორდანმა კატეგორიული უარი განაცხადა. ჯორდანმა ფილ ჯექსონს თავისი პრეს-ატაშეს მეშვეობით შეუთვალა, რომ კალათბურთში მოთამაშის რანგში დაბრუნებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ჯორდანს სურს, ერთ-ერთი გუნდი შეიძინოს და ეძებს გუნდს, რომელიც მის პირობებს დააკმაყოფილებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** წლის ბოლოს ევროპა შეიძლება NBA-ის ნაწილი გახდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევროპელები კიდევ უფრო შეიყვარებენ კალათბურთს და დიდ სპორტის სასახლეებს ააგებენ, განაცხადა NBA-ის კომისიონერმა დევიდ შტერნმა. მთავარი რისკი კაპიტალდაბანდებას უკავშირდება. აგრეთვე, ამერიკიდან ევროპაში მგზავრობას.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გაჩნდა შანსი, რომ კანადის გრან-პრი 2004 წელს ჩატარდება. ადრე გახდა ცნობილი, რომ სიგარეტის რეკლამის აკრძალვის გამო მონრეალში რბოლა არ გაიმართებოდა. ახლა კი "ფია" და კანადა შეთანხმდნენ, რომ კანადა გადაიხდის კომპენსაციას რეკლამის აკრძალვის გამო. თუ კომპრომისი მიიღწევა, მაშინ შეიძლება რამდენიმე ვარიანტი გათამაშდეს: კანადის გრან-პრი მე-18 რბოლად დაემატება, გაიმართება საფრანგეთის ან სან-მარინოს გრან-პრის ნაცვლად.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ავსტრალიელი მარკ უებერი ფორმულა 1-ის გრან-პრის პილოტთა ასოციაციის დირექტორად დაამტკიცეს. იაპონიის გრან-პრის წინ გამოცემულ მიმართვაში ნათქვამია: უებერი ერთხმად დაამტკიცეს ასოციაციის მეოთხე დირექტორის პოსტზე. "იაგუარის" პილოტის გარდა, ასოციაციას ხელმძღვანელობენ მიხაელ შუმახერი, დევიდ კულტჰარდი და იარნო ტრული.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ჟაკ ვილნევმა გადაწყვიტა, იაპონიის გრან-პრიზე სტარტზე არ გამოვიდეს. ამის შესახებ მან გუნდის ხელმძღვანელ დევიდ რიჩარდსს აცნობა. კანადელმა, რომელსაც ოფიციალურად აცნობეს, რომ სეზონის ბოლოს სამუშაოდან დათხოვნილი იქნება და მის ადგილს ტაკუმა სატო დაიკავებს, რიჩარდსს განუცხადა, რომ კონტრაქტის გაწყვეტა ერთი რბოლით ადრე სურს. რიჩარდსი ვილნევის ამ განცხადებას დაყაბულდა. როგორც ჩანს, ფორმულა 1-ში ვილნევის კარიერა დასასრულს მიუახლოვდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მარტინა ნავრატილოვას პარტნიორი, ინდოელი ლეანდერ პაესი საავადმყოფოდან გამოწერეს. პაესი იქ ექიმების მიმართვით დააწვინეს. ისინი ეჭვობდნენ, რომ ჩოგბურთელს ტვინის სიმსივნე ჰქონდა. როგორც თავად პაესმა განაცხადა, ამჟამად ის გაცილებით უკეთ გრძნობს თავს. თუმცა, ვარჯიშს სამი კვირის შემდეგ შეუდგება. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ინდოელმა ექიმებს მიმართა. ის თავის საშინელ ტკივილებს უჩიოდა. ექიმებმა კი ჩოგბურთელი საავადმყოფოში გაამწესეს. ანალიზმა სიმსივნე არა, მაგრამ ორგანიზმში ჰორმონული ბალანსის დარღვევა დააფიქსირა. ექიმების თქმით, ტვინის ფუნქციონირების ასეთი დარღვევის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო როგორც მექანიკური ტრავმა, ისე სპორტსმენის მიერ სტიმულატორის მიღება.

■ ■ ■

**ფარიკაობა.** ჰავანაში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა რუსეთის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში გერმანელი მოფარიკავეები დაამარცხა - 45:40. მესამე ადგილი წილად ხვდა შვედეთის ნაკრებს. შვედებმა პოლონელებს სძლიეს.

■ ■ ■

**ცხენოსნობა.** შვეიცარიელი კონკურისტი ვილი მელიგერი საყვარელ ცხენს გამოეთხოვა. 17 წლის ასაკში გარდაიცვალა "კალვარო", რომელმაც მელიგერს ორჯერ მოუტანა ოლიმპიური მედალი, ოთხჯერ - ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი და ორ მილიონზე მეტი შვეიცარიული ფრანკი. ამ ცხენის დამსახურებაა ის, რომ მელიგერი გახდა პირველი შვეიცარიელი კონკურისტი, ვინც მსოფლიო არენაზე გამოჩნდა. "თეთრი ვარსკვლავი" (როგორც "კალვაროს" უწოდებდნენ) რამდენიმე წლის განმავლობაში შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირის სიმბოლო იყო.

■ ■ ■

**აფროსნობა.** იახტა "მერი ჩა IV"-მ, რომელიც ბრიტანელ მილიონერ რობერტ მილერს ეკუთვნის, მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატლანტის ოკეანის გადალახვაში. იახტამ ოკეანე დასავლეთიდან აღმოსავლეთით 6 დღეში, 17 საათში, 52 წუთსა და 39 წამში გადალახა. გზაზე კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა - 24 საათში იახტამ 505 მილი გაიარა.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** კრის ფილიპსისა და კეი უაიტის განმეორებითმა ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა. მათ ორგანიზმში აღმოჩენილია მოდაფინილი, რომელიც აკრძალული პრეპარატების რიცხვში არ შედის, მაგრამ ქიმიური შემადგენლობით ასეთ პრეპარატებს უახლოვდება. ახლა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი უაიტი აუცილებლად დაემშვიდობება პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულ ოქროს მედლებს - 100 და 200 მეტრზე გარბენში.

*რაგბი*

# მწვანე კონტინენტის ოვალური სამყარო

ოთხწლიან ლოდინს წერტილი დაესვა. სიდნეიში რაგბის დიდი ფიესტა დაიწყო. ოვალური ბურთის მოყვარულებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ავსტრალიას მიაშურეს. იქ მათ დიდი სიურპრიზი ელოდებათ. წლევანდელი ჩემპიონატი წინამორბედებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანია. ოვალურ სამყაროს საქართველოს, ურუგვაისა და ნამიბიის სახით ახალი, სერიოზული მიმდევრები გამოუჩნდნენ. თუმცა, ამაზე მოგვიანებით. ჩვენებურები ხომ ტურნირში ხვალიდან ჩაებმებიან და ინგლისის ნაკრებთან პირველ ოფიციალურ დიდ შეხვედრასაც გამართავენ.

ინგლისელთა თავკაცი ვუდვორდი ირწმუნება, რომ მის გუნდს წლევანდელ გათამაშებაში ბადალი არ ჰყავს და ამიტომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მის შეგირდებს უნდა დარჩეთ. ვუდვორდს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი უმთავრესი მეტოქე მასპინძელი ავსტრალია იქნება და ინგლისურმა მედიამ დაიწყო ვარიანტების თვლა, როგორ გავიდოდა მისი გუნდი ფინალში და ვისთან ექნებოდა საქმე. ინგლისელები იმდენად გაერთნენ, რომ ერთ-ერთ ვარიანტში ავსტრალია ჯგუფში ჩატოვეს. ფინალში კი საფრანგეთი დაამარცხეს და ნანატრი ჯილდოც ალბიონს გაუყენეს.

...მაგრამ ინგლისელთა ოცნებამდე ძალიან დიდი გზაა. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალია-არგენტინის მატჩმა გახსნა. ვინც ეს შეხვედრა იხილა, დამეთანხმება, რომ ავსტრალიას ჯგუფში ჩარჩენის არაფერი ეტყობა. ამაზე, სხვათა შორის, მატჩის შემდეგ ვუდვორდმაც ისაუბრა. "იმის გათვალისწინებით, რომ ავსტრალიამ მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი სადებიუტო შეხვედრა გამართა, საკმაოდ ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. ეჭვგარეშეა, რომ მასპინძლები ტურნირის მსვლელობისას ერთიორად გაზრდიან თამაშის ხარისხს და, როგორც სჩვევიათ, ფინალისთვის სპორტული ფორმის ზენიტში იქნებიან, თუ, რა თქმა უნდა, იქამდე მიაღწევენ", - თქვა ვუდვორდმა.

სიდნეის სტადიონზე 81 350 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რაც მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდია. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალია, არგენტინის ნაკრებს დაუპირისპირდა და, დიდი წვალების შემდეგ, ტაიმის ბოლოს რენდალ სეილორის ლელოთი დაწინაურდა. მეორე ნახევარში კი ავსტრალიამ, უზრალოდ, საშუალება არ მისცა, სამხრეთამერიკელებს მიახლოებოდა. აქედან გამომდინარე, მატჩის შედეგი ლოგიკური იყო - 24:8 ავსტრალიის სასარგებლოდ.

"არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ არგენტინასთან მატჩში გამარჯვებას ხონჩით მოგვართმევდნენ. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ყოველი ქულისთვის სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს", - ამბობს რენდალ სეილორი.

დღეს შეჯიბრებაში ოთხივე ჯგუფის გუნდები ჩაებმებიან. პერტში სამხრეთ აფრიკა ურუგვაის შეერკინება. ირლანდია შეხვდება რუმინეთს, საფრანგეთი - ფიჯის, ახალი ზელანდიის ნაკრები კი იტალიასთან მოსინჯავს ძალებს.



ავსტრალიელი რენდალ სეილორის ამ ლელომ მასპინძელთა გამარჯვებას დასაბამი მისცა.

*ფორმულა 1*

# შუმახერი მესამეა, რაიკონენი - მეხუთე



მიხაელ შუმახერი და კიმი რაიკონენი გადამწყვეტი რბოლისთვის ემზადებიან



იაპონიის გრან-პრის მთავარი ინტრიგა, ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაა. სწორედ ამ ბრძოლის ლაიტმოტივი გახდა წინასაკვალიფიკაციო რბოლა, რომელიც გუშინ, პარასკევს გაიმართა.

საოცარია, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობა თითქმის არ დაინტერესებულა იმით, რომ იარნო ტრული პირველ ადგილზე გავიდა, რალფ შუმახერი კი მეორე იყო. არ დაინტერესებულა, რადგან ეს პილოტები ვერ ჩაებმებიან პირველობისთვის ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ ტრულიმ 5 კილომეტრი და 807 მეტრი წუთში და 30,281 წამში დაფარა.

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კი პირველი გამარჯვება იზეიმა მიხაელ შუმახერმა. წინა კვალიფიკაციაში გერმანელი მესამე იყო, მისი უშუალო კონკურენტი კიმი რაიკონენი კი - მეხუთე. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ წინასაკვალიფიკაციო რბოლას მხოლოდ შაბათის მთავარი კვალიფიკაციის სტარტზე პილოტების განლაგებისთვის აქვს მნიშვნელობა.

ხუან პაბლო მონტოიამ კი, რომელიც ვიცე-ჩემპიონობისთვის იბრძვის, მერვე შედეგი აჩვენა. სპეციალისტთა ვარაუდით, მონტოიას შედეგი, ალბათ, იმ აღშფოთების ბრალია, რომელიც მას აშშ-ის გრან-პრის შემდეგ მოსდევს. კოლუმბიელი მიიჩნევს, რომ სტიუარდების "უსამართლო" ქმედების გამო მან ჩემპიონობისთვის ბრძოლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. მაშინ მონტოია ბარიკელოსთან ინციდენტის გამო დასაჯეს, რის შემდეგაც კოლუმბიელი ბრძოლას გამოეთიშა.

"ახლაც მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილება უსამართლო იყო, - განაცხადა მონტოიამ, - ეს სათამაშო ინციდენტი იყო. ასეთ დროს ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სტიუარდები მუშაობენ. ვფიქრობ, სისულელეა, რომ ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატი რბოლებისთვის სხვადასხვა სტიუარდებს იწვევს". თუმცა, "ფიას" წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებ. წესებს ისინი ადგენენ. ყველაფერი მარტივია. მოგწონს წესები, რბოლა შეიძლება, არადა, სადმე სხვაგან უნდა წახვიდე. წესი წესია. უნდა იცოდე, რა შეგიძლია და რა - არა. უნდა არსებობდეს ადამიანი, რომელიც ყველა რბოლას დაესწრება და ეცოდინება რა შეიძლება და რა - არა".

კოლუმბიელმა მიხაელ შუმახერზეც ისაუბრა. "მიხაელმა წლეულს კარგი სამუშაო შეასრულა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მისი ჩამოწერა არ შეიძლება. ის ყოველთვის მაშინ ბრუნდება, როცა საჭიროა. ის ცოტა იღბლიანი იყო და მისი გუნდიც ძალიან კარგად მუშაობდა - შუმახერს ყოველთვის აძლევდა საშუალებას, ტიტულისთვის ებრძოლა. თუმცა, ამ უქმეებზე ის მძიმე მდგომარეობაშია. ვფიქრობ, ჩვენ უპირატესობა გვაქვს, რადგან დასაკარგი არაფერია. ამიტომ შუმახერი ფრთხილად უნდა იყოს", - დაასკვნა მონტოიამ.

შეგახსენებთ, რომ წინასაკვალიფიკაციო რბოლაში, "ბარის" შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო იაპონელმა ტაკუმა სატომ, რომელმაც კანადელი ჟაკ ვილნევი შეცვალა. იაპონელმა მე-11 შედეგი აჩვენა და ჯენსონ ბატონსაც გაუსწრო.

**გთავაზობთ პარასკევის წინასაკვალიფიკაციო რბოლის შედეგებს.**

| | |
|---|---|
| იარნო ტრული (რენო) | 1:30,281 |
| რალფ შუმახერი (უილიამსი) | 1:30,343 |
| მიხაელ შუმახერი (ფერარი) | 1:30,464 |
| დევიდ კულტჰარდი (მაკლარენი) | 1:30,482 |
| კიმი რაიკონენი (მაკლარენი) | 1:30,558 |
| ფერნანდო ალონსო (რენო) | 1:30,624 |
| რუბენს ბარიკელო (ფერარი) | 1:30,758 |
| ხუან პაბლო მონტოია (უილიამსი) | 1:31,201 |
| მარკ უებერი (იაგუარი) | 1:31,305 |
| ნიკ ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1:31,783 |
| ტაკუმა სატო (ბარი) | 1:31,832 |
| ჰაინც ჰარალდ ფრენცენი (ზაუბერი) | 1:31,892 |
| ოლივიე პანისი (ტოიოტა) | 1:31,908 |
| კრისტიანო და მატა (ტოიოტა) | 1:32,256 |
| ჯასტინ უილსონი (იაგუარი) | 1:32,291 |
| ჯენსონ ბატონი (ბარი) | 1:32,374 |
| რალფ ფირმანი (ჯორდანი) | 1:33,057 |
| ჯანკარლო ფიზიკელა (ჯორდანი) | 1:33,313 |
| იოს ფერსტაპენი (მინარდი) | 1:34,836 |
| ნიკოლას კიეზა (მინარდი) | 1:36,181 |

ნინო I

## "ეფე" შეტევაზე გადადის

### "ვარდების ომი" ბუნდესლიგაში

ორი დღის წინათ "ბილდის" პირველ გვერდზე ერთი კარგა ხნის დავიწყებული პიროვნება გამოჩნდა: შტეფან ეფენბერგის მეუღლე, მარტინა, დიდი ხანია, აღარ ყოფილა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. განქორწინების პროცესმა მშვიდად ჩაირა, სკანდალი არ მომხდარა. გერმანელი ჟურნალისტები გაოცებულიც კი დარჩნენ, იმდენად კორექტულად მიმდინარეობდა ყველაფერი. ეფენბერგმა და მარტინამ განქორწინების პროცესი თითქმის გაასაიდუმლოეს. ისეთმა ჭორიკანა გაზეთმაც კი, როგორიც "ბილდია", ვერაფერი გაიგო. "ეფემ" მხოლოდ მაშინ აღიარა, მარტინას ოფიციალურად დავშორდიო, როცა ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო.

ამის შემდეგ ყველას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა - როდის შედგებოდა ეფენბერგისა და კლაუდია შტრუნცის ქორწილი, რაც არცთუ ისე იოლი რამ გახლავთ, რადგან კლაუდია ფორმალურად ჯერაც თომას შტრუნცის მეუღლეა. ჰერ შტრუნცს, როგორც ჩანს, ქონების გაყოფის ეშინია, ამიტომაც არ ჩქარობს განქორწინების პროცესის წამოწყებას...

მოკლედ, მაშინ, როცა მთელი გერმანია ეფენბერგისა და კლაუდიას შეუღლების მოლოდინში იყო, "ეფეს" ექს-მეუღლემ, მარტინამ, საზოგადოებას თავი შეახსენა - "ბილდის" ჟურნალისტებს გამაოგნებელი რამ განუცხადა: "არა მგონია, "ეფე" კლაუდიასთან ბედნიერი იყოს. მე და ეფენბერგი კარგად ვუგებდით ერთმანეთს. ის დღესაც მიყვება თავის პრობლემებს. ვერ ვიტყვი, რომ შტეფანი ახლა ბედნიერია და კლაუდიაზე გიჟდება. თავად განსაჯეთ, ფლორიდაში, განქორწინების წინა დღეებში, შტეფანი ჩემთან მოვიდა დეტალების შესათანხმებლად. კლაუდია მანქანაში დატოვა. ორი საათი დარჩა ჩემს სახლში და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია კლაუდია, რომელიც აუტანელ სიცხეში მანქანაში იჯდა. მინერალური წყალიც კი არ მიუტანა... ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა?", - პროვოკაციული კითხვა დასვა მარტინამ.

"ეფეს" და კლაუდიას გარდა, მარტინა ბუნდესლიგის სხვა ვარსკვლავებსაც შეეხო და ყველანი ოჯახის მოღალატეებად მოიხსენია. განსაკუთრებით მწარედ მოხვდა ოლივერ კანს, რომელსაც მარტინამ არასტაბილური პიროვნება უწოდა და კანის ახალ მეგობარს ურჩია, ყურადღებით ყოფილიყო მოღალატე "ოლისთან".

მოკლედ, მარტინამ ყველა გამოლანძღა: თავისი ექს-მეუღლეც, მისი მეგობრებიც და საჯაროდ დაიფიცა, რომ მეტად აღარასოდეს დაუახლოვდებოდა ფეხბურთელებს. ეს იყო საკმაოდ გამაღიზიანებელი გამოწვევა, რომელიც შტეფან ეფენბერგმა უყურადღებოდ არ დატოვა და "ბილდის" მკითხველებს "ეფეს" საპასუხო ინტერვიუს გაცნობის საშუალება მიეცათ:

**- რატომ გაილაშქრა მარტინამ ასე მოულოდნელად თქვენს წინააღმდეგ?**

- ეს ჩემთვისაც გაურკვეველია. ძალ-ღონე არ დამიზოგავს, რომ ჩვენი გაყრის პროცესს სკანდალების გარეშე ჩაევლო. უხმოდ დავუთმე ჩემი ქონების ნახევარი. ამის შემდეგ მას მიზეზი აღარ უნდა ჰქონოდა ჩემი შეურაცხყოფისთვის...

**- მარტინამ განაცხადა, ბუნდესლიგაში ყველა ფეხბურთელი მოღალატეაო.. მართლა ასეა?**

- მოდი, სხვებს თავი დავანებოთ და საკუთარ შეცოდებებს მივხედოთ. დიახ, მე შემიყვარდა კლაუდია, რომელიც სხვისი ცოლი იყო და ამით ზნეობრივი ნორმები დავარღვიე, მაგრამ თავად მარტინა უცოდველი გგონიათ? მაიამიში სახლის აშენება იმიტომ გადაწყვიტა, რომ იქ უკვე ჰყავდა ვიღაც. ეს რომ გავიგე, რა თქმა უნდა, არ აღვფრთოვანებულვარ. ჩვენი დაშორების ერთ-ერთი მიზეზი მარტინას ამერიკული თავგადასავლებიც იყო.

**- მან ისიც თქვა, რომ მეტად აღარასოდეს დაუკავშირდება ისეთ ტიპს, როგორიც თქვენ ხართ....**

- მართლა? ძალიან უცნაურია... მაინც როგორი ტიპი ვარ? რატომ ავიწყდება მარტინას, რომ ყველაფერი, რაც აქვს, სწორედ იმ "ტიპის" დამსახურებაა, ვისაც ახლა ასე ლანძღავს! სწორედ ამ "ტიპმა" მოუტანა მას ის ფუფუნება, რომელშიც ახლა ცხოვრობს. "გრიინ ქარდი" და ამერიკაში ცხოვრების უფლებაც ამ "ტიპმა" გაუხერხა. როგორ ფიქრობთ, მიაღწევდა თავად ამდენს, მე რომ არ შემხვედროდა და სამუდამოდ მიონხენგლადბახის პატარა ბუტიკის მფლობელად დარჩენილიყო?

**- მართალია, რომ კლაუდია შტრუნცთან თავს უბედურად გრძნობთ?**

- სისულელეა. კლაუდიასთან საოცრად ბედნიერი ვარ. ის ჩემი ოცნების ქალია. მარტინას შეუძლია, მშვიდად იყოს. დოჰაში მარტო არ ვარ, კლაუდია გუშინ ჩამოვიდა ჩემთან. ასე რომ, ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს.

**- ამ ინტერვიუს შემდეგ როგორ განვითარდება თქვენი და მარტინას ურთიერთობა?**

- მე სულაც არ მინდა, ფრონტის ხაზის გახსნა, მაგრამ ერთი რამ ნათელია: თუ ჩემი ექს-მეუღლე კვლავაც გააგრძელებს შეტევებს, თავდაცვაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი. ბოლოს და ბოლოს, მარტინა ჩემი მადლობელი უნდა იყოს, რადგან ჩემი წყალობით მილიონერი გახდა...

## TV-სპორტი

### შაბათი. 11 ოქტომბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. რუსეთი – საქართველო
15:00 "ექსპერტიზა"
15:30 გაიტანე! ნიჰატთან ერთად
15:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "შტუტგარტი" – "მანჩესტერ იუნაიტედი"
18:05 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
18:35 თავისუფალი დარტყმა
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:25 "ევროფანკლუბი". "არსენალი"
19:55 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. შოტლანდია – ლიტვა. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. თურქეთი – ინგლისი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საბერძნეთი – ჩრდილოეთ ირლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 თავისუფალი დარტყმა
02:00 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უელსი – სერბეთი და ჩერნოგორია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 16:45, 21:25 პრესცენტრი
11:15, 16:50 "ოლიმპის შვილები"
11:20 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "COLORADO AVALANCHE" - "CHICAGO BLACKHAWKS"
13:20 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კუბა. ვაჟები. ქალები. ფინალები. შესვენებისას (14:00) პრესცენტრი
15:45 "ყინულის ხანა"
16:55 სახვალიო ტელეპროგრამა
17:00 "ფარი და ბურთი"
17:55 ველოსპორტ-შოსე. იუნიორები. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია
21:40 ველოსპორტ-შოსე. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ამერიკული ფეხბურთი
02:15 "ბილიარდის მეუფენი"
02:55 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კუბა. ვაჟები. ქალები. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:15 მოტორბოლები. გრან-პრი მალაიზიაში
13:15 ფეხბურთი. უეფა
14:15 სნუკერი. პრესტონის თასი ბრიტანეთში
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
19:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
21:30 ოლიმპიური თამაშები
22:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა
01:30 ფეხბურთი. ევრო-2004
03:30 ახალი ამბები
03:45 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი კუბაში
05:30 ახალი ამბები

# "ალფა რომეოს" გაცოცხლებული ლეგენდა

თქვენს წინაშეა წითელი, ორადგილიანი და რაც მთავარია, იტალიაში შექმნილი სპორტული სუპერავტომობილი, მაგრამ მას ვერავინ იყიდის "ფერარის" სადილერო ქსელში, რადგან ამ მანქანას მილანში, "ალფა რომეოს" ქარხანაშიააწყობენ.

ლაპარაკია "ალფა რომეოს" ახალ კონცეპტუალურ მოდელ "ალფა რომეო 8C კომპეტიციონეზე" (კომპეტიციონე იტალიურად შეჯიბრს ნიშნავს), რომელიც ცნობილ იტალიურ მარკას სუპერავტომობილების კლასში დააბრუნებს, სადაც ამ კლასის უდავო ლიდერებს, "ფერარის", "პორშესა" და "ლამბორგინის" გაუწევს კონკურენციას.

"ალფა რომეო 8C კომპეტიციონეს" დებიუტი სექტემბრის დასაწყისში, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგა. ეს არის გარკვეულწილად რეტროავტომობილი, რომელმაც სახელი თავისი სახელოვანი წინაპრის, "ალფა რომეო 6C 2500 კომპეტიციონესგან" ისესხა, რომლითაც 50-იან წლებში ლეგენდარული ხუან მანუელ ფანხიო იმ დროს მეტად პოპულარულ "მილე მილიას" რბოლებში მონაწილეობდა.

მსგავსი კონცეპტუალური ავტომობილი სახელად "ევოლუტა", "ალფა რომეომ" ჯერ კიდევ სამი წლის წინ შექმნა, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობის შეცვლას ამ მოდელის დავიწყება მოჰყვა. თუმცა, "ალფას" ახალი შეფი დანიელე ბანდიერა მალე მიხვდა, რომ "ალფას" ბედი ბევრადაა დამოკიდებული სუპერავტომობილების კლასში მის დაბრუნებაზე. სწორედ მისი ინიციატივის შედეგია ის, რომ მილანელებმა "კომპეტიციონეს" შექმნა გადაწყვიტეს.

როგორც ამ კონცეპტუალური ავტომობილის ავტორები ამბობენ, მათ შთაგონების წყაროდ სწორედ გასული საუკუნის 50-იანი წლების "ალფა რომეოების" გარეგნობა გამოადგათ, ზოგიერთი სტილისტური იდეა კი აღებულია მოდელ "ალფა 33 კუპე სტრადალესა" და "ჯულია TZ-ისგან.

მთლიანობაში "ალფა რომეო 8C კომპეტიციონეში" გამოკვეთილია ფორმების მომრგვალებული მოყვანილობა, რომელიც შეხამებულია ავტომობილის "კუნთოვან" აგრესიულ გარეგნობასთან და ყოველივე ეს სრულიად შეესაბამება ამ სუპერკარის "დანიშნულებას".

აღსანიშნავია, რომ კონცეპტკარი არცთუ მცირე ზომისა გამოვიდა. მისი სიგრძე 4.28 მეტრს შეადგენს, ბაზა კი 2.595 მეტრია. სამაგიეროდ, ძარის დასამზადებლად უხვადაა გამოყენებული კომპოზიციური მასალები და მსუბუქი შენადნობები, რის ხარჯზეც ავტომობილი საკმაოდ მსუბუქი გამოვიდა.

ყოველივესთან შეხამებულია "მაზერატის" კონსტრუქციის 4.2-ლიტრიანი V8, რომელიც კომპრესორული დამჭირხნის საშუალებით 400 ცხენის ძალას ავითარებს. ამ აგრეგატით "ალფა რომეოს" სუპერკუპე ადგილიდან საათში ას კილომეტრამდე აჩქარებას სულ რაღაც 4.5 წამს ანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 300 კმ/სთ-ზე მეტია.

კომპანიის კონსტრუქტორები ირწმუნებიან, რომ "კომპეტიციონეს" შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლები და მართვადობა აქვს, რასაც პირველ რიგში განაპირობებს წინა და უკანა დაკიდების ორკაპა ჩანგლისებრი სისტემა, რაც ფართოდ გამოიყენება სარბოლ ავტომობილებში, კერძოდ კი, ყველანაირ ფორმულასა და სპორტულ პროტოტიპში.

ჯერჯერობით მწარმოებელი საიდუმლოდ ინახავს ინფორმაციას იმის შესახებ, აპირებს თუ არა "ალფა რომეო 8C კომპეტიციონეს" წარმოებას. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ უკვე დიდი ხანია, მილანური კომპანიის ხელმძღვანელობას არ ასვენებს რვაცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი კუპეს წარმოების იდეა.

ამასთან, იტალიურ პრესაში გავრცელებული ვერსიით, კომპანია ამ ავტომობილს ჟენევაში უკვე საწარმოო ავტომობილის სახით, ოღონდ "ევოლუტას" სახელით წარუდგენს მნახველს. თუ ასე მოხდა, "ალფა რომეო" წელიწადში მხოლოდ ათას ცალ "ევოლუტას" დაამზადებს. თანაც, არც ისაა გამორიცხული, რომ სუპერკუპეს ძარა სხვა კომპანიის, სავარაუდოდ, "პინინფარინას" ან "იტალდიზაინის" ფაბრიკაში დამზადდეს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა მნახველს 2005 წლისთვის "კომპეტიციონეს" ღია ვარიანტს, როდსტერსაც შეპირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დიდებულ სპორტულ კუპეს წარმოება არ "ასცდება".



# "ტოიოტას" ჰიბრიდულ-სპორტული ექსპერიმენტი

იაპონურ ავტოგიგანტ "ტოიოტას" ხელმძღვანელობამ და მარკეტინგის მენეჯერებმა კარგად უწყიან, რომ თუ მწარმოებელს ავტოსალონზე ექსპერიმენტული ტექნოლოგიების გამოფენა სურს, იმაზე უკეთესს ვერაფერს მოიმოქმედებს, თუ თავის იდეებს ლამაზი სანახაობის სახით წარმოადგენს.

კომპანიამ ფრანკფურტის ავტოსალონზე სწორედ თავისი ახალი კონცეპტუალური იდეების ჩვენება გადაწყვიტა და ამისათვის აირჩია არა პოპულარული "კოროლა", ან "სელიკა", ან რომელიმე სხვა მოდელი, არამედ სპეციალურად შექმნა სიმპატიური, ღია სპორტული ავტომობილი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უცნაური აბრევიატურა CS&S მოუგონა სახელად. თუმცა, თუ გავშიფრავთ, ის არცთუ უცნაურად მოგვეჩვენება - CS&S ნიშნავს კომპაქტ სპორტს ენდ სპეშალიტი, ანუ სპეციალური დანიშნულების კომპაქტური სპორტული (ავტომობილი).

მოკლედ, CS&S არის ჰიბრიდული ავტომობილი, რომლის მსგავსთა კლასშიც "ტოიოტა" მსოფლიო ლიდერია და როგორც ჩანს, თავისი პოზიციების დათმობას უახლოეს მომავალში არც აპირებს. სპორტული მოდელი CS&S აღჭურვილია ბენზინზე მომუშავე 1.5-ლიტრიანი შიდაწვის ძრავით, რომლის მაბრუნი მომენტიც ელექტროგენერატორს და უკანა თვლებს გადაეცემა და ელექტროძრავით, რომელიც წინა თვლებს ამოძრავებს და შიდაწვის ძრავისგან გამომუშავებულ ელექტროენერგიას მოიხმარს.

ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ ამ ავტომობილს შეუძლია იყოს როგორც კლასიკური, უკანა წამყვანთვლიანი, ასევე "კვატრო", ესე იგი, ოთხივე წამყვანი თვლით. ამასთან, მძღოლს შეუძლია არეგულიროს წინა და უკანა ხიდებს შორის მაბრუნი მომენტის განაწილება. საინტერესოა ისიც, რომ ელექტროძრავის საშუალებით CS&S-ს გაცილებით უკეთესი აჩქარების უნარი გააჩნია.

მთელი ეს ავლადიდება მოთავსებულია კომპაქტურ, ბარკეტას სტილის ორადგილიან ავტომობილში. თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ფაქტობრივად ეს მანქანა ოთხადგილიანია - უკანა სავარძლებს ფარავს სპეციალური დეტალი, რომლის მოხსნის შემდეგაც CS&S ოთხადგილიან როდსტერად მოგვევლინება. თუ ამინდი გაფუჭდა, წინა სავარძლების იმგვარად მობრუნებაა შესაძლებელი, რომ სალონი მთლიანად იხურება.

სალონშივეა მოთავსებული "ტოიოტას" ამ ქმნილების ერთ-ერთი მთავარი "ქიშმიში" - ხელსაწყომაჩვენებლების სპეციალური დაფადისპლეი. უფრო სწორედ, დისპლეის აქ ვერ ნახავთ - სპეციალური მოწყობილობით (ტოიოტა სპეის ტაჩ) ყველა მონაცემი ჰოლოგრამაზე, მძღოლის წინ პროეცირდება!

მოდელ CS&S-ის დიზაინი შექმნილია "ტოიოტას" სტუდია ED2-ში, რომელიც სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მდებარეობს. მასში შეინიშნება მსგავსება "პორშეს" კონცეპტუალურ მოდელ "სპიდსტერთან" და იტალიურ დიზაინერულ კომპანია "გიას" მიერ 1992 წლის ტურინის ავტოსალონზე ნაჩვენებ ღია ავტომობილ "ფოკუსთან".

როგორც ამბობენ, ამ ავტომობილში გამოყენებული ზოგიერთი სტილისტური დეტალი გამოყენებულ იქნება "ტოიოტასა" და "პეჟოსიტროენის" ერთობლივ პროექტში, რომელიც მინიავტომობილის შექმნას ითვალისწინებს.



# "ფორდ ვისოსი", ანუ "კაპრი" ბრუნდება

ისევე როგორც "ლანჩამ", ფრანკფურტის ავტოსალონზე "ფორდმაც" წარმოადგინა თავისი ძველი შედევრის, 60-იანი წლების "ფორდ კაპრის" კონცეპტუალური რეტროავტომობილი, სახელად "ვისოს", რომელიც კლასიკური კუპეს თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს და როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, უახლოეს მომავალში დაიკავებს ადგილს "ცისფერი ოვალის" სამოდელო გამაში.

"ფორდ ვისოსი" დემონსტრირებაა იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს მეორე თაობის "ფორდ ფოკუსის" პლატფორმაზე ბაზირებული ოთხადგილიანი კუპე. ფრანკფურტში მიღებული გამოხმაურებებით "ფორდი" სწავლობს, თუ რამდენად უპრიანი იქნება "ვისოსის", ანუ განახლებული "კაპრის" წარმოების დაწყება.

"ფორდ ვისოსის" ყველაზე გამოკვეთილი თავისებურებაა ერთგვარად წამახვილებული უკანა საყრდენი, რომელიც ლეგენდარული "კაპრის" შესაბამის დეტალს მოგვაგონებს და რომელიც 1969 წლიდან მოყოლებული, თითქმის ორი დეკადის განმავლობაში ბატონობდა საავტომობილო მოდაში.

აგრესიული გარეგნობის შესაფერისია საკმაოდ განიერი საბურავები, რომელთა ზომაა 255/30. კაპოტის ქვეშ კი "იმალება" სამლიტრიანი "ექვსიანი", რომელიც ორი ტურბოკომპრესორითაა აღჭურვილი და მათი შემწეობით მისი სიმძლავრე 350 ცხენის ძალას უტოლდება. ამ სიმძლავრეს ოთხივე წამყვან თვალს უნაწილებს ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი.

მწარმოებელი ამბობს, რომ თუ ეს ავტომობილი კონვეიერამდე მიაღწევს, იგი სულ სხვა ძრავით აღიჭურვება. გაქრება უჩვეულო ფორმის მქონე კარები და მსგავსი ტექნიკური "რამეები". ამ რამეებში მოიაზრება სპეციალური ღილაკი წარწერით "სპორტ", რომელზე დაჭერის შემთხვევაშიც წინა და უკანა სპოილერები გზის საფარს მიუახლოვდებიან, რათა საჭირო მიმართულება მიეცეს ჰაერის შემხვედრ ნაკადს. კომპიუტერს კი, რომელიც ძრავის მუშაობას აკონტროლებს, მის ხელთ არსებული ყველა მონაცემი ავტომობილის სალონში, მძღოლის წინ განლაგებულ მონიტორზე გამოაქვს, რომელიც "ფორდმა" იაპონურ კომპანია "სონისთან" ერთად შექმნა.

გარდა ამისა, სპეციალური ნოუთბუკის წყალობით, შესაძლებელია დაკიდების "ჭკვიანი" სისტემის სიხისტის შეცვლა, ძრავის ბრუნთა რიცხვის შეზღუდვა და სხვა მახასიათებლების სურვილისამებრ რეგულირება.

ავტომობილის ძარაზე, "შეუმჩნეველ" ადგილებში დამონტაჟებულია ვიდეოკამერები, რომლებიც უკანა ხედვის სარკეებს ცვლიან. კიდევ ერთი ვიდეოკამერა ჩამონტაჟებულია დამატებით სტოპ-სიგნალში, რომელიც ტრადიციულად, უკანა შუშის ძირშია მოთავსებული.

საინტერესო ფაქტი - წინა მგზავრის სავარძელი აღჭურვილია დამატებითი სექციით, რომლის მეშვეობითაც თვითმფრინავის ბიზნეს-კლასის შესაფერის სავარძლად გარდაიქმნება. თუმცა, თუ მგზავრი ამას გააკეთებს, მაშინ უკანა სავარძლებზე კიდევ ორი მგზავრისთვის ადგილი ნამდვილად აღარ დარჩება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შესანიშნავია, მაგრამ მეტისმეტად ართულებს კონსტრუქციას, მის გამოყენებას და რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, საგრძნობლად ზრდის საბოლოო პროდუქტის, ავტომობილ "ვისოსის" ფასს, რაც მისი წარმოების შემთხვევაში მიუღებელი იქნება.

ყველაფერთან ერთად, "ვისოსში" ჩანს, რომ დიზაინერული სტილი სახელწოდებით "ახალი ხედვა", რომელიც "ფორდმა" 1998 წელს, მოდელ "ფოკუსის" დებიუტთან ერთად განავითარა, აღარ წარმოადგენს კომპანიის სტილისტურ მიმართულებას და მას მალე შეცვლიან. "ვისოსი" სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია.



# "ლამბორგინი მურსელაგო" სარბოლ ფორმაში

ჯერ სულ ერთი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც "აუდის" მფლობელობაში მყოფმა იტალიურმა კომპანია "ლამბორგინიმ" ახალ სუპერავტომობილ "მურსელაგოს" წარმოება დაიწყო და აი, ფრანკფურტში იტალიელებმა თავიანთი ფლაგმანის სარბოლი ვარიანტი - "მურსელაგო R-GT" წარადგინეს მნახველის წინაშე. ავტომობილის "გასპორტულებაში" ("მურსელაგოს" თუ სპორტულობა აკლდა) მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სპორტულმა კომპანიებმა, "აუტო სპორტმა" და "რაიტერ ენჯინეარინგმა", რომლებმაც "დიდი ტურიზმის" კლასში დაგროვილი გამოცდილება გამოიყენეს და სწორედ ამ კლასის ასპარეზობისა და "ამერიკენ ლე მანის" სერიისთვის მომზადებული სარბოლი ბოლიდი ჩაიტანეს ფრანკფურტში. ფია-ს წესების შესაბამისად მოდიფიცირებისთვის ამ ორი კომპანიის სპეციალისტებს "მურსელაგოს" შასის მთლიანად გადაკეთება მოუწიათ. შედეგად ოთხწამყვანთვლიანი (სრულმოდებიანი) ავტომობილი კლასიკურ სპორტულ ავტომობილად გადაიქცა, ანუ "მურსელაგო R-GT"-ს მხოლოდ უკანა თვლები აქვს წამყვანი. გარდა ამისა, ავტომობილმა საგრძნობლად დაიკლო წონაში და თუ მისი "სამოქალაქო" ვარიანტი ტონანახევრის ფარგლებშია, სპორტული 1100 კილოგრამამდე გახდა. სიახლეებიდან თვალშისაცემია სრულიად ახალი აეროდინამიკური უზრუნველყოფა, რომლის წყალობითაც სპორტული მურსელაგო კიდევ უფრო "დაუახლოვდა" გზის საფარს, მის კუდზე კი უზარმაზარი ფრთა დამონტაჟდა. რა თქმა უნდა, სერიოზული სრულყოფა განიცადა სამოქალაქო "მურსელაგოს" 12-ცილინდრიანმა ძრავმა, რომელზეც "რაიტერ ენჯინეარინგის" სპეციალისტებმა იმუშავეს. თუმცა, კომპანია ფრანკფურტში მოდიფიცირებული ძრავის ტექნიკური მონაცემების დასახელებას მოერიდა (ალბათ კონკურენტები შეიბრალა). ცნობილია მხოლოდ, რომ ძრავს შეუწყვილდება სეკვენტალური გადაცემათა კოლოფი.

ოფიციალური მონაცემებით, რბოლებისთვის გამზადებული "მურსელაგო R-GT" 500 ათასი ევრო ეღირება. ამასთან, ყოველი ბოლიდი მყიდველის ინდივიდუალური შეკვეთის მიხედვით დამზადდება.



# "ლანჩა ფულვია" - სამოციანების კლასიკის რიმეიკი

ბოლო რამდენიმე წელიწადია, იტალიური კომპანია "ლანჩა", რომელიც უკვე კარგა ხანია, კრიზისში მყოფი "ფიატის" შემადგენელი ნაწილია, ერთ ადგილს ტკეპნის, რის გამოც ტურინულ კონცერნში ერთხანს მისი საერთოდ გაუქმების თაობაზეც კი ფიქრობდნენ.

თუმცა, როგორც ჩანს, კრიზისული პერიოდი უკან რჩება, "ლანჩა" კი იმედით შეჰყურებს მომავალს და ამის დასტურად რიგი სიახლეების შეთავაზებას აპირებს ამ მარკის თაყვანისმცემელთათვის.

კერძოდ, დაგეგმილია "ლანჩას" ზოგიერთი ლეგენდარული მოდელის "გაცოცხლება" და ამის პირველი მაგალითი კომპანიამ ფრანკფურტის ავტოსალონზე წარმოადგინა.

ფრანკფურტის საგამოფენო ცენტრის "ლანჩას" პავილიონში თავს იწონებდა კონცეპტუალური ავტომობილი "ფულვია", რომელიც 1965 წლის კუპეს რიმეიკს წარმოადგენს.

ასე განსაჯეთ, "ფულვიას" თითქმის 40 წლის შემდეგაც არ განუცდია გარეგნული ცვლილება. უფრო მეტიც, ძველი და ახალი მოდელები ზომებითაც თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

"ლანჩას" დიზაინერთა თქმით, კლასიკური მოდელის სტილისგან მათ მხოლოდ ავტომობილის წინა ნაწილი შეცვალეს, რის შემდეგაც ოპტიკურად, თითქოს მანქანის მთელ წონას წინა თვლები იღებენ. ამით ალბათ დიზაინერებს იმის ხაზგასმა სურდათ, რომ კუპეს წინა წამყვანი თვლები აქვს.

ზედა ხედით ავტომობილს ერთგვარი წვეთის ფორმა აქვს განიერი წინა ნაწილით და ვიწრო საბარგულით.

თუ გარეგნულად ახალი "ფულვია" 60-იანი წლების წინაპარს მოგვაგონებს, მისი ინტერიერი უფრო 70-იანი წლების საავტომობილო მოდის შესაფერისია. იმ წლების მოდელებს მოგვაგონებს საჭის რგოლი, ხელსაწყო-მაჩვენებლები და ჰაერგამტარების დეფლექტორები. ცენტრალური "გვირაბი" და ხელსაწყოთა დაფა გაწყობილია ღია ფერის ძვირფასი ტყავითა და ძვირფასივე ხით. ინტერიერის ერთადერთი დეტალი, რითაც 21-ე საუკუნეში ვბრუნდებით, არის ხელსაწყოთა დაფის, ეგრეთ წოდებული ტორპედოს ცენტრალური ნაწილი, რომელზეც განთავსებულია სანავიგაციო სისტემა და კონდიციონერის მართვის ბლოკი.

რა თქმა უნდა, ორადგილიანი "ფულვია", რომლის დასამზადებლადაც გამოყენებულია "ფიატ ბარკეტას" პლატფორმა, მხოლოდ გარეგნულად როდია მიმზიდველი. მის კაპოტქვეშ განლაგებულია მოკრძალებული, 4-ცილინდრიანი, 1.8 ლიტრი მუშაო მოცუკლობის მქონე ძრავი, რომელიც მხოლოდ 140 ცხენის ძალას ავითარებს. სამაგიეროდ, კუპეს სიმსუბუქის (990 კგ) წყალობით, ძრავის ყოველ ცხენის ძალაზე მასის მხოლოდ 7 კილოგრამი მოდის.

"ლანჩას" კონსტრუქტორები ირწმუნებიან, რომ "ფულვია" ადგილიდან ას კილომეტრს საათში 8.6 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 213 კმ/სთ-ს აღწევს. მომჭირნე ავტომოყვარულებისთვის უფრო საინტერესო იქნება სხვა მონაცემები: ას კილომეტრზე საშუალოდ "ფულვია" 7.3 ლიტრ ბენზინს მოიხმარს.

წინასწარი ვარაუდით, წელიწადში "ლანჩა" 2500 ცალ "ფულვიას" გდაამზადებს, მისი გაყიდვები კი 2004 წლის ბოლოს დაიწყება. ამასთან, ავტომობილის ძარები დამზადდება არა საკუთრივ "ლანჩას" ქარხანაში, არამედ სადიზაინერო ატელიე "მაჯორას" ცეხებში.



# რუსთაველის უკვდავი პოემის უკვდავი ილუსტრატორი მიჰაი ზიჩი, როგორც პორნოგრაფი







ლაშა ბაქრაძე

მიჰაი ზიჩის შესახებ საქართველოში ბევრი დაიწერა. მის მოღვაწეობას რამდენიმე მონოგრაფიაც მიეძღვნა, მაგალითად: ბენო გორდეზიანის 1960 და 1966 წლებში გამოცემული "ზიჩი საქართველოში" და გურამ შარაძის "მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა" (1978 წ.). მაგრამ ქართველმა ავტორებმა "ნამუსი შეუნახეს" და სიტყვაც არ დასცდენიათ მისი ხელოვნების ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე - ეროტიკულ, უფრო ზუსტი იქნებოდა - პორნოგრაფიულ მხატვრობაზე. რასაკვირველია, ეს შეუძლებელია არ სცოდნოდათ ქართველ "ზიჩოლოგებს" და საფიქრებელია, რომ ზიჩის თანამედროვე ქართული ელიტის წარმომადგენლებმაც იცოდნენ ხელოვანის არააფიშირებული მხატვრული ვნებების შესახებ.

იმპერიის დედაქალაქში ჭორები დადიოდა, რომ საიმპერატორო კარის მხატვარი ზიჩი ხელმწიფეს - ჯერ ალექსანდრე II-ს (რომლის მკვლელობაც აკაკის მერცხალმა შემოსჭიკჭიკა) და მერე მის ძეს, ალექსანდრე III-ს, მაღალხარისხოვანი პორნოგრაფიითაც ანებივრებდა. იმ დროს, როცა არც "პლეიბოი", არც "პენტჰაუზი" და არც სხვა უფრო აღვირახსნილი ჟურნალები არ არსებობდა, ზიჩის მხატვრობა, ალბათ, დიდად ახარებდა და აღაგზნებდა წმინდა პეტრეს ქალაქის ზეპურ საზოგადოებას და იმპერიის ელიტაში გარეულ მრავალრიცხოვან ქართველობასაც.

1881 წელს მიჰაი ზიჩი ბოლოს და ბოლოს ჩამოვიდა საქართველოში, რომელიც მას უკვე დიდი ხანია აინტერესებდა. ქართული საზოგადოება მას აღფრთოვანებით შეხვდა. მისი გული ზიჩიმ საბოლოოდ მოიგო, როდესაც "ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათები დადგა თბილისსა და შემდეგ ქუთაისში. იმ დროისთვის უაღრესად პოპულარულ ამ სანახაობებში მთელი ქართული არისტოკრატია იღებდა მონაწილეობას. ზიჩის ცოცხალი სურათების დადგმის წინ ქუთაისში აკაკი წერეთელი, საზოგადოების მომზადების მიზნით ლექციებს კითხულობდა "ვეფხისტყაოსანზე". კატკოვისგან შეურაცხყოფილ ქართველებს ეს სურათები გულს "წარსული ნეტარების მოგონებით" ("დროება", 21.02.1882) უვსებდა. ზიჩს, თავის მხრივ, ძალიან მოსწონებია საქართველო და მისი სტუმართმოყვარე და "მშვენიერი" (ზიჩისავე სიტყვით) ხალხი. რაღა გასაკვირია, რომ "ვეფხისტყაოსნის" ახალრედაქტირებული ტექსტის მდიდრული გამოცემის მესვეურებმა, სწორედ მას შესთავაზეს რუსთაველის პოემის ილუსტრირება. ზიჩმა ეს საქმე სიხარულით იკისრა და თანაც უსასყიდლოდ. ზიჩს 12 სურათი შეუკვეთეს, მან კი 34 ესკიზი გააკეთა. საბოლოოდ, 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის სახსრებით გამოცემულ წიგნში 27 ილუსტრაცია მოხვდა.

"ვეფხისტყაოსანს" ზიჩამდე და ზიჩის შემდეგაც ჰყოლია სახელოვანი ილუსტრატორები, მაგრამ "რუსთაველის გმირები ქართველი ხალხის ცნობიერებაში შევიდნენ და დამკვიდრდნენ ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციებით" (გიორგი ახვლედიანი).

ყველა ეს სურათი, გარდა ერთი ფერადისა (შოთა რუსთაველი "ვეფხისტყაოსანს" მიართმევს თამარ მეფეს) დაბეჭდილია ლაიფციგში.

ასევე ლაიფციგში დაიბეჭდა მიჰაი ზიჩის გარდაცვალების შემდეგ 1911 წელს ლიმიტირებული, მაღალი ხარისხის გამოცემა, რომელიც ზიჩის გრავიურების ერთ დიდ სერიალს "სიყვარულს" შეიცავს. ეს ექსკლუზიური - "მხოლოდ ხელმომწერთათვის" - გამოცემა, სულ 300 ეგზემპლიარი, შედგება ფოლიოს ფორმატის (40X31,5 სმ) 40 ფურცლისგან. სერიაში ნაჩვენებია ადამიანის სქესობრივი ქმედება და განსხვავებული სექსუალური პრაქტიკები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე - ბავშვობიდან სიბერემდე. ზოგიერთ სურათს კომენტარები აქვს დართული ფრანგულ ენაზე. ისევე, როგორც სხვა, ეს ნამუშევრებიც ზიჩისათვის დამახასიათებელი ვირტუოზული ტექნიკითა და არტისტულობითაა შესრულებული. ამიტომ გასაოცარი არაფერია იმაში, რომ ეროტიკულ თუ პორნოგრაფიულ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სერიოზულ გამოცემაში ჩვენს მიჰაი ზიჩს საპატიო ადგილი უკავია. თვით ეს სერიაც მრავალჯერ დაისტამბა (დასავლეთში - 60-იანი წლებიდან მოყოლებული, გდრ-სა და სოციალისტურ უნგრეთში - 1988 და 1989 წლებში).

როდესაც ზიჩის ხელოვნების ეროტიკულ ასპექტსაც გაეცნობით, ერთი ნაწყვეტი მისი წერილიდან უფროსი ძმის ანტალ ზიჩისადმი ახალ ჟღერადობას იძენს: "ქუთაისშიც მელოდებიან "ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათების დასადგმელად. იქაც ხომ მშვენიერი ხალხია, განსაკუთრებით ლამაზები არიან იქ მცხოვრები ქალები..."

**P.S. ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, "ძველ გალერეაში" გაიხსნება მიჰაი ზიჩის უცნობი ეროტიკული ნამუშევრების გამოფენა.**

## სკანვორდი



## TV პროგრამა

11 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სპეცრაზმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი „მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „პური და ვარდები" რეჟ: კენ ლოუჩი. **02.20** მხ.ფილმი „ყველაფრის გახსენება". მთ. რ-ში: არნოლდ შვარცენეგერი, შერონ სტოუნი.

### პირველი არხი

**08.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ნაწვიმარზე" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. სერიალი „პალიტრა" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.00** კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩი: სსუ-სტუ. შესვენებისას „მოამბე" **16.40** დოკ.სერიალი „გაცოცხლებული ქვები" **17.10** საწინდარი **17.40** ტელეზღაპარი **18.00** „ვესტნიკი" **18.40** „თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.00** მოამბე **00.15** მხ. ფილმი „ჰოლივუდის ნიშნით" **01.45** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჰალკი „ მთ. რ-ში ერიკ ბანა, ჯენიფერ კონელი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო" „ზემოდან ხედი უკეთესია" მთ. რ-ში გვინეტ პელტროუ, კრისტინა ეპლტეიტი. **01.50** „ღამურა" „ძვლების მტვრეველი" მთ. რ-ში ვინი ჯონსი, დევიდ კელი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** მულტფილმი „ჯუნგლის წიგნი" **10.35** საბ. სერიალი „ფიფქია" **11.30** დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი „კონან დოილის ქრონიკები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **18.05** სერიალი „დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **19.00** სერიალი „პოლიციელთა ამბები" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **20.30** მხ. ფილმი „დიდი" **22.20** მხ. ფილმი „პოლიციელი საბავშვო ბაღში" **00.30** მზის სერენადა. ტომ ჯონსი.

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** წყვილები და დუეტები **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „პაროლი ხმალთევზა" **13.30** მხ. ფილმი „რეგენერატორი" **15.00** მხ.ფილმი „იურული პერიოდის პარკი" **17.00** მხ. ფილმი „მოწყდი ვარსკვლავებს" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „არმაგედონი" **00.20** მხ. ფილმი „უცხო-3".

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „შტარტ-უპ-ის თაობა" **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „მოახლე ტიტანიკიდან" **02.30** მუსიკა.

### მეცხრე არხი

**08.05** მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი" 1-ლი ს. **10.10** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები" **11.10** სერიალი „ღამის ექიმები" **12.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" **12.25** მხ. ფილმი „ადამიანი ფარვანა" **14.20, 15.20, 16.20, 17.50, 22.05** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი" **15.30** სერიალი „ფორმულა-1" **16.30** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** „საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა" **21.15** სერიალი „80 დღე დედამიწის გარშემო" მე-6ს. **22.15** „ტელემეტრი" **22.30** გადაცემა „ოლიმპი" **22.50** მოკლ.მხ.ფილმი „ცისფერი მილი" **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „ჯერი".

### იმედი

**09.00** ქრონიკა **09.15, 12.20, 14.50, 02.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი „მეზღაპრე ფაიფერი" **10.45** მხ. ფილმი „ვასაბი" **12.30** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.00, 15.00, 19.00, 21.00, 22.00, 22.50** ქრონიკა **13.10** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი „უგეცუ" **17.05** დოკ. სერიალი „ველური ჩვილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა **19.20** მხ. ფილმი „ზღვის მგელი" **21.05** ქართ. სერიალი „ყავა და ლუდი" **22.00** ევროპის შესარჩევი ტურნირის მატჩი ფეხბურთში. თურქეთი-ინგლისი. **23.50** კლიპ-ლოტო **00.35** მხ. ფილმი „გამარჯვებული" **02.05** ქრონიკა .

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40, 10.50, 15.45, 18.50** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება „დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **09.20** ფილმი-ზღაპარი „ჰატჩიპუჰი" **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „ველური მდინარე" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხ. ფილმი „ველური მდინარე"(გაგრძ.) **14.15** ვესთერნი „უარყოფილი" **16.20** მულტსერიალი „მაუგლი" **17.15** ისტორიული ფილმი „ელ სიდი" 1 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** „ყველანი ვართ პატარები" **19.40** დოკუმენტური ფილმი **20.05** მხატვრული ფილმი „ჰაკერები" **21.50, 05.30** მუსიკა **23.00** Слово **23.30, 02.05** დოკუმენტური ფილმი **00.35** „ქართული კინო" **03.29** კომედია „მეთორმეტე ღამე".

### VII არხი

**18.10** მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** „ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.10** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **21.55** „კინოკლუბი „ - „საუკუნის ქარიშხალი" - 1 ნაწილი. მისტიკა. რეჟ: კრეიგ ბაგსლი. როლებში: ტიმ დელი, კეისი სემაშკო. **01.40** კომპიუტერული ტექნიკა.

### OPT

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Худ.фильм „Гордость и страсть", 1 с. 08.20** „Шутка за шуткой" **09.00** Сериал „Твинисы" **09.20** „Играй, гармонь любимая!" **10.00** „Слово пастыря" **10.10** „Здоровье" **11.10** „Смак" **11.30** „Последний герой: Исполнение желаний" **12.30** „Клонирование. Правда и ложь" **13.10** „История с географией". „Невероятные приключения Жюля Верна" **14.10** „Спасатели. Экстренный вызов" **14.40** „Путешествия натуралиста" **15.15** Дисней-клуб: „Геркулес" **15.40** „Умницы и умники" **16.20** Док.фильм „Русские витязи. Возрождение" **16.50 Боевик „Дом у дороги" 19.20** „Шутка за шуткой" **20.20 Футбол. Отборочный матч Чемпионата Европы-2004. Сб. России - Сб. Грузии.** Прямой эфир В перерыве - „Время" **22.20** „Последний герой". „Конец игры" **23.20** „Золотой Граммофон" **00.20 Боевик „Глаза змеи" 02.20 Боевик „Хороший, Плохой, Злой" 05.10 Триллер „Незнакомец в доме".**

### PTP

**06.50 Худ.фильм „Сегодня - новый аттракцион" 08.20** Сериал „Дракоша и компания" **08.45** „Золотой ключ" **09.05** „Русское лото" **09.35** Мультсериал „Том и Джерри" **09.50** „Большая перемена" **10.15** Маленькие комедии „Ха" **10.30** Результаты голосования: „Народный артист - Ваш выбор!" **10.45** „Утренняя почта" **11.20** „Не скуЧАЙ!" с М.Евдокимовым **12.20** „Сам себе режиссер" **13.15** Экстремальный проект „Крутой маршрут" **14.15** „Клуб сенаторов" **15.00, 21.00** „Вести" **15.20 Комедия „Королева бензоколонки" 16.50** Маленькие комедии „Ха" **17.00 Комедия „Ограбление" 19.00** „Праздничном шоу В.Юдашкина" **21.25** „Зеркало" **21.50** „Честный детектив" **22.20** „Аншлаг" **23.20 Худ.фильм „Привидение" 01.50 Триллер „Пункт назначения" 03.45** Чемпионат мира „Формула-1". Гран-При Японии. Квалификация **05.00 Сериал „Клоун" .**

### НТВ

**07.45 Комедия „Счастливый рейс" 09.00, 13.00, 17.00,** „Сегодня" **09.20 Худ.фильм „Улица Сезам" 09.45 Худ.фильм „Та-ра-рам!" 09.55** „Без рецепта". Доктор Бранд **10.25** „Один день за кулисами НТВ" **11.05** „Кулинарный поединок: Я.Бранд - Ю.Бордовских" **12.00** „Квартирный вопрос: в стиле домино" **12.55** Спорт „Лото 6 из 49" **13.15** Погода на завтра **13.20** Экспедиция Т. Баженова „Дикий мир" **14.05 Комедия „Бетховен" 15.50** „Вкусные истории" **16.00** „Своя игра" **17.20** „Женский взгляд". О.Пушкина **17.55 Сериал „Коллекция Даниэлы Стил: большей любви не бывает" 1с. 19.05** „НТВ: автопортрет", ч.1 **20.00** „Личный вклад" **20.45** „НТВ: автопортрет", ч.2 **21.40 Боевик „Умри, но не сейчас" 00.20** „Про это" **00.45 Худ.фильм „Мата Хари" 02.50 Сериал „За гранью возможного".**

# "მილიონი დოლარი და ყველაფერზე ვისაუბრებ"


ვუდი ალენს თაყვანისმცემლები არ აკლია

ცნობილი რეჟისორი ვუდი ალენი, რომელსაც თავისი საქციელით არაერთხელ გაუკვირვებია მაყურებელი, ამჯერად ისეთი ადამიანის ძიებაშია, რომელიც არ დაინანებს მილიონ დოლარს და რეჟისორის ავტობიოგრაფიულ წიგნს დააფინანსებს. მართალია, რეჟისორს წიგნზე მუშაობა ჯერ არ დაუწყია, მაგრამ ფინანსების მოძიების შემთხვევაში იგი მზადაა, კინემატოგრაფს ცოტა ხნით თავი დაანებოს, რათა მკითხველს თავისი ცხოვრების შესახებ დაუფარავად ესაუბროს. რა უნდა იყოს ასეთი დაუფარავი და საინტერესო? საქმეა, სენსაციების მოყვარული საზოგადოება გულგრილად შეხვედროდა რეჟისორის იმ განაცხადს, რომ იგი მზადაა, მილიონი დოლარის სანაცვლოდ, ისეთ დელიკატურ საკითხებზე ისაუბროს, როგორიცაა მისი ქორწინება 21 წლის სუნ-ი-სთან - მომხიბვლელ გოგონასთან, რომელიც მისი აყვანილი ქალიშვილი გახლდათ. წიგნის გამოცემის შემთხვევაში მკითხველი თავად რეჟისორის ნაამბობით გაეცნობა მისი ცხოვრების საინტერესო დეტალებს.

# Dido-ს მორიგი წარმატებები



მცირე პაუზის შემდეგ დაიდო თავისი ახალი ნამუშევრით ალბომების ბრიტანული ჩარტების სათავეებს დაუბრუნდა. ალბომი Life For Rent გაყიდვების რაოდენობით მე-19 ადგილზეა. ამას გარდა, ახალი ალბომიდან პირველი სინგლი White Flag უკვე ორი კვირაა ბრიტანული რადიოსადგურების ჰიტ-პარადებში პირველ ადგილს ინარჩუნებს. ალბომი ჩაწერილია დეივ სტიუარტის (Eurythmics-ის წევრი) სტუდიაში - The Church.

ახალი ალბომი, გარკვეულწილად, აგრძელებს წინამორბედის ტრადიციებს. 1999 წლის, დაიდოს სადებიუტო ალბომი No Angel ნამდვილად ფენომენალური იყო. ჩანაწერმა ამერიკაში ოთხჯერ მოიპოვა პლატინის დისკის ტიტული, ევროპაში კი ხუთჯერ. პირველი ალბომის საერთო გაყიდვები უახლოვდება 12 მილიონ ეგზემპლარს, ხოლო ჟურნალ "ბილბორდის" პრესტიჟულ ჩარტში ალბომების 200-ეულში მეოთხე პოზიციას მიაღწია. სულ, No Angel ჩარტებში 69 კვირის განმავლობაში იყო, მათ შორის 17 კვირა - პირველ ათეულში. ალბომის ასეთი წარმატება, რასაკვირველია, მასში შეტანილმა ჰიტებმა განსაზღვრეს. Here With Me ფანტასტიკური სერიალის Roswell-ის მთავარი თემა იყო, Thank You - "ბილბორდის" ჩარტების ლიდერი, ხოლო ემინემთან ჩაწერილმა დუეტმა – Stan დაიდოს პირველადი წარმატება მოუტანა. დღეისათვის დაიდო უამრავი მუსიკალური ჯილდოს მფლობელია. მათ შორის, ისეთი პრესტიჟულების, როგორებიცაა: Brit Awards, Ivor Novello Award, German Echo, NRJ Awards, World Music Awards და MTV-ის ჯილდოები სხვადასხვა ნომინაციებში.

დაიდო - გამარჯვებული


ლეგენდარული მუჰამედ ალი

# მუჰამედ ალის ბიოგრაფია 3 ათას დოლარად

ფრანკფურტის გიგანტურ წიგნის ბაზრობაზე თავის ახალ ბიოგრაფიას წარადგენს ყოფილი ამერიკელი მოკრივე მუჰამედ ალი. წიგნის თითო ეგზემპლარი 3 ათას დოლარად გაიყიდება. წიგნში 800 გვერდია და ის 3,4 კილოგრამს იწონის; ტირაჟი 10 ათასიანია და თითოეული ეგზემპლარი მუჰამედ ალის მიერ ხელმოწერილი.

ლეგენდარული მოკრივის ბიოგრაფია გერმანულმა გამომცემლობა Taschen-მა გამოსცა. გამომცემლობის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კოლექციონერები და მუჰამედ ალის თაყვანისმცემლები წინასწარ ყიდულობენ წიგნს, მიუხედავად იმისა, რომ თვალით არ აქვთ ნანახი.

ინტერესი ალის ბიოგრაფიაზე ძალიან დიდია, რადგან Taschen-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ წიგნი ხელახლა აღარ გამოიცემა. Taschen ამ წიგნზე 5 წელიწადს მუშაობდა. წიგნის მომზადებაში, რომელიც 10 ათას ევროზე მეტი დაჯდა, მუჰამედ ალიც მონაწილეობდა. იგი თავად არჩევდა ფოტოებს და ასწორებდა ფაქტობრივ შეცდომებს.

# ვოლოჩკოვა კვლავაც ყურადღების ცენტრშია


"დაწუნებული" ანასტასია ვოლოჩკოვა

ანასტასია ვოლოჩკოვა, რომელსაც დასავლური პრესა "ნაყინის მოყვარულ ბალერინას" უწოდებს, კვლავაც ახალი ამბების ცენტრში იმყოფება. ორიოდე დღის წინ დიდი თეატრის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სამი კვირის წინ სამსახურიდან დათხოვნილ ვოლოჩკოვას უკან არ მიიღებენ.

საკითხის შესახებ განხილვები მას შემდეგ განახლდა, რაც შრომის მინისტრმა განაცხადა, რომ მოცეკვავე უკანონოდ გააძევეს თეატრიდან და რომ ის უკან უნდა დააბრუნონ.

"დიდი თეატრის ხელმძღვანელობას აზრი არ შეუცვლია", - განაცხადა თეატრის წარმომადგენელმა და იქვე დასძინა, რომ შრომის მინისტრის განცხადება უფრო რჩევა იყო, ვიდრე ბრძანება.

წინა კვირას კი ჟურნალისტები თვითონ ვოლოჩკოვამ მიიწვია და პრესას შესჩივლა, რომ მისი კარიერა კრიზისშია და რომ ერთადერთი რაც დარჩენია, საქველმოქმედო კონცერტების გამართვაა - დიდი თეატრიდან გაძევების შემდეგ მასთან ცეკვას ხომ ყველა პარტნიორი აარიდებს თავს.













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.